ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება

კანონმდებლობის კვლევა

კვლევა ჩატარდა გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ევროკავშირის და გაეროს ერთობლივი პროექტის „მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში“ ფარგლებში.

წინამდებარე ანგარიში მოამზადა ნანა ჩაფიძემ, გაეროს ბავშვთა ფონდის კონსულტანტმა სამართლებრივი დაცვის საკითხებზე, თეა მაჩაიძის, გაეროს ბავშვთა ფონდის კონსულტანტის ბავშვთა მართლმსაჯულების საკითხებზე, ტექნიკური დახმარებით. ანგარიშის მომზადების პროცესს კოორდინაციას უწევდნენ თეონა კუჭავა, გაეროს ბავშვთა ფონდის მართლმსაჯულების პროგრამის ხელმძღვანელი და პიერ ფერი, გაეროს ბავშვთა ფონდის ბავშვთა დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი.

© გაეროს ბავშვთა ფონდი 2017

შინაარსი

რეზიუმე
შესავალი - ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება

1. საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები და სტანდარტები
2. განხილული ეროვნული საკანონმდებლო აქტები
3. კანონმდებლობის ანალიზი
3.1. ბავშვზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმი
3.2. ბავშვის უფლებათა ფუნდამენტური პრინციპები
3.2.1. ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობა
3.2.2. ბავშვის მონაწილეობა
3.2.3. დისკრიმინაციის დაუშვებლობა
3.3. **ბავშვის წვდომა მართლმსაჯულებაზე და სამართლებრივი დაცვის საშუალებები**
3.3.1. ინფორმაცია და კონსულტაცია
3.3.2. პირადი მონაცემების დაცვა
3.3.3. სპეციალიზაცია და მულტიდისციპლინური მიდგომა
3.3.4. ბავშვზე მორგებული პროცესი
3.3.5. იურიდიული დახმარება და წარმომადგენლობა
3.3.6. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება პროცესის შემდეგ (ინფორმირება, აღსრულება, ზიანის/კომპენსაციის მოთხოვნა)
3.4. ბავშვის ძირითად უფლებათა შესახებ ეროვნული კანონმდებლობის ანალიზი
3.4.1. ბავშვის უფლება განათლებაზე
3.4.2. ბავშვის უფლება ჯანმრთელობის დაცვაზე
3.4.3. ბავშვთა ალტერნატიული ზრუნვა
3.4.4. ბავშვთა დაცვა ძალადობისგან

რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია

„ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება“ გულისხმობს მართლმსაჯულების ისეთ სისტემას, რომელიც ქმნის ბავშვის უფლებათა ეფექტური განხორციელების გარანტიას ბავშვის უფლებათა დაცვის პრინციპების, ბავშვის ინდივიდუალური განვითარების და საქმის გარემოებების მხედველობაში მიღებით. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება ნიშნავს მართლმსაჯულებას, რომელიც არის მისაწვდომი, ასაკთან შესაბამისი, სწრაფი, თანმიმდევრული, ბავშვის უფლებებსა და საჭიროებებზე მორგებული. ესაა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის უფლებების დაცვას სამართლიანი სასამართლო პროცესის, სასამართლო პროცესში მონაწილეობის და ინფორმირების, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პატივისა და ღირსების პატივისცემის შესახებ[1].

საქართველოში ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება დაიწყო 2009 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგიის მიღებით, რომელიც ყოველწლიურად განახლებადი დოკუმენტია. რეფორმის ფარგლებში დაინერგა განრიდების და მედიაციის პროგრამა, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ შემოღებული იქნა ინდივიდუალური მიდგომა, დაიწყო პროფესიონალთა სპეციალიზაცია. 2015 წელს მიღებული იქნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელმაც დაამკვიდრა სისხლის სამართლის სისტემასთან შეხებაში მყოფი არასრულწლოვნების საუკეთესო ინტერესების დაცვის გარანტიები, განრიდების პროგრამაში ჩართვის და თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული ფორმების გამოყენების უპირატესობა, პროფესიონალთა სავალდებულო სპეციალიზაცია, მულტიდისციპლინური მიდგომა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღებისას.

2014 წლიდან სტრატეგიამ მიზნად დაისახა ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის გაფართოვება ყველა ბავშვის უფლებების რეალიზებისთვის, რომელიც შესაძლოა აღმოჩნდეს მართლმსაჯულებასთან კონტაქტში სისხლის, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული კანონმდებლობის სფეროებში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, 2016 წლის ბოლომდე რეფორმის ფარგლებში გაწეული ძალისხმევა ძირითადად მიმართული იყო სისხლის სამართლის სისტემაზე, თუმცა, ბოლო დროს ჩატარებულმა კვლევებმა ნათლად დაადასტურა სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის და სისტემების რეფორმის აუცილებლობა. იუნისეფის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით „ბავშვები უზარმაზარ სირთულეებს აწყდებიან მართლმსაჯულების სისტემასთან შეხებისას. ბავშვები დამოკიდებულნი არიან უფროსებზე, რათა მიიღონ ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ; გაერკვნენ და გამოიყენონ არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები და ჰქონდეთ წვდომა სასამართლოსა და მართლმსაჯულების სხვა მექანიზმებზე“[2].

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგიისა და 2017-2021 წლების სამოქმედო გეგმის თანახმად, იუსტიციის სამინისტროს კოორდინაციით უნდა განხორციელდეს ბავშვთა უფლებების თაობაზე სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის რეფორმა. რეფორმის მხარდაჭერის მიზნით, მტკიცებულებაზე დაფუძნებული და მონაწილეობით პროცესის უზრუნველსაყოფად, 2016 წლის ბოლოს

[1] ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ, განმარტებები, გვ. 17

[2] UNICEF study on Children's Equitable Access to Justice in Albania, Georgia, Kyrgyzstan and Montenegro, 2015

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ განხორციელდა წინამდებარე საკანონმდებლო ანალიზი. ხოლო 2017 წლის იანვარში იუსტიციის სამინისტროსთან არსებული კერძო სამართლის უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში შეიქმნა მულტიდისციპლინური სამუშაო ჯგუფი,[3] რომლის მთავარი ფუნქცია პროცესის კოორდინაცია და ხელმძღვანელობა, ანალიზის სრულყოფა, სპეციფიკური რეკომენდაციების შემუშავება და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მომზადებაა.

საკანონმდებლო ანალიზის მეთოდოლოგია

საკანონმდებლო ანალიზის ანგარიში მომზადდა ეროვნული კანონმდებლობის 30-ზე მეტი სამართლებრივი აქტის სამაგიდო კვლევის შედეგად გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის, გაეროსა და ევროპის საბჭოს სხვა საერთაშორისო კონვენციების და სახელმძღვანელო დოკუმენტებთან მიმართებაში. ანალიზის შედეგებში აისახა გაეროს ბავშვთა ფონდის და სხვა ორგანიზაციების მიერ შესაბამის სფეროებში ჩატარებული კვლევები. საკანონმდებლო ანალიზი წარმოადგენს მონაწილეობითი პროცესის შედეგს და სათანადოდ ითვალისწინებს ექსპერტების, სახელმწიფო უწყებების, სასამართლოსა და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოსაზრებებსა და შენიშვნებს.

კანონმდებლობის კვლევა ჩატარდა შემდეგი ძირითადი საკითხების გარშემო: ბავშვთა უფლებების ძირითადი პრინციპები; ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ძირითადი ელემენტები; ძირითადი მატერიალური უფლებები. დოკუმენტში, აგრეთვე, გაანალიზებულია ბავშვზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმის დანერგვის საკითხი, როგორც მთავრობის, ასევე, პარლამენტის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების მიღებისას.

ძირითადი მიგნებები

<u>ბავშვთა დაცვის კონსტიტუციური გარანტიები</u>

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, საქართველოს კონსტიტუციის შემდეგ, იერარქიით დგას საქართველოს ყველა კანონსა და ორგანულ კანონზე მაღლა. კონსტიტუციის დადგენილი ნორმები „ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში მათ ჩართვაზე“ და „დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით“[4] არ ქმნის მყარ კონსტიტუციურ გარანტიებს ბავშვის, როგორც უფლებების მატარებელი დამოუკიდებელი სუბიექტის, უფლებების დასაცავად. შესაბამისად, რეკომენდებულია საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელდეს ცვლილება ბავშვის უფლებებათა დაცვის ძირითადი პრინციპების განმტკიცების, სახელმწიფოს ანგარიშვალდებულების გაძლიერების და უფლებების ეფექტური დაცვის კონსტიტუციური გარანტიის შექმნისთვის.

<u>ბავშვთა უფლებების დაცვის პოლიტიკური მექანიზმი</u>

საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც ეხება პარლამენტის, მთავრობის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს, არ ადგენს გარანტიებს ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების დროული და ეფექტური გადაწყვეტისთვის.

[3] სამუშაო ჯგუფის შემადგებლობაში შევიდნენ პარლამენტის კომიტეტები, შესაბამისი სამინისტროები და სხვა სახელმწიფო უწყებები, სასამართლოს, სახალხო დამცველის და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები

[4] ამავე მოსაზრებას განავრცობს ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ორგანო, ვენეციის კომისია 2017 წლის 19 ივნისს გამოცემულ დასკვნაში საქართველოს კონსტიტუციის ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციის მიხედვით[5] მნიშვნელოვანია შეიქმნას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმი, რომლის მიზანია უზრუნველყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება კანონმდებლობის შემუშავების, პოლიტიკის განსაზღვრის, ბიუჯეტირების, პროგრამების შემუშავების და განხორციელების პროცესში.

ბავშვის უფლებათა დაცვის ძირითად პრინციპები

კანონმდებლობის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობის, ბავშვის მოსმენის და მისი აზრის სათანადოდ გათვალისწინების პრინციპები სათანადოდ არაა ასახული და გარანტირებული სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობით, მათ შორის, საოჯახო ურთიერთობების, განათლების, ჯანდაცვის და სოციალური დაცვის ხელმისაწვდომობის საკითხებზე. კანონმდებლობა არ ქმნის სათანადო გარანტიებს ყველა ბავშვის დასაცავად არათანაბარი მოპყრობისა და დისკრიმინაციისგან, განსაკუთრებით აღსანიშნავია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე, სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი, ეთნიკური/ენობრივი უმცირესობის, მიგრანტი და სხვა მოწყვლად ჯგუფებს მიკუთვნებული ბავშვები.

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ძირითად ელემენტები

საქართველოს კანონმდებლობა არ ასახავს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ძირითად ელემენტებს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლით რეგულირებულ სფეროებში, მათ შორის, საოჯახო დავები მშობლის უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით, ძალადობისგან, ექსპლუატაციისა და შრომის მძიმე ფორმებისგან დაცვა, სახელმწიფო ზრუნვა, სოციალური დაცვის და ჯანდაცვის სერვისებზე უარი, ინკლუზიურ განათლებაზე და გარემოზე წვდომა, სკოლიდან გარიცხვის და სხვა სახის დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების საკითხები. ეს ნიშნავს, რომ კანონმდებლობით არ არის გარანტირებული ბავშვთა ეფექტური წვდომა ინფორმაციაზე საკუთარი უფლებებისა და ამ უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ; საპროცესო კანონმდებლობა არ ადგენს ბავშვზე მორგებულ სასამართლო პროცედურებს.

მართალია, კანონით ბავშვს უფლება აქვს 14 წლის ასაკიდან მიმართოს სასამართლოს, თუმცა დადგენილი არ არის მის შესაძლებლობებზე მორგებული სასამართლოსადმი მიმართვის, საქმის განხილვის და გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურები. უფლების დარღვევის შემთხვევაში დაცვის საშუალებების მოძიების და გამოყენების თვალსაზრისით, ბავშვი თითქმის სრულად არის დამოკიდებული მის მშობელზე ან მეურვეზე. კანონით გარანტირებული არ არის უფასო იურიდიული დახმარება სოციალური სტატუსის მიუხედავად ყველა შემთხვევაში, როდესაც ბავშვი დამოუკიდებლად მიმართავს ადმინისტრაციულ ორგანოს ან სასამართლოს ან/და როდესაც ამას მოითხოვს ბავშვის საუკეთესო ინტერესები. კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს დაზარალებულ/მსხვერპლ ბავშვთა ზიანის ანაზღაურების დროულ და ეფექტურ მექანიზმს (ანაზღაურება სახელმწიფოს მიერ, ხოლო შემდეგ ეტაპზე - დამრღვევისგან), კომპენსაციის მოთხოვნის და გასაჩივრების ადაპტირებულ პროცედურებს. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სპეციალურ, ბავშვზე მორგებულ პროცედურებს სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ ბავშვის ინფორმირების და ბავშვზე მორგებული ფორმით აღსრულების შესახებ.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო თავად ან მის მიერ დანიშნული პირის საშუალებით ახორციელებს ბავშვის საპროცესო წარმომადგენლობას სამართალწარმოების პროცესში. თუმცა კანონმდებლობა არ ასახავს საპროცესო წარმომადგენლის პროცესში

[5] მუხ. 3,4; კომიტეტის ზოგადი კომენტარი 5 (2003)

„ჩაბმის“ კონკრეტულ შინაარსს, ფუნქციებსა და მოვალეობებს, ეთიკურ პრინციპებს, დამოუკიდებლობის გარანტიებს, სპეციალიზაციას და სხვა; განსაკუთრებით პრობლემურია სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ ბავშვთა უფლება წარმომადგენლობაზე. წარმომადგენლობის შინაარსის გარკვევა შეუძლებელია შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირების არარსებობის გამო[6].

კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს ბავშვთა პირადი მონაცემების დაცვის გარანტიებს, განსაკუთრებით მნიშვნელოვან ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსება, საოჯახო დავები, თავშესაფრის მაძიებელი და მიგრანტი ბავშვები, ჯანმრთელობის დაცვა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ ბავშვთა მიერ ანტისოციალური ქცევის და დაკავშირებული დისციპლინური საკითხები და სხვა.

კანონმდებლობა არ ადგენს პროფესიონალთა სავალდებულო სპეციალიზაციას სამოქალაქო და ადმინისტრაციული მართლმსაჯულების სფეროებში ბავშვის უფლებების, ბავშვთან კომუნიკაციის მეთოდების, ასაკობრივი საჭიროებების და ბავშვზე მორგებული პროცესის შესახებ.

<u>ბავშვთა ძირითადი უფლებების ასახვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად</u>

კანონმდებლობა, აგრეთვე, გაანალიზდა ძირითად უფლებებთან მიმართებაში, როგორიცაა: განათლების უფლება, ჯანდაცვის უფლება, სოციალური დაცვა და ალტერნატიული ზრუნვა, საჭიროების შემთხვევაში, ბავშვთა დაცვა ძალადობის, ექსპლუატაციისგან და შრომის უკიდურესი ფორმებისგან.

კანონმდებლობის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ კანონმდებლობა არ მოიცავს ნებისმიერი ფიზიკური დასჯის, დამამცირებელი მოპყრობის ან/და სასჯელის უპირობო, პირდაპირ აკრძალვას ოჯახში, სკოლაში და სხვა გარემოში; ცალკე დანაშაულებად არაა აღიარებული ბავშვით ვაჭრობა და ბავშვთა ექსპლუატაცია ბავშვის უფლებათა კონვენციის შინაარსით და განმარტებულია მხოლოდ ტრეფიკინგის დანაშაულის შემადგენლობაში; დადგენილი არ არის შრომის უკიდურესი ფორმები, რეგულარული მონიტორინგის და გამოვლენის მექანიზმები და შრომის უკიდურესი ფორმისგან ბავშვთა დაცვის სპეციფიკური გარანტიები.

განათლების უფლებასთან დაკავშირებით საჭიროა ინკლუზიური განათლების ცნების განმარტების გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობის საკანონმდებლო გარანტიების დადგენა; ბავშვის მონაწილეობის უფლების უზრუნველყოფა სასკოლო დისციპლინის საკითხებში (სხვა სკოლაში გადაყვანა, რეფერალი „ანტისოციალური ქცევის დროს“, სხვა ღონისძიებების განმარტება).

უფლება ჯანდაცვაზე უნდა იყოს უზრუნველყოფილი ისეთი საკანონმდებლო გარანტიების დანერგვით, რომლებიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ, ძალადობის და სხვა დანაშაულების მსხვერპლ ბავშვთა წვდომას ჯანდაცვის და რეაბილიტაციის სერვისზე; ბუნებრივი კვების ხელშეწყობის მექანიზმის დანერგვას; მავნე ზეგავლენისგან ბავშვთა დაცვის და ფსიქიატრიული მკურნალობის პროცესში ბავშვთა უფლებების დაცვის სამართლებრივი გარანტიების შექმნას.

სოციალური დაცვა და სახელმწიფო ზრუნვის მიმართულებით კანონმდებლობა უნდა გაუმჯობესდეს ბავშვთა სოციალური დაცვის/დახმარების, ოჯახის მხარდაჭერის სერვისების და მიტოვების პრევენციის ღონისძიებების, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების, როგორიცაა შშმ ბავშვების, მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვების,

[6] ამ მხრივ საკანონმდებლო ხარვეზებზე ყურადღებას ამახვილებს, ასევე, ევროპის სასამართლო თავის გაადწყვეტილებაში „ნ.წ. საქართველოს წინააღმდეგ“, თებერვალი, 2016

ძალადობის მსხვერპლი ბავშვების საჭიროებების გათვალისწინებით. ხარვეზები უნდა აღმოიფხვრას სახელმწიფო ზრუნვის სტანდარტების, დაწესებულებათა რეგულირების, სტანდარტების დაცვის მონიტორინგის გაუმჯობესების მიზნით.

ძირითადი რეკომენდაციები

ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით განხილული კანონებიდან (განათლება, ჯანდაცვა, სოციალური დაცვა, სახელმწიფო ზრუნვა, ადმინისტრაციული და სამოქალაქო პროცესი, სხვა), ყველა მათგანი საჭიროებს ცვლილებებს ამა თუ იმ ხარისხით. ამავე დროს, გამოიკვეთა რიგი საკითხები ბავშვთა დაცვის და მართლმსაჯულებასთან წვდომის კუთხით, რომლებიც საერთოდ არ არის სათანადოდ მოცული დღევანდელი კანონმდებლობით.

რეკომენდებულია არსებული ხარვეზების შესავსებად ცვლილებების პაკეტთან ერთად განვიხილოთ ცალკე საკანონმდებლო აქტის შემუშავების საკითხი, რომელიც შეავსებს და გააძლიერებს სამართლებრივ ჩარჩოს ბავშვთა დაცვის და მართლმსაჯულებასთან წვდომის გარანტიებს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის რეგულირების ქვეშ არსებულ სფეროებში, კერძოდ, ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა: ბავშვის უფლებათა ძირითადი პრინციპების უზრუნველყოფის ზოგადი საკანონმდებლო გარანტიები ყველა სფეროში, ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ძირითადი საკანონმდებლო გარანტიები და აღსრულების მექანიზმები, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების ბავშვზე მორგებული პროცედურები, მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების დაცვა, ძალადობისგან ბავშვთა დაცვის გარანტიები, სხვა.

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება
შესავალი

გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევამ „ბავშვთა თანაბარი წვდომა მართლმსაჯულებაზე ალბანეთში, საქართველოში, ყირგიზეთსა და მონტენეგროში“[7] გამოავლინა, რომ ბავშვები უზარმაზარ სირთულეებს აწყდებიან მართლმსაჯულების სისტემასთან შეხებისას. ბავშვები დამოკიდებულნი არიან უფროსებზე, რათა მიიღონ ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ; გაერკვნენ და გამოიყენონ არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები და ჰქონდეთ წვდომა სასამართლოსა და მართლმსაჯულების სხვა მექანიზმებზე. ბავშვზე მორგებული პროცედურები მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში გამოიყენება. თითქმის არ არსებობს მექანიზმები და რესურსები, რომელიც უზრუნველყოფდა მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვთა საჭიროებების გათვალისწინებას და მათი შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერას.

2015 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, რომლითაც განმტკიცდა საერთაშორისო სტანდარტები საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში. რაც შეეხება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საკითხებზე ბავშვთა მართლმსაჯულების საკითხს, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის გაუმჯობესება წარმოადგენს „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის“ სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ პრიორიტეტს 2017 წლისთვის.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების კუთხით საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში საქართველოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის ანალიზს. დოკუმენტში საკითხების თემატიკა და სტრუქტურა აგებულია „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპების“[8] თანმიმდევრობით, რომელიც მომზადებულია გაეროსა და ევროპის საბჭოს ყველა ძირითადი სამართლებრივი ინსტრუმენტის საფუძველზე.

1. საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები და ინსტრუმენტები

საქართველოს არის წევრი სახელმწიფო გაეროს და ევროპის საბჭოს თითქმის ყველა საერთაშორისო კონვენციისა და მათი დამატებითი ოქმებისა, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ ეხება ბავშვთა უფლებებს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტები და ინსტრუმენტები ასახავს მართლმსაჯულებასთან კონტაქტში მყოფი ბავშვის უფლებების დაცვის გარანტიებს, რომელთა უზრუნველყოფაც სახელმწიფოს ვალდებულებაა. წინამდებარე ანალიზი განხორციელდა იმ საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტების მიხედვით, რომლებიც უშუალოდ ეხება ბავშვთა უფლებების და მართლმსაჯულებაზე

[7] გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევა “ბავშვთა თანაბარი წვდომა მართლმსაჯულებაზე ალბანეთში, საქართველოში, ყირგიზეთსა და მონტენეგროში“ (2015)
[8] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულია 2010 წელს

წვდომის საკითხებს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სფეროს კანონმდებლობის ჭრილში, კერძოდ:

გაეროს ინსტრუმენტები:

- გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია (1989)[9]
- ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციის და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ (2000)[10]
- ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი შეტყობინების პროცედურების შესახებ (2014)[11]
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კონვენცია (2008)[12]
- გაეროს რეზოლუცია (2005) "სახელმძღვანელო მითითებები მართლმსაჯულების შესახებ მსხვერპლი და მოწმე ბავშვების მონაწილეობით"

გაეროს კომიტეტების ზოგადი კომენტარები (სახელმძღვანელო განმარტებები):

- ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #5 (2003) „ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელების ზოგადი ღონისძიებები (მუხ. 4, 42 და 44 (6))"
- ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #12 (2009) „ბავშვის უფლება მისი მოსაზრებების მოსმენაზე"
- ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #14 (2013) „ბავშვის უფლება მისი საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინების შესახებ"
- ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #6 (2005) „თანმხლების გარეშე მყოფი და ოჯახისგან განცალკევებული ბავშვების მიმართ მოპყრობა წარმოშობის ქვეყნის გარეთ"
- ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #8 (2006) „ბავშვის უფლება დაცული იყოს ფიზიკური დასჯისა და სხვა სასტიკი ან დამამცირებელი სასჯელებისგან"
- ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #9 (2006) „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა უფლებები"
- ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #13 (2011) „ბავშვის უფლება ძალადობის ყველა ფორმისგან დაცვის შესახებ"
- ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #15 (2013) „ბავშვის უფლება ჯანდაცვის უმაღლესი სტანდარტით სარგებლობის შესახებ"
- ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #1 (2001) „მუხ. 29 (1). განათლების მიზნები"
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #4 (2016) „მუხ. 24. უფლება ინკლუზიური განათლების შესახებ"

ევროპის საბჭოს ინსტრუმენტები:

[9] საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 1994 წელს
[10] საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 2005 წელს
[11] საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 2016 წელს
[12] საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 2013 წელს

- ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენცია[13]
- ევროპის სოციალური ქარტია[14]
- ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ[15]
- ევროპის კონვენციამ წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის შესახებ[16]
- ევროპის საბჭოს კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ინდივიდთა დაცვის შესახებ[17]

ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები პოლიტიკისა და კანონმდებლობის შესახებ:

- ევროპის საბჭოს პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები ძალადობისგან ბავშვთა დაცვის ინტეგრირებული ეროვნული სტრატეგიების შესახებ[18]

- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ[19]

2. განხილული საკანონმდებლო აქტები

დოკუმენტში განხილულია დაახლოებით 30-მდე კანონი, რომლებიც ეხება: ბავშვის სამართლებრივ ქმედუნარიანობას, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესს, სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებას, ძალადობისგან დაცვას, განათლებას, ჯანმრთელობის დაცვას, სოციალურ დაცვას, უფლებების დარღვევის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების და სხვა საკითხებს. გაანალიზებულია შემდეგი საკანონმდებლო აქტები:

- საქართველოს კონსტიტუცია
- სამოქალაქო კოდექსი
- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი
- კანონი სახალხო დამცველის შესახებ
- კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ
- ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
- ადმინისტრაციული საპროცესი კოდექსი
- კანონი იურიდიული დახმარების შესახებ
- კანონი ბაჟის შესახებ
- კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ
- კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ
- კანონი ზოგადი განათლების შესახებ
- კანონი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ

---

[13] საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 20.05.1999

[14] ევროპის სოციალური ქარტია (შესწორებული), მიღებულია 1996წ. 3 მაისს. საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 2005 წ. 1 ივლისს https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/43174

[15] ე.წ. „ლანზაროტის კონვენცია“ ძალაში შევიდა 01/07/2010; რატიფიცირებულია 23.09.2014

[16] მიღებულია 1987 წელს და რატიფიცირებულია საქართველოს მიერ 20.06.2000

[17] ძალაში შევიდა 01.10.1985; საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 14.12.2005

[18] სახელმძღვანელო პრინციპები შემუშავდა 2008-2009 წლებში https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168046d3a0

[19] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო 2010 წლის 17 ნოემბერს

- კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ
- კანონი პაციენტის უფლებების შესახებ
- კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ
- კანონი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ
- კანონი ოჯახში ძალადობის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ
- კანონი სოციალური დახმარების შესახებ
- კანონი შვილად აყვანის და მინდობით აღზრდის შესახებ
- კანონი სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ
- კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ
- კანონი სამოქალაქო აქტების შესახებ
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ
- კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ
- კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ
- კანონი გარემოს დაცვის შესახებ
- კანონი ტრანსპორტის შესახებ
- კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ

წინამდებარე დოკუმენტში კანონმდებლობა გაანალიზებულია ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ძირითადი ელემენტების მიხედვით, კერძოდ, ესაა: ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინება მის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას, ბავშვის მონაწილეობა ადმინისტრაციული წარმოების და სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პროცესში, დისკრიმინაციისგან ბავშვის დაცვის სამართლებრივი გარანტიები, ბავშვის ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე, იურიდიულ დახმარებასა და წარმომადგენლობაზე უფლებების დარღვევის შემთხვევაში ან/და სამართალწარმოების პროცესში, ბავშვის პერსონალური მონაცემების დაცვა, ზიანის ანაზღაურება და კომპენსაცია, ბავშვთან მომუშავე პროფესიონალთა სპეციალიზაცია. გამომდინარე იქედან, რომ ბავშვთა დაცვის თვალსაზრისით ძირითად უფლებათა შორის პრიორიტეტულია ბავშვის უფლება განათლებაზე, ჯანდაცვასა და სოციალურ დაცვაზე, ეს დოკუმენტი, აგრეთვე, მოიცავს ამ უფლებების უზრუნველყოფის სამართლებრივი გარანტიების ანალიზს ეროვნული კანონმდებლობის ჭრილში.

3. კანონმდებლობის ანალიზი

3.1. ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება

კომიტეტი[20] აღნიშნავს, ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინებამ კანონმდებლობაში, პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების დროს სახელმწიფოსგან მოითხოვს ბავშვზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმის დანერგვას. ეს მექანიზმი გულისხმობს ნებისმიერი კანონის მიღების, პოლიტიკის შემუშავების თუ ბიუჯეტირების პროცესში წინასწარ შეფასდეს ბავშვის უფლებებზე მოსალოდნელი შედეგები.

[20] ზოგადი კომენტარი #5, პარა. 45, 27, ასევე, იხილეთ, ზოგადი კომენტარი #14, პარა. 35

ამგვარი წინასწარი შეფასების ჩატარება მტკიცებულებაზე დაფუძნებული გაადწყვეტილებების მისაღებად აღიარებულია და პრაქტიკაში დანერგილია ევროკავშირის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), გაეროს ბავშვთა ფონდის და მსოფლიო ბანკის მიერ. ბავშვზე ზეგავლენის შეფასების ძირითადი მიზანია დაეხმაროს მთავრობას კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში და უზრუნველყოს ბავშვთა საკითხების პრიორიტეტულად განხილვა სხვადასხვა სექტორული პოლიტიკის და პროგრამების შემუშავების პროცესში. ეს შეფასება უნდა ჩატარდეს ახალი კანონების, რეგულაციების, დადგენილებების მომზადების პროცესში ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე[21].

საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ განსაზღვრავს ნორმატიული აქტების მომზადების და მიღების წესს[22]. კანონის თანახმად, კანონპროექტს უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება, მათ შორის, მისი ფინანსური დასაბუთება, მოსალოდნელი საფინანსო-ეკონომიკური შედეგები საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან (მათ შორის, ევროკავშირის დირექტივები, საერთაშორისო ხელშეკრულებები) შესაბამისობა, ექსპერტების დასკვნები[23].

საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს, პარლამენტის, უფლებამოსილების განხორციელების წესსა და პროცედურას, პარლამენტის სტრუქტურას განსაზღვრავს **„პარლამენტის რეგლამენტი“[24], რომელიც არის კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტი[25].** რეგლამენტი მოითხოვს, რომ საკანონმდებლო ინიციატივის მომზადების დროს კანონპროექტს თან უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი, რომელში აუცილებელია მიეთითოს კანონპროექტის მიზეზი, მიზანი, არსი, ფინანსური დასაბუთება, მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან და ვალდებულებებთან. კანონპროექტს შესაძლოა დაერთოს დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა და ასევე ლობისტის დასკვნა, ამგვარი დასკვნების არსებობის შემთხვევაში[26].

განხილული კანონებით გათვალისწინებული არ არის კანონპროექტის ინიცირების დროს ბავშვთა ჯგუფის ან ზოგადად ბავშვთა უფლებებზე ზეგავლენის შეფასების ვალდებულება. რეკომენდირებულია გადაიხედოს ეს კანონები და მათში აისახოს საკანონმდებლო აქტების შემუშავების პროცესში ბავშვზე ზეგავლენის შეფასების სავალდებულო მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილი იქნას ნებისმიერი კანონის ან საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისობა ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის (ჯგუფების) საუკეთესო ინტერესებთან.

3.2. ბავშვის უფლებათა ძირითადი პრინციპები
(ბავშვის საუკეთესო ინტერესები, მონაწილეობის უფლება, დისკრიმინაციის აკრძალვა)

3.2.1. ბავშვის საუკეთესო ინტერესები

[21] EU-UNICEF Child-Rights Toolkit / UNICEF, 2014/ Module 5
[22] მუხ. 1
[23] მუხ. 17
[24] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1691403
[25] საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, მუხ. 10 (10) https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052
[26] მუხ. 145

ა) ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინება სამოქალაქო ურთიერთობებში

ბავშვის უფლებათა კონვენცია მოითხოვს, რომ ბავშვებთან დაკავშირებით ნებისმიერი მოქმედების განხორციელებისას საჯარო ან კერძო სოციალური კეთილდღეობის დაწესებულებების, სასამართლოების, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოების მიერ, უპირველეს ყოვლისა გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები[27]. სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს ბავშვთა კეთილდღეობაზე[28]. ბავშვზე ზრუნვის ყველა საჯარო, კერძო და მოხალისეობრივი დაწესებულება და სერვისი უნდა შეესაბამებოდეს კონვენციის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს[29]. კონვენცია მიუთითებს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინების ვალდებულების შესახებ, ასევე, ისეთ საკითხებზე, რომლებიც ეხება მშობლის ვალდებულებებს[30], ოჯახის გაერთიანებას[31], ბავშვის განცალკევებას მშობლებისგან[32], ოჯახური გარემოსგან მოშორებას და ალტერნატიული ზრუნვას[33], შვილად აყვანას[34].

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია მოითხოვს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა მიიღონ ყველა საჭირო ზომა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებმა სხვა ბავშვების თანასწორად ისარგებლონ ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქმედებაში, უპირველეს ყოვლისა გათვალისწინებული უნდა იქნას ბავშვის საუკეთესო ინტერესები[35].

კომიტეტის თანახმად,[36] ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნება სამგანზომილებიანია:
ა) მატერიალური უფლება: ბავშვის (ბავშვთა ჯგუფის, ზოგადად ბავშვების) უფლება მისი საუკეთესო ინტერესები შეფასდეს და დაეთმოს უპირველესი ყურადღება მასთან დაკავშირებით ნებისმიერ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად. ესაა კონვენციით დადგენილი, სახელმწიფოს არსებითი ვალდებულება, რომელიც პირდაპირ უნდა იქნეს გამოყენებული და დარღვევის შემთხვევაში, გასაჩივრდეს სასამართლოში.
ბ) ფუნდამენტური სამართლებრივი პრინციპი: თუ ეროვნულ კანონში სამართლებრივი ნორმა იძლევა ერთზე მეტი განმარტების საშუალებას, გამოყენებული უნდა იქნას ის განმარტება, რომელიც ყველაზე მეტად ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, როგორც მოცემულია კონვენციასა და მის დამატებით ოქმებში.
გ) საპროცესო ნორმა: ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა მოითხოვს საპროცესო გარანტიებს. უფრო მეტიც, ბავშვთან, ბავშვთა ჯგუფთან ან ზოგადად ბავშვებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს ამ უფლების უპირატესად გათვალისწინების დასაბუთებას. კერძოდ, დასაბუთებაში უნდა იქნას ახსნილი, რა იქნა მიჩნეული ბავშვის საუკეთესო ინტერესებად; რა კრიტერიუმებს დაეფუძნა ასეთი მსჯელობა; და როგორ იქნა დადგენილი ბავშვის საუკეთესო ინტერესები სხვა პირთა ინტერესებსა და პოლიტიკურ საკითხებთან მიმართებაში.

---

[27] მუხ. 3.1
[28] მუხ. 3.2
[29] მუხ. 3.3
[30] მუხ. 18.1
[31] მუხ. 10
[32] მუხ. 9
[33] მუხ. 20
[34] მუხ. 21
[35] მუხ. 7
[36] ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #14 „ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების შესახებ“, პარა. 6

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ მიუთითებს სახელმწიფოს შემდეგ ვალდებულებებზე:

1. ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების უფლების კანონმდებლობით უზრუნველყოფა;

2. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისას: ა) ბავშვის მოსაზრებებს უნდა მიენიჭოს სათანადო მნიშვნელობა; ბ) გათვალისწინებული უნდა იქნას ბავშვის ყველა სხვა უფლება, მათ შორის, ღირსების, თავისუფლების და თანაბარი მოპყრობის უფლება; გ) გამოყენებული უნდა იქნეს მულტიდისციპლინური მიდგომა ყველა უწყების მიერ, რომელიც შეისწავლის ყველა ინტერესს, მათ შორის, ბავშვის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ კეთილდღეობას, სამართლებრივ, სოციალურ და ეკონომიკურ ინტერესებს.

3. სასამართლოებმა ბავშთა მონაწილეობით საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გამოიყენონ მულტიდისციპლინური მიდგომა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასადგენად[37].

სამოქალაქო კოდექსი მიუთითებს, რომ მშობლები უფლებამოსილი და ვალდებულნი არიან აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი „ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით“[38]. გარდა ამისა, სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ მშობლებს ევალებათა დაიცვან თავიანთი არასრულწლოვანი შვილების უფლებები და ინტერესები, რაც მოიცავს შვილების ქონების მართვასა და გამოყენებას[39]. **აღსანიშნავია, რომ „საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების“ პრინციპი აღნიშნულია მხოლოდ მშობელთა მიერ ბავშვის აღზრდის მოვალეობებთან მიმართებაში და არა ყველა უფლებასთან დაკავშირებით, როგორიცაა მშობლის მიერ ბავშვის წარმომადგენლობა მესამე პირებთან ურთიერთობაში და ბავშვის ქონების მართვა. კანონი არ ადგენს ბავშვის ქონებრივი უფლებების დაცვის მყარ სამართლებრივ გარანტიებს მშობელთა მიერ მისი ქონების განკარგვის უფლების ბოროტად გამოყენების რისკების თავიდან აცილებისთვის[40].**

სამოქალაქო კოდექსის თანახმად, სასამართლო განხილვას ექვემდებარება ბავშვთა მონაწილეობით შემდეგი საკითხების განხილვა: ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში[41]; ბავშვის აღზრდის საკითხების გადაწყვეტა მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში[42]; მშობლის უფლება-მოვალეობების შეზღუდვა შეიძლება სასამართლოს მიერ, თუმცა მას უნარჩუნდება ბავშვის რჩენის ვალდებულება[43]; მშობლის უფლება-მოვალეობების ჩამორთმევა (მათ შორის, 14 წელს მიღწეული ბავშვის ინიციატივით)[44]; მშობლის უფლება-მოვალეობების აღდგენა[45]; საალიმენტო მოვალეობის შესახებ დავას[46]; შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილება[47];

---

[37] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები 1-4, გვ.19

[38] მუხ. 1198.1

[39] სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 1198.4

[40] გთხოვთ დამატებით იხილოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განმხილველი მოსამართლის, ქ-ნ ეკა ზარნაძის მოხსენება ამ საკითხზე

[41] მუხ. 1201.2

[42] მუხ. 1200

[43] მუხ. 1205

[44] მუხ. 1206

[45] მუხ. 1209

[46] მუხ. 1214

[47] მუხ. 1242, 1254 და 1255

შვილად აყვანის ბათილობა[48]. **ამ საკითხებთან დაკავშირებით კოდექსი არ ასახავს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირველესად გათვალისწინების პრინციპს.**

რეკომენდებულია სამოქალაქო კოდექსმა აღიაროს ბავშვის მატერიალური უფლება მისი საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების შესახებ ყველა საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მას ეხება, როგორც მშობელთა მიერ აღზრდის მოვალეობის, ასევე, მათ მიერ ბავშვის მესამე პირებთან წარმომადგენლობის და ბავშვის ქონების განკარგვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას. შესაბამისად, ეს პრინციპი უნდა გავრცელდეს სასამართლოს მიერ ბავშვთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას. საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსით ბავშვის ფუნდამენტური მატერიალური უფლების აღიარება მისი საუკეთესო ინტერესების შეფასებასა და უპირატესად გათვალისწინებაზე მასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას. კანონში ყურადღება უნდა გამახვილდეს, რომ ამ უფლების დარღვევა ექვემდებარება სასამართლოში გასაჩივრებას.

ა.ბ) საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინება, როგორც საპროცესო ნორმა

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები ან მზრუნველები. ამასთანავე, სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეებში ჩააბას თვით არასრულწლოვნებიც[49]. მცირეწლოვნის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავს მისი კანონიერი წარმომადგენელი. სასამართლო უფლებამოსილია მცირეწლოვანიც ჩააბას[50].

კოდექსი ადგენს, რომ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა[51]. სასამართლოს შეუძლია მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე, ბავშვთან დაკავშირებით მიიღოს შუალედური გადაწყვეტილება საოჯახო დავების დროს მშობელთა მიერ ბავშვზე ზრუნვის, აღსაზრდელად გადაცემის, ბავშვთან ურთიერთობის და რჩენის საკითხებზე[52].

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ადგენს სპეციფიკურ საპროცესო გარანტიებს და ბავშვთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების სათანადოდ დასაბუთების წესს.

აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისას ყურადღება გამახვილდეს ბავშვთა მონაწილეობით სამოქალაქო საქმეთა წარმოების დროს ისეთი პროცესუალური გარანტიების დადგენაზე, როგორიცაა: მოსამართლის მიერ ბავშვთან დაკავშირებით ფაქტების დადგენა და გაანალიზება მისი საუკეთესო ინტერესების დასადგენად მულტიდისციპლინური მიდგომით, საჭიროებისამებრ, სხვადასხვა სპეციალისტების მონაწილეობით; გადაწყვეტილებათა მიღების დროულობა და მისი გადასინჯვის შესაძლებლობა ბავშვის ზრდადი განვითარების გათვალისწინებით; გადაწყვეტილებათა დასაბუთების ვალდებულება ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების შესახებ. რაც შეეხება

[48] მუხ. 1272
[49] მუხ. 81.3
[50] მუხ. 81.4
[51] სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 249.4
[52] მუხ. 355

გადაწყვეტილების დასაბუთებას, მასში უნდა იქნას ახსნილი, რა იქნა მიჩნეული ბავშვის საუკეთესო ინტერესებად; რა კრიტერიუმებს დაეფუძნა ასეთი მსჯელობა; და როგორ იქნა დადგენილი ბავშვის საუკეთესო ინტერესები სხვა პირთა ან უწყებათა ინტერესებთან მიმართებაში.

ბ) ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის და განცხადების განხილვის წესს, მიზნად ისახავს უზრუნველყოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა[53]. კოდექსის რეგულირების სფეროში ექცევა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ბავშვებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსება, ანტისოციალური ქცევის დროს გადამისამართების ღონისძიება, ძალადობისგან ბავშვის დაცვა და სხვა საკითხები. თუმცა კოდექსი არ ასახავს ბავშვის უფლებას მისი საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინებაზე ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას.

რეკომენდებულია ზოგადმა ადმინისტრაციულმა კოდექსმა აღიაროს ბავშვის ფუნდამენტური უფლება მისი საუკეთესო ინტერესების შეფასებასა და უპირატესად გათვალისწინებაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას. კანონში ყურადღება უნდა გამახვილდეს, რომ ამ უფლების დარღვევა ექვემდებარება სასამართლოში გასაჩივრებას.

სოციალური დახმარება და ალტერნატიული ზრუნვა

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი მიუთითებს[54] „გაეროს ბავშვთა ალტერნატიული ზრუნვის სტანდარტებზე“[55] მიზნად ისახავს უზრუნველყოს ბავშვთა ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსების თავიდან არიდება, გარდა აუცილებელი შემთხვევისა. კონკრეტულად, „ფინანსური და მატერიალური სიღარიბე ან სხვა პირობები, რომლებიც პირდაპირ ან ერთმნიშვნელოვნად ახასიათებს სიღარიბეს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გახდეს ბავშვის ოჯახიდან განცალკევების ერთადერთი საფუძველი... არამედ, ეს პირობები უნდა იყოს აღქმული სიგნალად, რომელიც გვანიშნებს ამ ოჯახის მხარდაჭერის საჭიროებაზე“.

კანონი სოციალური დახმარების შესახებ აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე სოციალური დახმარების მიღებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებს, ადგენს სოციალური დახმარების სახეებსა და მისი დანიშვნის ძირითად პრინციპებს[56]. ეს კანონი მხოლოდ ერთგან მოიხსენიებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, კერძოდ, რეინტეგრაციის შემწეობის ხელშეკრულების პირობების დარღვევისას ბიოლოგიური ოჯახი კარგავს ფულადი დახმარების მიღების უფლებას, ხოლო რეინტეგრირებული ბავშვის საკითხი წყდება მისი ინტერესების უპირატესი დაცვით[57].

---

[53] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 1 (1,2)

[54] კომიტეტის ზოგადი კომენტარი #14 ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობის შესახებ (2013), პარა. 62

[55] გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 64/142, პარა. 15

[56] მუხ. 1.2

[57] მუხ. 21 (3)

კანონის თანახმად, სპეციალიზებულ დაწესებულებაში, გარდა პანსიონისა, ბავშვის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო[58]. ბავშვის მოთავსება დაწესებულებაში ხდება დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, რომელიც შეიძლება იყოს თავად მოთავსების მსურველი ან მისი ოჯახის წევრი, მეურვეობის და მზრუნველობის ორგანო ან სასამართლო[59].

კანონი არ ასახავს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების პრინციპს სოციალური დახმარების დანიშვნის და სპეციალიზებულ დაწესებულებაში ბავშვის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

კანონი სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ განსაზღვრავს სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის პირობებს და გაცემაზე უფლებამოსილ ორგანოს. ეს კანონი ვრცელდება ყველა სახის სააღმზრდელო საქმიანობაზე, გარდა მინდობით აღზრდისა, განათლების სამინისტროს მიერ დაფუძნებული სკოლა-პანსიონისა და ისეთი დაწესებულებისა, სადაც ბავშვი იმყოფება წელიწადში არაუმეტეს 3 თვისა[60]. ერთ-ერთი სალიცენზიო მოთხოვნაა მთავრობის მიერ დადგენილი ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დაკმაყოფილება[61]. ესაა რეგლამენტი რომელიც, თავის მხრივ, ავალდებულებს ალტერნატიული ზრუნვის სერვისის მომწოდებელს დაიცვას შემდეგი სტანდარტები: ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მომსახურების შესახებ, მომსახურების ინკლუზიურობა, კონფიდენციალობის დაცვა, ინდივიდუალური მიდგომა, ემოციური და სოციალური განვითარება, კვება, დასვენების და გაჯანსაღების შესაძლებლობა, განათლება, ჯანდაცვა, უკუკავშირის და გაპროტესტების პროცდურები, ძალადობისგან დაცვა, ზრუნვა და მეთვალყურეობა, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მზადება, გარემო, სანიტარული მდგომარეობა, პერსონალის კვალიფიკაცია.

აღსანიშნავია, რომ ეს კანონი არსად მოიხსენიებს სააღმზრდელო საქმიანობის განხორციელების პრინციპებს, მათ შორის, ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების ვალდებულებას. მთავრობის დადგენილება ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების შესახებ, ასევე, არ ასახავს ბავშვის უფლებების დაცვის ამ ფუძემდებლურ პრინციპს სხვა ისეთ პრინციპებთან ერთად, როგორიცაა მოსმენის და აზრის გათვალისწინების უფლება, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, და სხვა.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებისას გათვალისწინებული იქნეს შემდეგი საკითხები: განხილული კანონების ხარვეზების შევსება ალტერნატიულ ზრუნვაში ბავშვის მოთავსების პრინციპების ასახვით (ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსება, როგორც უკიდურესი საშუალება; ბავშვის და ოჯახის მდგომარეობის მულტიდისციპლინური შეფასება; ზრუნვის სათანადო ფორმის შერჩევა ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად; რეგულარული მონიტორინგის სისტემას; და სხვა).

საკანონმდებლო ცვლილებებმა უნდა მოიცვას, აგრეთვე, სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ კანონში (ან ახალი კანონის მიღება) სკოლა-პანსიონის ლიცენზირების რეგულირება (სპეციფიკური საკითხია, რადგან მოიცავს საგანამანთლებლო და სააღმზრდელო კომპონენტს), ყველა სააღმზრდელო დაწესებულების რეგულარული მონიტორინგი სტანდარტებთან შესაბამისობის, ბავშვთა მდგომარეობის შემოწმების და სერვისების გაუმჯობესების მიზნით.

---

[58] მუხ. 14 (1,2)
[59] მუხ. 14 (4)
[60] მუხ. 1
[61] მუხ. 6.3 (ვ)

ბ.ა) სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში

ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული დავები ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებების კანონიერების, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა ქმედების განხორციელების თაობაზე. ამის გარდა, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება საქმეები, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ადმინისტრაციული წესით განიხილება, აგრეთვე, არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების და ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ კანონის თანახმად, პირის ანარებაყოფლობითი იზოლაციის საქმე[62]. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას ექვემდებარება ისეთი საკითხები, როგორიცაა: ძალადობისგან ბავშვის დაცვა, არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარება, ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვის მიმართ გადამისამართების ღონისძიების გამოყენება (მათ შორის, სკოლა პანსიონში გაგზავნა), უცხოელის საქართველოდან გაძევების საკითხი და სხვა.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი მხოლოდ ძალადობისგან ბავშვის დაცვის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ ძალადობისგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, მათ შორის, არასრულწლოვნის დაკითხვისას გათვალისწინებული უნდა იქნებს არასრულწლოვნის **„საუკეთესო ინტერესები მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად“[63]**. კოდექსი არ მოიცავს სასამართლოს მიერ ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასების და განსაზღვრის ვალდებულებას ბავშვთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას და გადაწყვეტილებათა სათანადო დასაბუთების საკითხს.

შესაბამისად, რეკომენდებულია გადაიხედოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი იმ მიზნით, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების შეფასების და განსაზღვრის ვალდებულება გავრცელდეს ბავშვთან დაკავშირებით არა მხოლოდ ცალკეულ, არამედ ნებისმიერ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას.

გ) ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება სხვა სფეროს მარეგულირებელი კანონებით

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს, რომელთა ის ახორციელებს დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით[64]. მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს შორის მითითებულია: სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, საჯარო თავშეყრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირება და აღჭურვა ბავშვებისათვის, ასევე, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება სოციალური დახმარების, ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, ოჯახში ძალადობის პრევენციის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, ასევე, უფლებამოსილია გადაწყვიტოს ნებისმიერი სხვა საკითხი, რაც ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება არ არის და აკრძალული არაა კანონით[65].

---

[62] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
[63] მუხ. 21^{12} (3)
[64] მუხ. 15.2
[65] მუხ. 16.2 „უ“,3, 4

კოდექსი არ მიუთითებს ვალდებულებებზე, როგორიცაა ყველა გადაწყვეტილების მიღებისას ბავშვის, ბავშვთა ჯგუფის ან ზოგადად ბავშვთა პოპულაციის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინება. გამომდინარე იქედან, რომ ამ პრინციპის აღიარება არ წარმოადგენს მხოლოდ ბავშვის უფლებების მიმართ პატივისცემის გამოხატვას, არამედ თავისთავში მოიცავს მისი განხორციელების კონკრეტულ მექანიზმებს, როგორიცაა ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის ინტერესების შეფასება ყველა სხვა უფლებების გათვალისწინებით, ბავშვთა მოსმენა და მათი მოსაზრებების სათანადოდ გათვალისწინება და საბოლოოდ მათ საუკეთესო ინტერესებთან ყველაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება სათანადო დასაბუთებით. კოდექსი ასევე არ ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებისას ბავშვთა მონაწილეობის პრინციპს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც გააუმჯობესებს ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებას და დაცვას ადგილობრივი ხელისუფლების მიერ.

კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ მიუთითებს, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის არასრულწლოვან წევრთა ინტერესებს წარმოადგენენ მათი კანონიერი წარმომადგენლები. ქმედებანი არასრულწლოვანთა სახელით ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად[66]. **კანონი არ მოიცავს სხვა რაიმე მითითებას ამხანაგობის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას ბავშვთა მონაწილეობის, მათი საუკეთესო ინტერესების და უფლებების შესახებ. მნიშვნელოვანია ბავშვის აზრის მოსმენის და სერიოზული მნიშვნელობის მინიჭების პრინციპი, როგორც საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების შემადგენელი ნაწილი, უზრუნველყოფა მოხდეს ყველა დონეზე, პირველ რიგში, ოჯახსა და საცხოვრებელ გარემოში.**

კანონი გარემოს დაცვის შესახებ ძირითად მიზნებს შორის მიუთითებს სახელმწიფოს მიერ გარემოს დაცვის და რაციონალური ბუნებათსარგებლობის უზრუნველყოფას „მომავალი თაობების ინტერესების“ გათვალისწინებით[67]. **სხვა მხრივ, არცერთი სხვა დებულება არ ეხება გარემოს დაცვის საკითხების დაგეგმვის და გადაწყვეტის დროს ბავშვთა უფლებების და საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების პრინციპს.**

3.2.2. ბავშვის უფლება მონაწილეობაზე

ბავშვის უფლებათა კონვენცია მოითხოვს, სახელმწიფომ უზრუნველყოს ბავშვის მიერ, მასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მოსაზრებების თავისუფლად გამოხატვის უფლება, როდესაც ბავშვს შეუძლია ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრებები, რომლებსაც უნდა მიენიჭოს სათანადო მნიშვნელობა ბავშვის ასაკისა და განვითარების შესაბამისად. ბავშვს უნდა მოუსმინონ მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სასამართლო და ადმინისტრაციულ პროცესში, პირდაპირ ან წარმომადგენლის ან შესაბამისი დაწესებულების მეშვეობით, ეროვნული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით[68].

კონვენცია სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას უზრუნველყოს ბავშვის მონაწილეობის უფლების აღსრულება მისი მოსმენით და მისი მოსაზრებებისთვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭებით, რაც გარანტირებული უნდა იყოს ეროვნული

[66] მუხ. 19.4
[67] მუხ. 3.1
[68] მუხ. 12

კანონმდებლობით[69]. ყველა პროცესი, რომელშიც ბავშვები მონაწილეობენ და ხდება მათი მოსმენა, აუცილებლად უნდა იყოს[70]: ინფორმატიული, ნებაყოფლობითი, პატივისცემით განწყობილი, ბავშვზე მორგებული, ინკლუზიური, ბავშვის საკითხებზე გადამზადებული პროფესიონალების მიერ, უსაფრთხო, ბავშვისადმი ანგარიშვალდებული.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპები[71] მიუთითებს სახელმწიფოებს:

- მოსამართლეებმა უნდა დაიცვან ბავშვის უფლება მოსმენაზე ყველა საკითხზე, რომელიც მას ეხება. მოსმენის დროს გამოყენებული უნდა იქნეს ბავშვის აღქმის დონისა და კომუნიკაციის შესაძლებლობებთან შესაბამისი საშუალებები საქმის გარემოებების გათვალისწინებით. ბავშვებს უნდა ჰკითხონ, თუ რა ფორმით ურჩევნიათ ამ უფლების განხორციელება. ბავშვის მოსაზრებებს და შეხედულებას უნდა მიენიჭოს სათანადო მნიშვნელობა მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად;
- მხოლოდ ასაკის გამო ბავშვს არ უნდა წაერთვას შესაძლებლობა მოუსმინონ. როდესაც კი ბავშვი გაბოიჩენს ინიციატივას მოუსმინონ მას მასთან დაკავშირებულ საქმეზე, მოსამართლემ არ უნდა უარყოს და უნდა მოუსმინოს მის მოსაზრებებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

ა) ბავშვის მონაწილეობის უფლება ოჯახში

მშობელთა უფლება-მოვალეობების შესახებ, კონვენცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა აღიაროს მშობელთა ვალდებულება ბავშვს, მისი განვითარების შესაძლებლობების გათვალისწინებით, მიაწოდოს სათანადო მითითებები და რჩევა-დარიგება საკუთარი უფლებების თავადვე განხორციელების შესახებ. ბავშვის აღზრდა-განვითარებისას მშობელთა ძირითადი საზრუნავი უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები[72]. კომიტეტი მიუთითებს, რომ მშობელთა მიერ ბავშვის აღზრდისას მისი საუკეთესო ინტერესების განმარტება უნდა შეესაბამებოდეს კონვენციას მთლიანობაში, მათ შორის, ძალადობისგან ბავშვის დაცვის და ბავშვის მოსაზრებების მოსმენის კუთხით. საუკეთესო ინტერესებით არ შეიძლება გამართლდეს ფიზიკური დასჯის პრაქტიკა ან სხვა სახის სასტიკი ან დამამცირებელი სასჯელი, რაც ეწინააღმდეგება ბავშვის ღირსებას და ფიზიკურ მთლიანობას. იგივე ითქმის, კონვენციის მე-5 მუხლზეც, რომელიც მოითხოვს, რომ მშობლებმა სათანადო მითითებები და რჩევა-დარიგებები მიაწოდონ ბავშვებს. ტერმინის „სათანადო“ განმარტება არ ტოვებს არანაირ სივრცეს დისციპლინის ძალადობრივი ფორმებისთვის[73].

კომიტეტი მიუთითებს,[74] რომ სახელმწიფოს კანონმდებლობა და პოლიტიკის დოკუმენტები უნდა ითვალისწინებდეს მშობლების, მეურვეებისა და მზრუნველების მიერ ბავშვის მოსმენას და მათი მოსაზრებებისთვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭებას ბავშვთან დაკავშირებულ საკითხებზე. მშობლებს უნდა გაეწიოთ შესაბამისი კონსულტაცია, რათა ბავშვებს მხარი დაუჭირონ მოსმენის და მოსაზრებების გათვალისწინების უფლების განხორციელებაში.

---

[69] ზოგადი კომენტარი #12, პარა. 15

[70] ზოგადი კომენტარი #12, პარა. 132-134, გვ. 29

[71] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპები, 44-47, გვ. 28

[72] მუხ. 5 და მუხ. 18.1

[73] ზოგადი კომენტარი #8, პარა. 26 და 28

[74] ზოგადი კომენტარი #12, პარა. 90-96, გვ. 21

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით რეგულირდება საოჯახო ურთიერთობები. კოდექსი ადგენს, რომ შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში[75]. დაუშვებელია არასრულწლოვანი ბავშვის აღზრდისას მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ აღზრდის ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც არასრულწლოვნის ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ ტანჯვას იწვევს[76].

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი დებულება ბავშვის მშობელთა თანაბარი მონაწილეობის შესახებ შესაბამისობაშია კონვენციის მოთხოვნასთან[77], თუმცა არ ასახავს არ მოიცავს მშობელთა პასუხისმგებლობას გააძლიერონ ბავშვი, მისი განვითარების შესაძლებლობების შესაბამისად, სათანადო მითითებების და რჩევა-დარიგების მიწოდების გზით, რათა ბავშვმა მონაწილეობა მიიღოს მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში და საბოლოოდ თავადვე შეძლოს საკუთარი უფლებების განხორციელება. მნიშვნელოვანია, ასევე, აღზრდის მტანჯველი მეთოდების გამოყენების აკრძალვა, თუმცა არასაკმარისია დღეს არსებული სოციალურ-კულტურული კონტექსტის პირობებში ბავშვთა ფიზიკური დასჯის პრაქტიკის აღმოსაფხვრელად[78].

აქედან გამომდინარე, რეკომენდირებულია სამოქალაქო კოდექსი შესაბამისობაში მოვიდეს მშობელთა უფლება-მოვალეობების და ოჯახში ბავშვის უფლებების შესახებ ბავშვის უფლებათა კონვენციასთან[79] და სამოქალაქო კოდექსში გაფართოვდეს მშობლის უფლება-მოვალეობები ბავშვის უფლებრივი გაძლიერების კუთხით. ამავე დროს, რეკომენდირებულია პირდაპირ აიკრძალოს ბავშვის მიმართ ფიზიკური დასჯის ან სხვა სასტიკი ან/და დამამცირებელი მოპყრობის ან/და სასჯელის გამოყენება.

52 ქვეყანაში უკვე კანონით პირდაპირ აკრძალულია ბავშვთა ფიზიკური დასჯა. საინტერესოა რამდენიმე ქვეყნის მაგალითი თვალსაჩინოებისთვის[80]:

ფინეთი[81]
„ბავშვი უნდა აღიზარდოს ურთიერთგაგების, უსაფრთხოების და სიყვარულის გარემოცვაში. დაუშვებელია მისი დამცირება, ფიზიკურად დასჯა ან სხვაგვარად შეურაცხყოფა. მშობლებმა და სხვა მზრუნველებმა უნდა წაახალისონ, მხარი დაუჭირონ და ხელი შეუწყონ მის დამოუკიდებელ, პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილ და მოწიფულ პიროვნებად განვითარებას“.

შვედეთი[82]
„ბავშვებს უფლება აქვთ ზრუნვაზე, უსაფრთხოებასა და კარგ აღზრდაზე. ბავშვის მიმართ მოპყრობა უნდა ეფუძნებოდეს მისი პიროვნებისა და ინდივიდუალობის პატივისცემას და დაუშვებელია მის მიმართ ფიზიკური დასჯის ან სხვა დამამცირებელი სასჯელის გამოყენება“.

[75] მუხ. 1197
[76] მუხ, 1198.1[1]
[77] ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხ. 18.1
[78] იხ. გაეროს ბავშვთა ფონდის კვლება ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ საქართველოში http://unicef.ge/uploads/Unicef_VAC_GEO_Final3_02_09.pdf
[79] კონვენციის მე-5 და მე-19 მუხლები
[80] http://www.endcorporalpunishment.org/
[81] „აქტი ბავშვზე ზრუნვისა და უფლებების შესახებ“ ცვლილება 1983წ; მუხ. 1 (3)
[82] კოდექსი მშობელთა უფლება-მოვალეობებისა და მეურვეობის შესახებ, ცვლილება 1979წ. მუხ. 1

კოსტა-რიკა[83]
„ბავშვებსა და ახალგაზრდებს უფლება აქვთ მიიღონ რჩევები, განათლება, ზრუნვა და დისციპლინური მითითებები თავიანთი დედის, მამის ან მასწავლებლის, ასევე სხვა მზრუნველების ან საგანმანათლებლო და ჯანდაცვის ცენტრების პერსონალის, თავშესაფრის, დაკავების დაწესებულების ან სხვა ტიპის დაწესებულების პერსონალისგან, რაც არცერთ შემთხვევაში არ მოიცავს ამ პირებისგან ფიზიკური დასჯის ან სხვა სახის დამამცირებელი მოპყრობის დაშვებას“.

ბ) ბავშვის მოსმენა და მისი მოსაზრებების სათანადოდ გათვალისწინება სამოქალაქო სამართალწარმოების დროს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები ან მზრუნველები. ამასთანავე, სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეებში ჩააბას თვით არასრულწლოვნებიც[84]. მცირეწლოვნის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავს მისი კანონიერი წარმომადგენელი. სასამართლო უფლებამოსილია მცირეწლოვანიც ჩააბას პროცესში[85]. არამართლზომიერად გადაადგილებული ან დაკავებული ბავშვის საქმეზე, სასამართლომ უნდა მოუსმინოს ბავშვს, თუ მისი ასაკი, ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა ამის შესაძლებლობას იძლევა. ბავშვის მოსმენა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მას უნდა დაესწროს ექსპერტი ან/და სოციალური მუშაკი[86].

კოდექსი არ გვაწვდის განმარტებას ან სხვა რაიმე მითითებას ბავშვის უფლებაზე მისი მოსაზრების მოსმენასა და სათანადოდ გათვალისწინებაზე. ამავე დროს, არცერთ მუხლში არაა განმარტებული, თუ რას გულისხმობს „საქმეში ჩაბმა“. შესაბამისად, ამ საკითხის განმარტება და გადაწყვეტა პრაქტიკაში დამოკიდებულია ინდივიდუალურ მოსამართლეზე, რაც ვერ უზრუნველყოფს ბავშვის უშუალოდ მოსმენის და მისი მოსაზრებების სათანადოდ გათვალისწინების უფლებას კონვენციით აღიარებული შინაარსით.

შესაბამისად, რეკომენდირებულია კოდექსმა ასახოს, რომ ყველა ბავშვს აქვს უფლება მოსმენასა და მონაწილეობაზე მისი ასაკისა და განვითარების შესაბამისად. ტერმინი „ასაკისა და განვითარების“ შესაბამისად უნდა განიმარტოს, როგორც სახელმწიფოს ვალდებულება ნებისმიერ ბავშვს მოუსმინოს და ამისათვის გამოიყენოს ყველა შესაბამისი საკომუნიკაციო თუ სხვა დამხმარე საშუალება. ამ ტერმინის განმარტება არასწორია იმ გაგებით, თითქოს პატარა ასაკის ბავშვის მოსმენა არაა სავალდებულო, რადგან მას ვერბალურად არ შეუძლია გამართულად გადმოსცეს თავისი მოსაზრება. მითითება იმაზე, რომ სასამართლო ბავშვს მოუსმენს, „თუ მისი ასაკი, ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა“ ფაქტობრივად მოსმენის უფლებას უზღუდავს მცირეწლოვან და შშმ ბავშვებს, ხოლო სხვა ბავშვებთან მიმართებაშიც არ ქმნის მათი მოსმენის გარანტიას. ბავშვს უნდა მოუსმინონ ყოველთვის, როდესაც მას სურს აზრის გამოთქმა. "სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თუნდაც მცირე ასაკის ბავშვთა დამოუკიდებელი წარმომადგენლობა ყველა სამართლებრივ პროცესში და მათი მოსმენა

[83] კოდექსი ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლებების შესახებ, ცვლილება 2008წ. მუხ. 24
[84] მუხ. 81.3
[85] მუხ. 81.4
[86] 351[13]

ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მათ ეხებათ"[87]. ბავშვის უფლება მისი აზრის მოსმენასა და სათანადოდ გათვალისწინებაზე მისი ასაკისა და განვითარების შესაბამისი საშუალებებით უნდა აისახოს არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, არამედ ბავშვთან დაკავშირებით ნებისმიერი საკითხის განხილვისას. ამავე დროს, კოდექსმა უნდა დაადგინოს დამატებითი საპროცესო გარანტიები, რათა ბავშვის მოსაზრებების მოსმენა იყოს ინფორმატიული, ნებაყოფლობითი, პატივისცემით განწყობილი, ბავშვზე მორგებული, ინკლუზიური, ბავშვის საკითხებზე გადამზადებული პროფესიონალების მიერ, უსაფრთხო, ბავშვისადმი ანგარიშვალდებული.

გ) ბავშვის მოსმენა ადმინისტრაციული ორგანოების და სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში

როგორც ზემოთ აღინიშნა (იხ. 3.2.1 „ბ", „ბ.ა") ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხილვას ექვემდებარება მთელი რიგი მნიშვნელოვანია საკითხებისა ბავშვთა მიმართ, მათ შორისაა, ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვთა გადამისამართების ღონისძიებების, ალტერნატიულ ზრუნვაში მოთავსების, არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის, უცხოელის გაძევების და სხვა საკითხებზე. ზოგადი წესით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ექვემდებარება ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში და შემდეგ - სასამართლოში გასაჩივრებას[88].

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობისთვის იყენებს სამოქალაქო კოდექსით დადგენილ ნორმებს სამართლებრივი ქმედუნარიანობის შესახებ[89], რომლის მიხედვითაც 7 წლამდე ბავშვი ქმედუუნაროდ ითვლება, ხოლო 7-18 წლამდე ბავშვის მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს მისი კანონიერი წარმომადგენელი. კოდექსი არ მიუთითებს ბავშვის უფლებაზე მისი მოსაზრებების მოსმენის და სათანადოდ გათვალისწინების შესახებ, თუ საკითხი ეხება ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის უფლებებს. იგივე ითქმის **ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსზეც, რომელიც** ადგენს ზოგად ნორმებს მონაწილეობის შესახებ, თუმცა არ ადგენს კონკრეტულ ნორმას ბავშვის უფლების შესახებ მოუსმინონ მას ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მის უფლებებს ეხება. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი ნორმები, ამ მხრივ, არ გამორიცხავს ბავშვთა მონაწილეობას, პირდაპირი სამართლებრივი ნორმების დადგენის გარეშე ბავშვის ამ უფლების რეალიზება პრაქტიკაში ვერ იქნება უზრუნველყოფილი. მით უფრო, როდესაც ბავშვის მოსმენისთვის საჭიროა დამატებითი საპროცესო გარანტიები, როგორიცაა სათანადო მხარდაჭერა სპეციალურად მომზადებული პროფესიონალების, შესაბამისი საკომუნიკაციო საშუალებებით და ბავშვზე მორგებული პროცედურების დაცვით. **რეკომენდირებულია, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით აღიარებული იქნეს ბავშვის მატერიალური უფლება მის მოსმენასა და მოსაზრებების სათანადოდ გათვალისწინებაზე, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგინდეს საპროცესო გარანტიები ამ უფლების განხორციელებისთვის ბავშვის ასაკისა და განვითარების შესაბამისი საშუალებებით კონვენციის შესაბამისად.**

3.2.3. დისკრიმინაციის აკრძალვა

[87] ზოგადი კომენტარი #7, პარა. 13. ა)

[88] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხ. 2

[89] იხ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 74-75-ე მუხლები და სამოქალაქო კოდექსის მე-12-16 მუხლები

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-2 მუხლი ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს პატივი სცენ და უზრუნველყონ კონვენციით აღიარებული უფლებები ყოველი ბავშვისთვის თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენცია[90] მოუწოდებს სახელმწიფოებს უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი და ეფექტური სამართლებრივი დაცვა ნებისმიერი დისკრიმინაციისგან. თანასწორობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის ხელშეწყობის მიზნით, კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს, მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, რათა უზრუნველყონ გონივრული მისადაგების გათვალისწინება.

ბავშვის უფლებათა კომიტეტი განმარტავს[91], რომ დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება სახელმწიფოსგან მოითხოვს აქტიურად გამოავლინოს ის ბავშვები და ბავშვთა ჯგუფები, რომელთა უფლებების აღიარებისა და რეალიზებისთვის განსაკუთრებული ზომების მიღებაა საჭირო. კერძოდ, კომიტეტი ხაზს უსვამს მრავალმხრივი (დისაგრეგირებული) მონაცემთა შეგროვების საჭიროებას, რათა გამოვლინდეს დისკრიმინაცია ან დისკრიმინაციის რისკები[92].

ევრპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ[93] მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს ტოლერანტობისა და კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობას, განსაკუთრებით, განათლების, კულტურის და მედიის მიმართულებით[94]. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს კომუნიკაციას მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის, მათ შორის, მასწავლებელთა გადამზადების და საინფორმაციო მასალის მიწოდების გზით[95].

ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები[96] ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოწყვლად ჯგუფებს, როგორიცაა: მიგრანტი, ლტოლვილი და თავშესაფრის მაძიებელი ბავშვები, ბავშვები თანმხლების გარეშე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, ქუჩაში მცხოვრები და უსახლკარო ბავშვები, ბოშა ბავშვები, ალტერნატიული ზრუნვის დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვები.[97] განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ თანმხლების გარეშე მყოფ ბავშვებს, რომლებსაც არა აქვს ბინადრობის სტატუსი, არ უნდა აღეკვეთოთ თავისუფლება მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი თავშესაფრის მაძიებელნი.

ა) დისკრიმინაციის აკრძალვის საკანონმდებლო გარანტიები

[90] მუხ.5

[91] ზოგადი კომენტარი #5 (2003) „ბავშვის უფლებათა კონვენციის აღსრულების ძირითადი ზომები“,გვ. 4

[92] Human Rights Committee, general comment No. 18 (1989), HRI/GEN/1/Rev.6, pp. 147 et seq.

[93] მიღებულია 1995 წელს, საქართველო შეუერთდა 22.12.2005
http://www.coe.int/en/web/minorities/etats-partie

[94] მუხ. 6

[95] მუხ.12

[96] ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ, პარაგრაფი 78 (22-ე მითითების განმარტება), 2010

[97] ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ, 2010

კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კრძალავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას და ავალდებულებს ყველა კერძო და საჯარო დაწესებულებას ყველა სამართლებრივი აქტი და შიდა რეგულაცია შეუსაბამოს ამ კანონს, მოახდინოს სწრაფი რეაგირება სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტზე და მისი დადასტურების შემთხვევაში პასუხისმგებლობა დააკისროს დამრღვევს[98].

კანონი დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის ანუ მონიტორინგის ფუნქციას აკისრებს სახალხო დამცველს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საჩივრები დისკრიმინაციის შესახებ. დისკრიმინაციის მსხვერპლის უფლებების აღსადგენად სახალხო დამცველი შესაბამის დაწესებულებას უგზავნის რეკომენდაციას. თუ რეკომენდაცია არ შესრულდა, სახალხო დამცველი უფლებამოსილია დაინტერესებული პირის სახით მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ და მოითხოვოს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან ქმედების განხორციელება[99]. კანონის თანახმად, სახალხო დამცველს ეკისრება დისკრიმინაციის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა და გაანალიზება დისკრიმინაციის ფაქტებზე[100]. ამ საკითხზე გამოსცემს სპეციალურ ანგარიშს[101].

კანონი აკისრებს ვალდებულებას ნებისმიერ ადმინისტრაციულ, სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სახალხო დამცველს მიაწოდონ საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და ახსნა განმარტება. კერძო პირებს ასეთი ინფორმაცია შეუძლიათ გასცენ ნებაყოფლობით[102].

ამასთანავე, კანონი ადგენს, რომ ყველა პირს, რომელიც თავს მიიჩნევს დისკრიმინაციის მსხვერპლად, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება[103]. საქმის განხილვაში მესამე პირად შეიძლება ჩაერთოს სახალხო დამცველი უფლებადამცველი ორგანიზაციის ან გაერთიანების მოთხოვნით და სავარაუდო მსხვერპლის თანხმობით[104].

საქართველოს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა არ მოიცავს "გონივრული მისადაგების" პრინციპს, რომელიც CRPD-ის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინოვაციას წარმოადგენს და რომელიც გონივრული მისადაგების გათვალისწინებაზე უარის თქმას დისკრიმინაციის სახედ განიხილავს. გონივრული მისადაგება აუცილებელია და შესაბამისად ჩასატარებელია სათანადო მოდიფიკაცია და კორექტირება, კონკრეტული საჭიროების შემთხვევაში, რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მათი უფლებებით თანაბრად სარგებლობის შესაძლებლობით (მაგალითად, ფიზიკურ გარემოზე სპეციალურად ადაპტირება, ინფორმაციის, საზოგადოებრივი ობიექტების, სკოლების ხელმისაწვდომობა). გონივრული მისადაგებით სარგებლობის უფლება, როგორც დისკრიმინაციისგან დაცვის განუყოფელი ნაწილი, ექვემდებარება

[98] მუხ. 4
[99] მუხ. 6.1-2 (ა-ზ)
[100] 6.2 (თ-ი)
[101] მუხ.7
[102] მუხ. 8.4
[103] მუხ.10
[104] მუხ.11

დაუყოვნებლივ ამოქმედებას და არა ეტაპობრივ დანერგვას. შესაბამისად, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია გონივრულ მისადაგებაზე უარის თქმა არასაკმარისი ფინანსური რესურსებით გაამართლოს.

განხილული ნორმების ანალიზით ჩანს, რომ საკანონმდებლო ცვლილებების გზით უნდა გაუმჯობესდეს დისკრიმინაციისგან ბავშვთა დაცვის გარანტიები შემდეგი საკითხების გათვალისწინებით:

- კანონმა უნდა დაადგინოს დისკრიმინაციისგან ბავშვთა დაცვის სპეციალური ღონისძიებების გატარების ვალდებულება და ბავშვზე მორგებული გასაჩივრების პროცედურები. გონივრული მისადაგების პრინციპი უნდა განმტკიცდეს კანონით და უზრუნველყოს ყველა უწყებამ, რომელსაც შეხება აქვს ბავშვთა უფლებებთან;
- კანონის თანახმად, სახალხო დამველს უნდა გაეზარდოს მანდატი, რათა გამოსცეს სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილება დისკრიმინაციის აღმოფხვრის მოთხოვნით და სათანადო სანქციების დაწესებით;
- კანონმა უნდა დაადგინოს დისაგრეგირებულ მონაცემთა (მათ შორის, სქესის, ეთნიკური, რელიგიური, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ალტერნატიულ ზრუნვაში ყოფნის და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლების მიხედვით) შეგროვებისა და ანალიზის ვალდებულება ადმინისტრაციული, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის დისკრიმინაციის ფაქტების, გამომწვევი მიზეზებისა და რისკების გამოვლენის მიზნით. სახალხო დამცველის ვალდებულება ამ კუთხით არასაკმარისია, რადგან მის მიერ შეგროვილი ინფორმაცია იქნება მხოლოდ იმ შემთხვევების შემცველი, რომელთა განხილვაც უშუალოდ სახალხო დამცველის აპარატს მოუწევს და ვერ ასახავს ერთიან სურათს;
- კანონმა უნდა დააკისროს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დისკრიმინაციის შესახებ შესაბამისი საგანმანათლებლო-საინფორმაციო ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, ბავშვებისთვის. მხოლოდ სახალხო დამცველის როლი ამ კუთხით საკმარისი ვერ იქნება.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი[105] მიესალმა საქართველოს კანონს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, თუმცა წუხილი გამოთქვა, აღსრულების მექანიზმის შესახებ, დამოუკიდებელი ორგანოს არარსებობის ფონზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებების გამოცემა და მოითხოვოს დამრღვევებზე ჯარიმის დაკისრება; დარღვევების პრევენციისთვის არასაკმარისი სანქციების შესახებ; და სახალხო დამცველის აპარატის მიერ თავისი ახალი ფუნქციების ეფექტურად განსახორციელებლად არასაკმარისი რესურსების შესახებ. კომიტეტის რეკომენდაციით, სახალხო დამცველის აპარატი უნდა აღიჭურვოს უფლებამოსილებით გასცეს იურიდიულად სავალდებულო დასკვნები და მოითხოვოს თავის მანდატის ფარგლებში სამართალწარმოების დაწყება. კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა გააუმჯობესოს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა, მათ შორის, უნდა უზრუნველყოს დამრღვევების სათანადოდ სანქცირება და დისკრიმინაციის მსხვერპლთა ეფექტური და სათანადო საშუალებებით უზრუნველყოფა.

[105] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი წარმოადგენს დამოუკიდებელი ექსპერტებისგან შემდგარ ორგანოს, რომელიც მონაწილე ქვეყნებში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მონიტორინგს განხორციელების. დასკვნა საქართველოს შესახებ 19 აგვ / 2014 http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/TBSearch.aspx?TreatyID=8&DocTypeID=5

ბ) დისკრიმინაციის დაუშვებლობა განათლების სფეროში

ზოგადი განათლების შესახებ კანონის თანახმად, სასწავლო გეგმები უნდა იყოს ობიექტური და არადისკრიმინაციული[106]. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს ან მათ გაერთიანებებს უფლება აქვთ თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, კანონით დადგენილი წესით, ისარგებლონ ამ კანონით და სკოლის მიერ აღიარებული უფლებებით და თავისუფლებებით, ასევე, სკოლის რესურსებით[107]. სკოლა თანასწორობის საფუძველზე იცავს უმცირესობების წევრების ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებას, თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება[108].

კანონი ვიწროდ განმარტავს დისკრიმინაციას, კერძოდ, მიუთითებს, რომ სკოლა ვალდებულია დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა[109]. ამასთანავე, ჩანაწერი ეროვნული სასწავლო გეგმის არადისკრიმინაციულობის შესახებ მნიშვნელოვანია მკაფიოდ ასახავდეს, თუ რომელ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს სასწავლო გეგმა, რომ ის ჩაითვალოს არადისკრიმინაციულად. უმცირესობებთან დაკავშირებით, კანონი უშვებს მათ მიერ მშობლიური ენით სარგებლობას და კულტურული კუთვნილების გამოხატვას, თუმცა არ ადგენს მათი ხელშეწყობის ღონისძიებებს.

კანონი ზოგადი განათლების შესახებ მიუთითებს, რომ ინკლუზიური განათლება არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად[110]. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან დაკავშირებით, კანონი განსაზღვრავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილებას შეიმუშავოს ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე, იდენტიფიკაციის მექანიზმი[111]. სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდი ახორციელებს პირის შეფასებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრის მიზნით და მისთვის განათლების საუკეთესო ფორმის შერჩევას[112].

საყურადღებოა, რომ კანონი სკოლას ანიჭებს უფლებამოსილებას და არ აკისრებს ვალდებულებას ინკლუზიური განათლების პირობების შექმნაზე[113]. ინკლუზიური განათლების განმარტება არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტით დადგენილ განმარტებას, რისი გამტკიცებაც ეროვნული კანონით ძალიან მნიშვნელოვანია მისი სწორი იმპლემენტაციისა და სახელმწიფოს ანგარიშვალდებულებისთვის.

---

[106] მუხ.5.6
[107] მუხ. 8.1
[108] მუხ. 13.7
[109] მუხ. 13.6
[110] მუხ. 3 „უ“
[111] მუხ. 26.1 „მ“
[112] მუხ. 2 „ჩ³“
[113] მუხ. 33.2 „ვ“

> გაეროს კომიტეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების საკითხებზე აღნიშნავს[114], რომ გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის თემატურმა კვლევამ შეზღუდული შესაძლებლოის მქონე პირთა განათლების უფლების შესახებ (2013) დაადასტურა, რომ მხოლოდ ინკლუზიურ განათლებას შეუძლია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ერთდროულად მაღალი ხარისხის განათლების მიწოდება და სოციალური განვითარება, და გარანტიის შექმნა განათლების უფლების საყოველთაობის და არადისკრიმინაციულობისთვის[115].

კანონი ადგენს, რომ მოსწავლეს უფლება აქვს თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივროს მასწავლებლისა და სკოლის უკანონო და არამართლზომიერი ქმედებები, ასევე, მიიღოს ზიანის სრული ანაზღაურება. კანონი ავალდებულებს სკოლას, შექმნას საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის ეფექტიანი საშუალება[116]. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და არც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ ადგენს ბავშვზე მორგებულ პროცედურებს სასამართლოსადმი მიმართვის და პროცესში მონაწილეობის თვალსაზრისით (იხ. 3.2). ზოგადი განათლების შესახებ კანონიც, თავის მხრივ, არ ადგენს ბავშვზე მორგებულ გასაჩივრების მექანიზმთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტულ მითითებას და პროცედურებს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა მოსწავლისთვის მისი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შემთხვევაში. მნიშვნელოვანია ამ კანონმა განსაზღვროს კონკრეტული სამართლებრივი დაცვის საშუალებები და ზიანის ანაზღაურების გარანტიები, რათა შემდეგ სკოლამ კანონის თანახმად შეასრულოს აღნიშნული ვალდებულება.

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები

კანონი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ გვაწვდის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის განმარტებას, კრძალავს დისკრიმინაციას, მიუთითებს სახელმწიფოს ვალდებულებაზე სოციალური ინფრაქსტრუქტურის და სოციალური დახმარების ხელმისაწვდომობის, სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების უზრუნველყოფის შესახებ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი[117] ითვალისწინებს ფინანსურ სანქციებს დასახლებული პუნქტების დაპროექტებისა და განაშენიანების, საცხოვრებელი რაიონების ფორმირების, საპროექტო გადაწყვეტილებების შემუშავების, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გაუთვალისწინებლობისთვის (500-800 ლარი), ხოლო ჯარიმის გამოწერაზე უფლებამოსილი ორგანო შრომის, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა სამინისტრო. **სანქციების შესახებ ოქმის გამოწერაზე მითითებულია სამინისტრო, თუმცა დადგენილი არაა რომელი კონკრეტული სამსახურია უფლებამოსილი აღასრულოს ეს მექანიზმი.**

არც ეს და არც სხვა რომელიმე კანონი არ ადგენს სპეციალურ ნორმებს მართლმსაჯულებაზე წვდომის საკითხზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის, როგორც სასამართლოსთვის მიმართვის, ასევე, სათანადო დახმარების

---

[114] გაეროს კომიტეტი შშმ პირთა უფლებებზე, ზოგადი კომენტარი #4 ინკლუზიური განათლების შესახებ, 02.09.2016

[115] A/HRC/25/29 para 3

[116] მუხ. 12.1-2

[117] მუხ. 178^2 და 239.45

გაწევის თვალსაზრისით (ინფორმაციის მიწოდება, კონსულტაცია, კომუნიკაციის საშუალებები და სხვა). შესაბამისად, რეკომენდირებულია საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდეს ამ მიმართულებით, რათა უზრუნველვყოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა წვდომა მართლმსაჯულებაზე დისკრიმინაციის გარეშე.

დ) მიგრანტი ბავშვების უფლებები

უცხოელ, მოქალაქეობის არმქონე, თავშესაფრის მაძიებელ ბავშვთა უფლება განათლებაზე

კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ[118] ადგენს, რომ საქართველოში მყოფ უცხოელს აქვს უფლება განათლებაზე კანონით დადგენილი წესით[119].

ზოგადი განათლების შესახებ კანონის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს სრული ზოგადი განათლების მიწოდებას ყველა ბავშვისთვის, მათ შორის, მოქალაქეობის არმქონე, დროებითი ბინადრობის უფლების მქონე, უცხოელი და საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი ბავშვებისთვის (ლტოლვილი, თავშესაფრის მაძიებელი, სხვა)[120].

კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ ადგენს, რომ სკოლამდელი განათლება ნებაყოფლობითი, უნივერსალური და ხელმისაწვდომია ყველა ბავშვისთვის[121], მათ შორის, უცხოელისთვის[122].

მთავრობის დადგენილება „საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ზოგადი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“[123] ადგენს ბავშვებისთვის ქართული ენის შემსწავლელ პროგრამაზე ხელმისაწვდომობას, რათა მათ იმ დონეზე შეისწავლონ ქართული ენა, რაც საჭიროა საქართველოში ზოგადი სასკოლო განათლების მისაღებად. დადგენილება მიუთითებს, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უზრუნველყოფს ქართულ ენაში მომზადების საგანამანათლებლო პროგრამის დაძლევის შემთხვევაში შესაბამის კლასში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას, კანონით დადგენილი წესით[124]. სამინისტრო, ასევე, უზრუნველყოფს ქართული ენის შესაბამისი კვალიფიკაციის პირის მეშვეობით სწავლებას[125].

განხილული კანონების ანალიზით ირკვევა, რომ ბავშვის უფლება განათლებაზე აღიარებულია ყველა ბავშვისთვის მოქალაქეობის მიუხედავად, თუმცა დადგენილი არ არის ამ უფლების განხორციელების გარანტიები. კერძოდ, განხილული კანონები აღიარებს ამ უფლებას ზოგადად და განხორციელების შესახებ მიუთითებს „კანონმდებლობით დადგენილ წესს“. ასეთი კონკრეტული წესი მოცემულია განხილულ მთავრობის დადგენილებაში, რომელიც მიუთითებს ქართული ენის სწავლების პროგრამაში უცხოელ ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელ ბავშვთა ჩართვის შესახებ. განათლების სამინისტრო უზრუნველყოფს ქართული ენის სწავლებას „შესაბამისი კვალიფიკაციის პირის მიერ“ და ბავშვთა ჩართვას ზოგადი განათლების შესაბამის კლასში „ქართული ენის პროგრამის დაძლევის შემთხვევაში“. აღნიშნული ჩანაწერით გაურკვეველია, თუ რა იგულისხმება კვალიფიკაციის „შესაბამისობაში“ და რა მოხდება,

---

[118] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2278806
[119] მუხ. 33
[120] მუხ. 22. 1,7
[121] მუხ. 4.2
[122] მუხ. 3 „კ“
[123] დადგენილება 29.01.2015 / #15
[124] მუხ. 2.5 „ბ“
[125] მუხ. 2.5 „ე“

თუ ბავშვი პროგრამას ვერ დაძლევს. განხილული კანონები და მთავრობის დადგენილება არ მიუთითებს სპეციფიკურ დამხმარე ღონისძიებებზე, რომელიც ხელს შეუწყობდა ბავშვს ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების მიხედვით ქართული ენის შესწავლის და შემდეგ ზოგადი განათლების მიღებაში.

ყურადსაღებია, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს განსაკუთრებული განხილვის საპროცესო წესებს უცხოელის საქართველოდან გაძევების, გაძევების გადავადების, დროებითი მოთავსების ცენტრში განთავსების და ამასთან დაკავშირებით მოსამართლის ბრძანების გასაჩივრების შესახებ[126]. ეს კოდექსი, ასევე, ადგენს საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ან თავშესაფრის მაძიებელთა სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას დაცვის ან თავშესაფრის მოთხოვნის მიზნით, რომელსაც სასამართლო განიხილავს 2 თვის ვადაში[127]. თუმცა, კოდექსი არ ადგენს უცხოელი, მოქალაქეობის არმქონე ან/და თავშესაფრის მაძიებელი ბავშვისთვის მისი განათლების, ჯანდაცვის და სოციალურ სერვისზე წვდომის უფლებების დარღვევის გასაჩივრების განსაკუთრებულ წესს. ასეთ პირობებში, რთული იქნება უცხოელი ბავშვისთვის უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით მართლმსაჯულებასთან ეფექტური წვდომა განათლების უფლების დარღვევის შემთხვევაში.

აქედან გამოდინარე, რეკომენდირებულია ამ საკითხის დამატებით შესწავლა, არსებული მდგომარეობის და რესურსების გაანალიზება. საბოლოო ჯამში, კანონმდებლობა ამ კუთხით უნდა გაუმჯობესდეს, რათა ყველა ბავშვს, მოქალაქეობის მიუხედავად, ხელი მიუწვდებოდეს ინდივიდუალურ, დროულ და ეფექტურ მხარდაჭერაზე ზოგადი განათლების მისაღებად.

დოკუმენტების არმქონე, თანმხლების გარეშე მყოფ ბავშვები საქართველოს ტერიორიაზე

ბავშვის უფლებათა კომიტეტი განმარტავს[128], რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპიდან გამომდინარე, ზოგადი წესით, დაუშვებელია თანმხლების გარეშე მყოფი ბავშვების დაპატიმრება. ბავშვის დაპატიმრება არ შეიძლება მხოლოდ თანმხლების გარეშე ან ოჯახისგან განცალკევებით ყოფნის ან მისი საემიგრაციო ან საცხოვრებელი სტატუსის ან ამგვარი სტატუსის არქონის გამო.

უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ[129] არეგულირებს უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავლისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე განსაზღვრავს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს, საქართველოში მყოფ უცხოელთა საქართველოდან გაძევების ფორმებსა და პროცედურებს, გაძევების პროცესში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულებათა კომპეტენციის ფარგლებსა და პასუხისმგებლობას[130]. კანონის განხორციელების ზოგად პრინციპებს შორისაა დისკრიმინაციის დაუშვებლობის, არგაძევების, ოჯახის ერთიანობისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპი[131]. უცხოელის საქართველოდან გაძევების გადავადება მოხდება 30 დღით, თუ იქმნება არასრულწლოვნის უმეთვალყურეოდ დარჩენის ან/და განათლების გარეშე დარჩენის რისკი[132].

---

[126] თავი VII[10]
[127] მუხ. 21[24]
[128] ზოგადი კომენტარი #6, პარა. 61
[129] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2278806
[130] მუხ. 1.2
[131] მუხ.3
[132] მუხ. 55.1 „ვ“

კანონი ამკვიდრებს დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის გაცემის შესაძლებლობას თავშესაფრის მაძიებელ, საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მაძიებელ, აგრეთვე საქართველოში დროებითი ყოფნის უფლების მქონე პირებზე (იდენტიფიცირება შეუძლებელია, არცერთი სახელმწიფო არ იღებს, გაძევება დაუშვებელია). ასევე, დროებითი მოწმობა გაიცემა იუსტიციის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევებში იმ პირებზე, რომელთა მიმართაც საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის გაცემას[133]. დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა გაიცემა 1 წლის ვადით. საქართველოში დროებითი ყოფნის ვადის გაგრძელების შემთხვევაში დროებით საიდენტიფიკაციო მოწმობას სააგენტო გასცემს განმეორებით, იმავე ვადით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართვის საფუძველზე. დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის მიღებიდან 5 წლის შემდეგ უცხოელი უფლებამოსილია მიმართოს სააგენტოს სპეციალური ბინადრობის ნებართვის მისაღებად[134]. უმეთვალყურეოდ მყოფი არასრულწლოვნის ან ოჯახის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსება შეიძლება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და მაქსიმალურად მოკლე ვადით, მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. თუ დაკავებული უცხოელი არასრულწლოვანია ან უმწეო მდგომარეობაში იმყოფება, მისი დაკავების შესახებ შეტყობინების ვალდებულება ეკისრება უფლებამოსილ ორგანოს. არასრულწლოვანი უცხოელის დაკავების შესახებ ეცნობება მის კანონიერ წარმომადგენელს. უცხოელის დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და შესაბამისი სახელმწიფოს საკონსულოს[135]. დროებითი განთავსების ცენტრში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს არასრულწლოვნის უფლებების დაცვა[136].

ეს კანონი აგრეთვე მიუთითებს, რომ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის უცხოელს დადგენილი წესით ეკისრება სისხლის სამართლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა[137]. საქართველოს საზღვრის უკანონო გადმოკვეთისთვის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ჯარიმას ან 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას[138]. თუმცა ამ მუხლთან გაკეთებულია დათქმა, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებიან ის პირი, რომელიც საქართველოში იმ ტერიტორიიდან შემოვიდა, სადაც მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრებოდა და რომელიც საქართველოს თავშესაფარს თხოვს მხოლოდ იმ პირობით, რომ ის დაუყოვნებლივ გამოცხადდება ხელისუფლების ორგანოში და წარადგენს სათანადო განმარტებას საქართველოში უკანონო შემოსვლის ან უნებართვო ყოფნის შესახებ, და თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები, აგრეთვე პირი, რომელმაც აღნიშნული ქმედება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მოპოვებამდე ჩაიდინა[139].

ეს შენიშვნა არ მოიცავს მითითებას იმ არასრულწლოვანზე, რომელიც უნებართვოდ იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე, რის გამოც უშვებს საქართველოს ტერიტორიაზე უნებართვოდ მოხვედრილ არასრულწლოვანთა დაკავების და აღკვეთის ღონისძიების

[133] მუხ.2
[134] მუხ.60
[135] მუხ.64
[136] მუხ. 66
[137] მუხ.68
[138] სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 344.1
[139] სისხლის სამართლის კოდექსი, შენიშვნა 344-ე მუხლზე

სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შესაძლებლობას[140]. იმ შემთხვევაში, არასრულწლოვანი დაექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას საზღვრის უკანონო გადმოკვეთის ან გადაკვეთისთვის, კანონით გათვალისწინებულ დაცვის გარანტიებს შინაარსი სრულიად ეკარგება.

აქედან გამომდინარე, რეკომენდირებულია გადაიხედოს განხილული კანონები და შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან, აგრეთვე რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - მიგრანტი ბავშვის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან.

ე) სამართალწარმოება დისკრიმინაციის საქმეზე

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა. სარჩელით მიმართვა შესაძლებელია 3 თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო იმ გარემოების შესახებ, რაც დისკრიმინაციულად მიაჩნია. სარჩელის აღძვირსას პირმა უნდა წარადგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება საპირისპიროს მტკიცების ტვირთი[141].

სარჩელის ფორმის დაუცველად წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო მოსარჩელეს უდგენს ხარვეზს და გამოსასწორებლად უნიშნავს გონივრულ ვადას. თუ ხარვეზი არ გამოსწორდა, სასამართლო სარჩელს წარმოებაში არ მიიღებს[142]. სასამართლოს მიერ საქმის განხილვის შედეგად, ის იღებს გადაწყვეტილებას დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურების და სარჩელის დაკმაყოფილების ან უარის თქმის შესახებ, რაც შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით მხარეთა მიერ[143].

გასაჩივრების აღნიშნული პროცედურა არ მოიცავს რაიმე მითითებას ბავშვზე მორგებულ პროცესზე, გასაჩივრების მექანიზმსა და ადაპტირებულ კომუნიკაციის საშუალებებზე. არაფერია აღნიშნული დისკრიმინაციის საქმეებზე იურიდიული დახმარების, თარჯიმნის, ჟესტური ენის და სხვა სახის მხარდაჭერის სერვისების ხელმისაწვდომობაზე.

3.3. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება და უფლებათა სამართლებრივი დაცვის საშუალებები

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი განმარტავს[144], რომ "უფლებების აღიარებას რეალური შინაარსი ვერ ექნება ეფექტური სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გარეშე". ეს მოთხოვნა მკაფიოდ არის ასახული კონვენციასა და დანარჩენ ექვს ძირითად ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებაში. ბავშვების განსაკუთრებული და მშობლებზე დამოკიდებული სტატუსი რეალურ სირთულეებს უქმნის მათ თავიანთი

[140] 2015 წელს ადგილი ჰქონდა სომალის მოქალაქე 4 ბავშვის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას. ისინი დაკავებული იყვნენ საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის საქართველოდან თურქეთის მიმართულებით არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში მოსახვედრად

[141] მუხ. 363[2], 363[3]

[142] მუხ.363[4]

[143] მუხ.363[5], 363[6]

[144] ზოგადი კომენტარი #5 (2003), კონვენციის განხორციელების ზოგადი ღონისძიებები (მუხ. 4,42 და 44, პარა.6)

უფლებების დაცვის გზაზე. ამრიგად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ეფექტური, ბავშვზე მორგებული პროცედურები ბავშვებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის. ბავშვზე მორგებული პროცედურები მოიცავს ბავშვისთვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდებას, კონსულტაციას, ადვოკატირებას. ადვოკატირება თავის მხრივ მოიცავს ბავშვის გაძლიერებას საკუთარი უფლებების თავადვე დაცვის მიზნით და ხელმისაწვდომობას გასაჩივრების დამოუკიდებელ მექანიზმებსა და სასამართლოზე იურიდიული და სხვა სახის დახმარების თანხლებით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმძღვანელო მითითებაში[145] აღნიშნულია, რომ ბავშვთა მართლმსაჯულების საკითხები მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ეროვნული კანონმდებლობის გადახედვის, შემუშავების და განხორციელების პროცესში, კერძოდ, ბავშვთა საკითხების ინტეგრირება უნდა მოხდეს საკონსტიტუციო რეფორმის განხორციელებისას; კანონმდებლობის შემუშავებისას; სამართალდამცავების, სასამართლოს წარმომადგენლების, დაკავების ადგილების პერსონალის, იურისტების, სოციალური მუშაკების და სხვა პროფესიონალების ეთიკის კოდექსების, სტანდარტების და სამსახურში მიღების კრიტერიუმების შედგენისას.

ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ განმარტავს, რომ კანონის უზენაესობის პრინციპი, გარანტირებული უნდა იყოს ბავშვებისთვის ისევე, როგორც ზრდასრულებისთვის, და არ უნდა შემცირდეს ან გაუქმდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების ქვე-ტექსტით. ეს ეხება როგორც სასამართლო, ასევე ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას[146]. სახელმწიფოები ვალდებულნი არიან შექმნან დამოუკიდებელი და ეფექტური გასაჩივრების მექანიზმები ბავშვის ასაკისა და აღქმის დონის შესაბამისად[147].

ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ ხაზგასმით აღნიშნავს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ძირითად ელემენტებს, კერძოდ: ინფორმაცია და კონსულტაცია; პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვა; უსაფრთხოება; პროფესიონალთა მომზადება; მულტიდისციპლინური მიდგომა; თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და ა.შ.[148].

3.3.1 ინფორმაცია და კონსულტაცია

„ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-13 მუხლი აღიარებს ბავშვის უფლებას ნებისმიერი სახის ინფორმაციის ან იდეის ზეპირი, წერილობითი თუ ბეჭდური ფორმით მიღებასა ან გავრცელებაზე. 37-ე და მე-40 მუხლებით გარანტირებულია ყველა ბრალდებული ბავშვის დაუყოვნებლივი ინფორმირება, ხოლო 42-ე მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოებს, ყველა სათანადო და ქმედითი საშუალებებით, სრულყოფილი ინფორმაცია მიაწოდონ ბავშვებს კონვენციის პრინციპებისა და დებულებების შესახებ.

[145] გაეროს გენერალური მდივნის სახელმძღვანელო მითითება „გაეროს მიდგომა ბავშვთა მართლმსაჯულების საკითხებზე“, 2008
[146] ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები, 2010, E, გვ 19
[147] ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები, 2010, პარა 48, გვ 56
[148] ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები, პარა. ა. 1-22, გვ. 20-24

მშობელთა უფლება-მოვალეობების შესახებ, ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-5 მუხლი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა აღიაროს მშობელთა ვალდებულება ბავშვს, მისი ზრდადი შესაძლებლობების გათვალისწინებით, მიაწოდოს სათანადო მითითებები და რჩევა-დარიგება საკუთარი უფლებების თავადვე განხორციელების შესახებ.

გაეროს სახელმძღვანელო მითითებების „სამართალწარმოების შესახებ მოწმე და მსხვერპლი ბავშვების მონაწილეობით“[149] თანახმად, მსხვერპლი და მოწმე ბავშვები, მათი მშობლები ან მზრუნველები და სხვა კანონიერი წარმომადგენლები, მართლმსაჯულებასთან პირველივე კონტაქტისას უნდა იყვნენ დაუყოვნებლივ და სათანადოდ ინფორმირებული მათი უფლებების, სამართალწარმოების პროცესის, მხარდაჭერის სერვისების, გასაჩივრების მექანიზმების შესახებ.

ევროპის საბჭოს კონვენცია ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან დაცვის შესახებ[150] მოითხოვს, სახელმწიფომ გაატაროს საკანონმდებლო ზომა, რათა უზრუნველყოს დაწყებით და საშუალო განათლების ეტაპებზე ბავშვებმა მიიღონ სათანადო ინფორმაცია სექსუალური ექსპლუატაციის, ძალადობის და დაცვის საშუალებების შესახებ[151].

ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები განმარტავს[152], მართლმსაჯულების სისტემასთან ან ადმინისტრაციულ ორგანოებთან (ჯანდაცვა, განათლება, სოციალური საკითხები, სხვა) პირველივე კონტაქტისას და მთელი პროცესის განმავლობაში, ბავშვები და მათი მშობლები დაუყოვნებლივ და სათანადოდ უნდა იყვნენ ინფორმირებული, მათ შორის, შემდეგ საკითხებზე: ბავშვის უფლებები და როლი სასამართლო ან ადმინისტრაციულ პროცესში; მხარდაჭერის მექანიზმები პროცესში მონაწილეობისთვის; პროცესის შესაძლო შედეგები; პროცესის ადგილი და თარიღი, როდესაც ბავშვი უშუალო მონაწილეა; გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმები; ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა დამღვევი პირისგან ან სახელმწიფოსგან სასამართლოს ან სხვა სხვა ალტერნატიული პროცესის გზით; დამხმარე სერვისების (ჯანდაცვის, ფსიქო-სოციალური, თარჯიმნის, სხვა) ან სასწრაფო ფინანსური დახმარების მიღების შესაძლებლობა; ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის განსაკუთრებული ზომები, როდესაც ის სხვა ქვეყნის მოქალაქეა.

ინფორმაცია და კონსულტაცია ადაპტირებული უნდა იყოს გენდერული და კულტურული მგრძნობიარობის გათვალისწინებით, ბავშვის ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად იმ ენაზე, რომელიც მას ესმის.

ზოგადად საქართველოში ადამიანის უფლებათა შესახებ საგანმანათლებლო-საინფორმაციო საქმიანობას ახორციელებს სახალხო დამცველი კანონის საფუძველზე.

კანონი „სახალხო დამცველის შესახებ“[153] სახალხო დამცველის ერთ-ერთ ფუნქციად მიუთითებს საგანამანათლებლო საქმიანობის განხორციელებას ადამიანის უფლებათა და

[149] გაეროს სახელმძღვანელო მითითებები, ECOSOC Resolution 2005/20 /VII. უფლება ინფორმირებაზე
[150] კონვენცია მიღებულია 25/10/2007. საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 23/09/2014
[151] კონვენციის მუხ. 6
[152] პარა. 1-5, გვ. 20-21
[153] https://matsne.gov.ge/ka/document/view/33034

თავისუფლებათა სფეროში[154]. ამასთნავე, სახალხო დამცველის აპარატში ფუნქციონირებს ბავშვის უფლებათა ცენტრი, რომლის ერთ-ერთი ამოცანაა ბავშვის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა პოპულარიზაციისა და ამ სფეროში საზოგადოების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით, საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება[155].

გარდა ზემოთაღნიშნული ზოგადი ჩანაწერისა, კანონი არ მოიცავს კონკრეტულ დებულებებს ბავშვებთა ინფორმირებისა და მხარდაჭერის შესახებ. აქედან გამომდინარე, რეკომენდირებულია ამ კანონმა გააძლიეროს სახალხო დამცველის როლი და ფუნქციები ბავშვთა უფლებების მიმართულებით, კონკრეტულად ასახოს ბავშვთა ინფორმირების საკითხი უფლებების სამართლებრივი დაცვის საშუალებების და მართლმსაჯულებასთან წვდომის შესახებ და ასევე, გაიზარდოს სახალხო დამცველის როლი ადმინისტრაციული წარმოების და სასამართლო განხილვის პროცესში ბავშვთა უშუალო სამართლებრივი მხარდაჭერის შესახებ განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვების მიმართ (უმცირესობათა ჯგუფები, დევნილი და ლტოლვილი ბავშვები, ალტერნატიულ ზრუნვაში მყოფი ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და სხვა).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი **არ ადგენს დებულებას ბავშვის ინფორმირების შესახებ სასამართლო პროცესთან დაკავშირებით.**

საფრანგეთში ბავშვთა საქმეებზე მომუშავე პროკურორები და მოსამართლეები ბავშვს აწვდიანი ინფორმაციას, მათ შორის, სამოქალაქო სამართალწარმოებაში მონაწილეობისას პირველივე შეხვედრისთანავე. მოსამართლე კანონით უფლებამოსილია, ასევე, მოიწვიოს სხვა სპეციალიზებული პროფესიონალი ბავშვისთვის ინფორმაციის/ახსნა-განმარტების მიწოდების მიზნით. ასეთი ვალდებულება, აგრეთვე, ეკისრებათ ბავშვთა ადვოკატებს და სხვა პროფესიონალ საპროცესო წარმომადგენლებს.

კანონი ზოგადი განათლების შესახებ[156] ადგენს, რომ მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ პირადად ან არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ სკოლის მართვაში, მიიღონ სკოლაში არსებული ინფორმაცია, გარდა პერსონალურისა. მათ აქვთ უფლება მოითხოვონ და მიიღონ სკოლის მიერ მათთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას მათი აზრის მოსმენისა და განხილვაში უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობის შესაძლებლობა[157].

ამავე კანონის თანახმად, სკოლა ვალდებულია ყოველ ახალ მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს გააცნოს მათი უფლებები და თავისუფლებები[158]. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ თავიანთ უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მასწავლებლისა და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები, აგრეთვე მიიღონ მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება. სკოლა ვალდებულია შექმნას საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის ეფექტიანი საშუალება[159]

კანონი ანიჭებს უფლებას მოსწავლეს მიიღოს „სკოლაში არსებული ინფორმაცია“ და სკოლას ავალდებულებს მოსწავლეს სკოლაში მიღებისას გააცნოს მისი უფლებები, ასევე, შექმნას დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის ეფექტიანი საშუალება. თუმცა

---

[154] მუხ. 3.3

[155] http://ombudsman.ge/ge/specializirebuli-centrebi/bavshvis-uflebata-dacvis-centri/bavshvis-uflebebs-centris-shesaxeb

[156] კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 04.08.2005 https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248

[157] მუხ.11

[158] მუხ.10

[159] მუხ.12

ჩანაწერი გასაჩივრების მექანიზმებზე ზოგადია და არ მოიცავს მოსწავლისთვის ინფორმაციის მიწოდებას გასაჩივრების პროცედურებზე და სათანადო კონსულტაციის და მხარდაჭერის სერვისს, მათ შორის, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვისთვის, ასაკისა და განვითარების შესაბამისი საშუალებებით.

კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ ადგენს, რომ 16 წლამდე ბავშვის ფსიქიატრიული დახმარება, მათ შორის, მკურნალობა, დასაშვებია მისი კანონიერი წარმომადგენლის თხოვნის ან/და ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე (აუცილებელია გადაწყვეტილების მიღების პროცესში პაციენტის მონაწილეობა მისი ასაკისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით)[160]. აქტიური ბიოლოგიური მეთოდებით (შოკური, კრუნჩხვითი და სხვა) მკურნალობა დასაშვებია კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობით, მხოლოდ ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის გადაწყვეტილებით[161].

ეს კანონი ადგენს, რომ 16 წლამდე ბავშვის ნებაყოფლობითი მკურნალობისთვის სტაციონარში განთავსება ხდება მისი კანონიერი წარმომადგენლის თხოვნითა და ინფორმირებული თანხმობით, ხოლო ბავშვის მონაწილეობა აუცილებელია მისი ასაკისა და ფსიქიატრიული მდგომარეობის გათვალისწინებით[162].

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი პაციენტის გამოყენება სწავლების ობიექტად დასაშვებია მხოლოდ მისი მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობით. გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია პაციენტის მონაწილეობაც ასაკისა და გონებრივი განვითარების გათვალისწინებით[163]. მიხედვითაც მცირეწლოვანი შეიძლება იყოს სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის ობიექტი, თუ იგი არ გამოხატავს რაიმე წინააღმდეგობას და მიღებულია მისი ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობა[164].

ორივე კანონის განხილული ნორმების თანახმად, ფსიქიატრიული მკურნალობის და სწავლების ობიექტად ბავშვის გამოყენების დროს სავალდებულოა კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობა. მითითება არასრულწლოვანი პაციენტის მონაწილეობის აუცილებლობაზე მისი ასაკისა და ჯანმრთელობის/გონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით ბუნდოვანია და მკაფიოდ არ ადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასების, მოსაზრებების მოსმენის და მხედველობაში მიღების, მისი სათანადოდ ინფორმირების და კონსულტაციის გაწევის ვალდებულებას. აქედან გამომდინარე, ამ ნორმების საფუძველზე ბავშვი შესაძლოა დაექვემდებაროს ამგვარ მკურნალობას და სწავლების ობიექტად გამოყენებას მისი სურვილის და საუკეთესო ინტერესების საწინააღმდეგოდ. რაც შეეხება გასაჩივრებას, ფსიქიატრიული მკურნალობის მეთოდების გამოყენების მიზანშეწონილობის სასამართლოში გასაჩივრება შეუძლია მხოლოდ კანონიერ წარმომადგენელს ან ნათესავს[165] და არ აღიარებს ბავშვის ან ბავშვის უფლებების სხვა დამცველთა უფლებას ხელმისაწვდომ და მორგებულ გასაჩივრების მექანიზმზე. ამავე დროს, გაურკვეველია, თუ რომელი უწყება ახორციელებს მონიტორინგს კვლევებში მონაწილე ბავშვის მიმართ განხორციელებული მეთოდების შესაბამისობაზე ამ ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან.

---

[160] მუხ. 10
[161] მუხ. 8.2
[162] მუხ. 17.1 „ბ“
[163] მუხ. 42
[164] მუხ. 110
[165] მუხ. 16.6

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ სასამართლო მედიაციას ექვემდებარება: საოჯახო სამართლებრივი დავები, გარდა, შვილად აყვანისა, შვილად აყვანის ბათილობისა, მშობლის უფლების შეზღუდვის ან ჩამორთმევისა; სამემკვიდრეო დავა; სამეზობლო დავა; ნებისმიერი დავა, თუ მხარეები თანახმა არიან. სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული საქმე შეიძლება გადაეცეს მედიატორს (ფიზიკურ ან იურიდიულ პირს) დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების მიზნით[166].

სასამართლო განხილვის ალტერნატივა ანუ მედიაცია მორიგების მიზნით არ მიუთითებს მონაწილე მხარეთა რაიმე ასაკობრივ შეზღუდვას, თუმცა არ მოიცავს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მოთხოვნებს, როგორიცაა: ბავშვისთვის მისთვის გასაგებ ენაზე და კომუნიკაციის საშუალებებით ინფორმაციის და კონსულტაციის მიწოდებას, ბავშვის მოსმენის და მისი აზრის გათვალისწინების წესს, მედიაციის პროცესში ბავშვის მონაწილეობის თავისებურებებს, მის ასაკსა და აღქმის დონესთან მისადაგებულ პროცედურებს, ა.შ. საერთოდ, კანონი არ ითვალისწინებს სასამართლოში საქმის სასარჩელო წესით წარმოების დაწყებამდე ბავშვის კონსულტირებას და ინფორმაციის მიწოდებას სასამართლო განხილვის ალტერნატიული მექანიზმის, მედიაციის შესაძლებლობის შესახებ.

3.3.2. პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვა

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-16 მუხლი ადგენს, რომ არცერთი ბავშვი არ უნდა დაექვემდებაროს მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ან პირად მიმოწერაში მიკერძოებულ ან უკანონო ჩარევას, ასევე, მისი ღირსებასა და რეპუტაციაზე უკანონო თავდასხმას. ბავშვის უფლებაა კანონით დაიცვას თავი ამგვარი ჩარევის ან თავდასხმისგან.

„ევროპის საბჭოს კონვენცია პირადი მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ინდივიდთა დაცვის შესახებ“[167]**:**

- კრძალავს იმ პერსონალური მონაცემების დამუშავებას, რომელიც ეხება პირის წარმოშობას, პოლიტიკურ მოსაზრებებს ან რელიგიურ ან სხვა რწმენას, ჯანმრთელობას ან სექსუალურ ცხოვრებას, ასევე ნასამართლობას, თუ კანონი არ ადგენს დაცვის სათანადო გარანტიებს[168].
- ადგენს, რომ ავტომატური დამუშავების პერსონალური მონაცემები უნდა იყოს: მოპოვებული და დამუშავებული სამართლიანად და კანონიერად; ინახებოდეს კონკრეტული და ლეგიტიმური მიზნისთვის და არ იქნეს გამოყენებული ამ მიზნებთან შეუსაბამოდ; ადეკვატური, რელევანტური და არ აჭარბებდეს მიზანს, რომლისთვისაც ინახება; სწორი და საჭიროებისამებრ განახლებული; ინახებოდეს მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირებადი ფორმით მხოლოდ იმ ვადით, რა ვადაც დადგენილია ამ მონაცემის შენახვის მიზნისთვის[169].
- კონვენცია მოითხოვს, რომ ეროვნული კანონით ნებისმიერ პირს უნდა შეეძლოს დაადგინოს ავტომატურად დამუშავებული პერსონალურ მონაცემთა ფაილის არსებობა, მისი მიზანი, ამ ფაილის ადმინისტრატორის ვინაობა და მდებარეობა;

[166] სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 187^{1}-187^{9}

[167] ევროპის საბჭოს კონვენცია პერსონალური ინფორმაციის ავტომატური დამუშავების პროცესში ინდივიდთა დაცვის შესახებ, 1981/საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 14/12/2005 http://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/108

[168] მუხ. 6

[169] მუხ. 5

მიიღოს გონივრული პერიოდულობით და დაგვიანების გარეშე, დადასტურება მის შესახებ პერსონალური მონაცემები შენახულია თუ არა ავტომატური დამუშავებით და დაცული ფორმით; მოითხოვოს მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების წაშლა ან შესწორება, თუ დამუშავებულია კანონის და კონვენციის საწინააღმდეგოდ; ჰქონდეს წვდომა სამართლებრივი დაცვის საშუალებაზე, თუ მისი მოთხოვნები არ შესრულდა[170].

კონვენციის დამატებითი ოქმის თანახმად[171], სახელმწიფომ უნდა შექმნას უწყება, რომელსაც ექნება გამოძიების და ჩარევის უფლებამოსილება, ასევე, სასამართლო წარმოების დაწყება დარღვევის შემთხვევაში. უწყებას უნდა ჰქონდეს საჩივრების განხილვის უფლებამოსილება[172]. ამგვარი უწყების ინტერვენციის ფორმა შეიძლება ეროვნულ კანონში აისახოს სხვადასხვა ფორმით, როგორიცაა: სავალდებულო ძალის მქონე განკარგულება არასწორი ან უკანონოდ შეგროვილი მონაცემის წაშლის, განადგურების ან შესწორების შესახებ, მონაცემთა დამუშავებამდე სავალდებულო დასკვნის მიწოდების უფლებამოსილება, სხვა[173].

ევროპის მინისტრთა კომიტეტის „სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე“[174] განმარტავს, რომ სახელმწიფოს კანონმდებლობით უნდა დარეგულირდეს სასამართლო ან სხვა სახის პროცესებში მონაწილე ბავშვთა პირადი ცხოვრების და პერსონალური მონაცემების დაცვა. კანონით უნდა იყოს გარანტირებული, რომ ბავშვთან დაკავშირებული ინფორმაცია ან პირადი მონაცემები არ იქნება ხელმისაწვდომი ან გამოქვეყნებული, განსაკუთრებით მედიით. ამ ინფორმაციაში იგულისხმება ისეთი მონაცემი, რომელსაც შეუძლია გაამჟღავნოს ან არაპირდაპირ მიუთითოს ბავშვის ვინაობაზე, როგორიცაა გამოსახულება, ბავშვის ან ბავშვის ოჯახის დეტალური აღწერა, სახელები ან მისამართები, აუდიო და ვიდეო ჩანაწერები, ა.შ. მედიის მიერ ბავშვთა საკითხების გაშუქება უნდა დარეგულირდეს კანონმდებლობით ან მედიის თვით-რეგულირების მექანიზმით.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბავშვების პირად მონაცემთა შემცველ დოკუმენტებზე ან ჩანაწერებზე დაშვების შეზღუდვა. განსაკუთრებით ისეთი მონაცემები, რომლებიც უკავშირდება, მაგალითად, დისციპლინურ ღონისძიებას ანტი-სოციალური ქცევისთვის, ძალადობის შემთხვევას, სამედიცინო ჩარევას, სპეციალურ განათლებას შშმ ბავშვისთვის ან ღარიბ ოჯახთა სოციალური დახმარების პროგრამაში მონაწილეობას[175].

თუ პირადი და სენსიტიური მონაცემების გადაცემა აუცილებელია, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ეს უნდა მოხდეს შესაბამისი მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის მიხედვით. ბავშვებთან მომუშავე ყველა პროფესიონალი შებოჭილი უნდა იყოს კონფიდენციალობის დაცვის მკაცრი წესებით, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა ბავშვის დაზიანების რისკს ქმნის

[170] მუხ. 8

[171] ევროპის საბჭოს კონვენცია პერსონალური ინფორმაციის ავტომატური დამუშავების პროცესში ინდივიდთა დაცვის შესახებ, 28.01.1981/ საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 14/12/2005

[172] მუხ. 1.2

[173] ევროპის საბჭოს კომენტარი კონვენციის დამატებით ოქმზე, პარა. 13 https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016800cce56

[174]ევროპის მინისტრთა კომიტეტის „სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე“, მითითებები 6-10 / განმარტებები, პარა: 57-62

[175] სახელმძღვანელო მითითებები, პარა. 57, გვ. 61

(მაგალითად, ესაა ბავშვის მოტაცების შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გავრცელებამ ამ ფაქტზე შეიძლება ხელი შეუწყოს მის პოვნას)[176].

ზოგადი საკანონმდებლო გარანტიები

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს[177]. კოდექსი ადგენს:

- ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს გაამჟღავნოს ან არასამსახურებრივი მიზნით გამოიყენოს ადმინისტრაციული წარმოების დროს მიღებული ან შექმნილი საიდუმლო ინფორმაცია[178].
- პერსონალური მონაცემების ცნების განმარტება, დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით[179].
- საჯარო დაწესებულება ვალდებულია წერილობითი თხოვნის საფუძველზე მიაწოდოს სხვა საჯარო დაწესებულებას მასთან დაცული პერსონალური მონაცემები სუბიექტის თანხმობით[180].
- ყველას აქვს უფლება იცოდეს: საჯარო მონაცემთა ბაზაში მისი პერსონალური მონაცემების არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე მათი გაცნობის წესი; იმ პირთა კატეგორია, რომელთაც კანონით უფლება აქვთ გაეცნონ საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს[181].
- საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე[182].
- ადმინისტრაციული წარმოების პერსონალური მონაცემების შემცველი მასალების გაცნობის უფლება პირს ენიჭება სასამართლოს გადაწყვეტილებით[183].
- სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია ადმინისტრაციული წარმოება ზეპირი მოსმენით დახურულად გამოაცხადოს პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით[184].

კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე,რომელიც დაკავშირებულია: დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან; ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან; სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან[185]. კოდექსის მე-3 თავი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ვრცელდება, აგრეთვე, სასამართლო ხელისუფლების ორგანოებზეც[186].

---

[176] იგივე, პარა. 8, გვ. 22
[177] მუხ. 10
[178] მუხ.11
[179] მუხ. 27[1]
[180] მუხ. 37[1]
[181] მუხ. 42. „კ“, „ლ“
[182] მუხ. 44.1
[183] მუხ. 99.2
[184] მუხ. 111.1
[185] მუხ. 4
[186] მუხ. 3.2 „დ“

კოდექსის მითითებით „პერსონალურ ინფორმაციად“ მიიჩნევა ფიზიკური პირის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია ანუ ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნის შემცველი ინფორმაცია, როგორც განმარტებულია კანონით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ და არ მოიცავს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს. კოდექსი გვაწვდის პერსონალური ინფორმაციის დაცვის რამდენიმე მნიშვნელოვან გარანტიას, როგორიცაა: საჯარო მოსამსახურეთა მიერ საიდუმლო (მათ შორის, პერსონალური) ინფორმაციის გამჟღვანების ან არასამსახურებრივი მიზნით გამოყენების აკრძალვა, საჯარო დაწესებულებებს შორის პერსონალური ინფორმაციის გაცვლა მხოლოდ წერილობითი ფორმით და სუბიექტის თანხმობით, პირის უფლება იცოდეს მის შესახებ არსებული პერსონალური ინფორმაციის შესახებ, სხდომის დახურვა პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით. თუმცა ამ დებულებების გარდა ეს საკანონმდებლო აქტი არ მოიცავს ბავშვებთან დაკავშირებული პერსონალური ინფორმაციის შექმნის, დამუშავების, შენახვის და მართვის ისეთ მნიშვნელოვან პრინციპებს, როგორიცაა: ლეგიტიმური მიზანი, კანონიერება და სამართლიანობა, ხანგრძლივობა, შენახვის პირობები და უსაფრთხოება.

კანონმდებლობით ადმინისტრაციული წარმოებით განიხილება ბავშვებთან დაკავშირებული რიგი საკითხები, მათ შორის: განათლების სამინისტროსთან არსებული ექსპერტთა ჯგუფის ადმინისტრაციული წარმოება ანტისოციალური ქცევის ბავშვებთან დაკავშირებით, სოციალური დახმარების საკითხის განხილვა სახელმწიფო უწყებების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, ძალადობისგან ბავშვის დაცვის ღონისძიებები, როგორიცაა, სოციალური მუშაკის გადაწყვეტილება ბავშვის მოძალადისგან განცალკევების შესახებ, სამედიცინო ჩარევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას (მაგ. ფსიაქიატრიული მკურნალობის და ა.შ.), ასევე, ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების ან თვითმმართველი ორგანოების გადასაწყვეტია ნებისმიერ სექტორში და პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება ბავშვის უფლებებს. რეკომენდირებულია ამ საკითხებზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვთა პირადი მონაცემების დაცვა და კოდექსი უნდა ითვალისწინებდეს ერთიან, მკაფიო და აღსრულებად დაცვის საშუალებებს (ინფორმაციაზე წვდომის რეგულირება, ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, ინფორმაციის კონფიდენციალობის დარღვევის შემთხვევაში გასაჩივრების ეფექტური მექანიზმი, სხვა) ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ბავშვთა მონაწილეობით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მიზანია პერსონალური მონაცემების დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა[187]. კანონის თანახმად, **პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია,** რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით[188]. **კანონი არ ვრცელდება:** სასამართლოში მიერ მონაცემთა დამუშავებაზე სამართალწარმოების დაზიანების საფრთხის თავიდან აცილების მიზნით[189]; მედიასაშუალების მიერ მონაცემთა დამუშავებაზე საზოგადოების ინფორმირების მიზნით (თუმცა ეკისრება მონაცემთა საიდუმლოების დაცვის ვალდებულება)[190]; დანაშაულის გამოძიების მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე, თუ

[187] მუხ. 1
[188] მუხ. 2. „ა“
[189] მუხ.3.3 „ბ“
[190] მუხ.3.4

საკითხი რეგულირდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ან ოპერატიული-სამძებრო საქმიანობის შესახებ ან სხვა სპეციალური კანონით[191].

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი არის მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიულ კავშირში გაწევრებასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან, აგრეთვე ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები, რომლებიც ზემოაღნიშნული ნიშნებით ფიზიკური პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა[192]. **განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აკრძალულია სუბიექტის თანხმობის გარეშე, გარდა შემდეგი გამონაკლისებისა**[193]:

- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან მესამე პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არა აქვს, მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა განაცხადოს;
- მონაცემები მუშავდება საზოგადოებრივ ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის ან დაწესებულებების მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ასევე ჯანმრთელობის სისტემის მართვის ან ფუნქციონირებისთვის;
- მონაცემები მუშავდება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმეებისა და რეესტრების წარმოების, მსჯავრდებულის მიმართ მის მიერ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ან/და მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან და მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ კანონი არ მოიცავს კონკრეტულ დებულებებს ბავშვთა პირადი მონაცემების დაცვის შესახებ. რეკომენდირებულია საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებისას გათვალისწინებული იქნეს ამ კანონით ან სხვა შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი კანონებით ისეთი პერსონალური ინფორმაციის დამუშავების და დაცვის საკითხები, რომელიც ეხება ბავშვთა ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსებას, ოჯახურ დავებს, თავშესაფრის მაძიებელ ბავშვებს, განათლების საკითხებს, ჯანმრთელობის დაცვას, ადმინისტრაციულ სანქციებს და ასევე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ ბავშვთა მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის საქმეს.

კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის ქმედით და ეფექტიან განხორციელებას, დააწესოს საჯარო და კერძო სექტორების უფლება-მოვალეობები ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის სფეროში, აგრეთვე განსაზღვროს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების სახელმწიფო კონტროლის მექანიზმები[194]. კანონი „კრიტიკულ ინფორმაციულ სისტემას“ განმარტავს, როგორც ინფორმაციული სისტემას, რომლის უწყვეტი ფუნქციონირება მნიშვნელოვანია ქვეყნის თავდაცვისათვის ან/და

[191] მუხ. 3.6
[192] მუხ. 2. „ბ“
[193] მუხ. 6.2 „ბ“, „გ“, „ვ“
[194] მუხ. 1

ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის, სახელმწიფო ხელისუფლების ან/და საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

მართალია, გარკვეულწილად ბუნდოვანია, თუ რა იგულისხმება „საზოგადოების ნორმალურ ფუნქციონირებაში", თუმცა არ გამოირიცხება ამ ტერმინის ქვეშ ვიგულისხმოთ ბავშვთა პირადი მონაცემების დაცვის საკითხი, რაც საბოლოო ჯამში ბავშვთა, როგორც საზოგადოების წევრთა, კეთილდღეობას ემსახურება. რეკომენდირებული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების პროცესში დამატებით მოხდეს ამ კანონის გაანალიზება და, შეძლებისდაგვარად, ცალკე თავი მიეძღვნას ბავშვთა პერსონალური ინფორმაციის უსაფრთხოების სპეციფიკურ გარანტიებს.

ბავშვთა პირადი მონაცემების დაცვა ევროკავშირის ქვეყნებში[195]
ევროკავშირის 26 ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულია ბავშვთა პირადი მონაცემების მკაცრი კონფიდენციალობით დაცვა მესამე პირთაგან. დაცვის სათანადო პროცედურები ძირითადად ეხება: ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსებას, საოჯახო საკითხებს, თავშესაფრის მაძიებელთა საკითხებს, განათლების საკითხებს, ჯანმრთელობის, ადმინისტრაციულ სანქციებს და ასევე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ ბავშვთა მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის საქმეს.

ბავშვთა პირადი მონაცემების დაცვა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი[196] ადგენს სასამართლო მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობის შესახებ, რომელიც მედიატორსა და მხარეს უკრძალავს მედიაციის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის გამჟღვანებას[197]. სხვა მხრივ, პროცესის დახურულად გამოცხადება შესაძლებელია მხარის მოტივირებული შუამდგომლობით[198].

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი[199] ძალადობისგან ბავშვის დაცვის ღონისძიებების განხილვის დროს ითვალისწინებს მოსამართლის უფლებამოსილებას მხარის ან საკუთარი ინიციატივით საქმე დახურულ სხდომაზე განიხილოს[200]. მოსამართლე დახურულ სხდომაზე განიხილავს საქმეს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ[201]. სკოლა-პანსიონში გაგზავნის საკითხიც განიხილება დახურულ სხდომაზე[202].

კოდექსებში არ გვხვდება სხვა განსაკუთრებული დაცვის გარანტიები სასამართლო წარმოების პროცესში მონაწილე ბავშვთა პირადი მონაცემების კონფიდენციალობის შესახებ.

კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს სათანადო ზომებს და ერთიან სტანდარტს ყველა სფეროში ბავშვის პირადი ცხოვრების და რეპუტაციის დასაცავად და ისეთი

[195] ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება ევროკავშირის ქვეყნებში, გვ. 36
[196] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962
[197] მუხ. 187^{8}
[198] მუხ. 9.1
[199] https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492
[200] მუხ. 21^{12}.10
[201] მუხ. 21^{18}.2
[202] მუხ. 21^{37}.2

ინფორმაციის გავრცელების თავიდან აცილებისთვის, მათ შორის, მედიის მიერ, რაც გამოიწვევს პროცესში მონაწილე ბავშვის ინდენტიფიცირებას[203].

ბავშვთა პირადი მონაცემების დაცვა ზოგადი განათლების სისტემაში

კანონი ზოგადი განათლების შესახებ ადგენს, რომ მოსწავლის პერსონალური მონაცემების შეგროვებისას და შენახვისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებით. სკოლას უფლება აქვს მოსწავლეს მოსთხოვოს სამედიცინო შემოწმების გავლა დაავადებებზე, ალკოჰოლზე, ნარკოტიკებზე[204]. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ერთ-ერთი ფუნქციაა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების აღრიცხვა[205].

ანტისოციალური ქცევის მქონე არასრულწლოვნის მიმართ გადამისამართების ღონისძიებების, მათ შორის, სხვა სკოლაში გადაყვანის, სკოლა-პანსიონში გაგზავნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ადმინისტრაციული ორგანი, კერძოდ, განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული ექსპერტთა ჯგუფი, ხოლო შემდეგ ეტაპზე - სასამართლო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. მართალია, მითითება კეთდება სასამართლო სხდომის დახურვაზე, თუმცა არ გვხვდება სხვა ღონისძიებები პერსონალური მონაცემების დაცვის და კონფიდენციალობის დაცვის მიზნით არც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და არც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით.

განხილული ნორმების შინაარსით ირკვევა, რომ სკოლა მოსწავლის პერსონალური, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის (ჯანმრთელობის) მონაცემების დამუშავებისას ხელმძღვანელობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით. თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს კოდექსი არ მოიცავს პერსონალური მონაცემების შექმნის, დამუშავების, შენახვის და მართვის ისეთ მნიშვნელოვან პრინციპებს, როგორიცაა: ლეგიტიმურობა, კანონიერება და სამართლიანობა, ხანგრძლივობა, შენახვის პირობები და უსაფრთხოება, ინფორმაციაზე წვდომა პასუხისმგებელი საჯარო დაწესებულების შიგნით და ა.შ. ამასთანავე, კოდექსი ეხება მხოლოდ პერსონალურ ინფორმაციას და არა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დაცვის საკითხებს.

რეკომენდებულია შეიქმნას ბავშვის პერსონალური მონაცემების დაცვის საკანონმდებლო გარანტიები განათლების სისტემაში, განსაკუთრებით, ბავშვთა მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების კუთხით, რათა თავიდან ავიცილოთ ბავშვთა სტიგმატიზაცია და მათ პირად ცხოვრებაში არასათანადო ჩარევა.

ბავშვთა პირადი მონაცემების დაცვა ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში

როგორც ზემოთ განვიხილეთ, კანონი „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ უშვებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებას სუბიექტის თანხმობის გარეშე ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე. მართალია, იგივე კანონი ადგენს ყველა სახის პირადი მონაცემის დამუშავების წესებს და ნებისმიერ პირს ანიჭებს უფლებას მოითხოვოს მის შესახებ არაკანონიერად დამუშავებული მონაცემების წაშლა ან განადგურება, თუმცა სუბიექტის თანხმობის არასავალდებულო ხასიათი სხვადასხვა უწყებებს უტოვებს სივრცეს შეაგროვოს, შეინახოს და გასცეს ამგვარი მონაცემები რეგულირების გარეშე.

---

[203] ამ საკითხზე, დამატებით იხილეთ: იხ. ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანითა ტრეფიკინგის წინააღმდეგ (16.05.2005) /საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 14.03.2007; გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები მართლმსაჯულების შესახებ მოწმე და მსხვერპლი ბავშვების მონაწილეობით (ECOSOC Res 2005/20, 22 July 2005) პარა. X.27

[204] მუხ. 17

[205] მუხ. 28.2 „დ“

რაც შეეხება უშუალოდ ჯანმრთელობის სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობას, მოიცავს ზოგად დებულებებს და ვერ უზურნველყოფს პირის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დაცვის გარანტიებს, რაც თავისთავად ცხადია, რომ უფრო მეტად დაუცველს ტოვებს ბავშვის პირადი და ოჯახური ცხოვრების კონფიდეციალობის დაცვის უფლებას. კერძოდ:

- **კანონები ჯანმრთელობის დაცვის, პაციენტის უფლებების და ფსიქიატრიული დახმარების შესახებ** არ მოიცავს პერსონალური მონაცემების, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების განმარტებას. კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ განმარტავს სამედიცინო საიდუმლოს, როგორც „ექიმის და სხვა სამედიცინო პერსონალის მიერ პროფესიული საქმიანობის პროცესში პაციენტის ფიზიკური, ფსიქიკური მდგომარეობის, მისი საზოგადოებრივი ან სამსახურებრივი საქმიანობის, ოჯახური ან პირადი ცხოვრების შესახებ მიღებული ინფორმაცია; ექიმისათვის მიმართვის ფაქტს, აგრეთვე, სიკვდილის გარემოებებს“[206]. განსაკუთრებული კატეგორიის პირადი მონაცემები მოიცავს გაცილებით მეტ სენსიტიური კატეგორიის ინფორმაციას, ვიდრე ფიზიკური, ფსიქიკური და პირადი ცხოვრების შემცველ დეტალებს[207];
- **კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ** ადგენს, რომ მედიცინის მუშაკი და სამედიცინო დაწესებულების ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას სამედიცინო (საექიმო) საიდუმლო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას მოითხოვს გარდაცვლილის ნათესავი ან კანონიერი წარმომადგენელი, სასამართლო, საგამოძიებო ორგანოები, ან ეს აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად[208]. ეს ნორმა იძლევა ძალიან ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას და სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლებს უფლებას ანიჭებს თავიანთი შეხედულებისამებრ გადაწყვიტონ სამედიცინო საიდუმლოს გამჟღავნება, თუ ჩათვლიან, რომ ეს აუცილებელია სხვათა უფლებების დასაცავად (მაგ. იმ მოტივით, რომ სურს სხვების დაცვა გადამდები დაავადებისგან, გაამჟღავნებს კონკრეტული ადამიანის ჯანმრთელობის სტატუსს).
- **იგივე დებულებას იმეორებს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, რომ** კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება დასაშვებია პაციენტის თანხმობით ან ამ თანხმობის გარეშე, თუ გაუმჟღავნებლობა საფრთხეს უქმნის მესამე პირების სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ან გათვალისწინებულია კანონმდებლობით. ოჯახში ძალადობის შესაძლო ფაქტთან დაკავშირებული ინფორმაცია მიეწოდება მხოლოდ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს პაციენტის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად[209]. ნორმის შინაარსიდან ჩანს, რომ მაშინ, როდესაც ოჯაში ძალადობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება მხოლოდ კომპეტენტურ ორგანოს, სხვა სახის კონფიდენციალური ინფორმაცია შეიძლება მიეწოდოს პაციენტის თანხმობის გარეშე არაუფლებამოსილ მესამე პირებსაც, თუ მედიცინის მუშაკი ჩათვლის, რომ ეს აუცილებელია მესამე პირთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დასაცავად.
- **კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ** ადგენს, რომ ინფორმაციის გაცემა მესამე პირზე შესაძლებელია პაციენტის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, ანდა სასამართლოს გადაწყვეტილებით[210]. თანხმობის გარეშე

[206] მუხ. 3. „ჩ“
[207] მუხ. 2. „ბ“
[208] მუხ. 42
[209] მუხ. 28.1
[210] მუხ. 26.3

შესაძლებელია ამ ინფორმაციის გაცემა თუ საფრთხე ექმნება პაციენტის ან მესამე პირის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას[211].

კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოს სამართლებრივი სტანდარტებით ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვთა პირადი მონაცემების დაცვას და ამ მონაცემებზე დაშვების შეზღუდვას, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება ჯანმრთელობის და სამედიცინო ჩარევის საკითხებს. ევროპის სასამართლო, ასევე, ძალიან მაღალი სტანდარტით განიხილავს სახელმწიფო დაწესებულებების მიერ პირადი მონაცემების შენახვის საკითხი.

რეკომენდებულია გადაიხედოს განხილული კანონები და შეიქმნას სამართლებრივი დაცვის გარანტიები ბავშვთა პირადი მონაცემების დაცვისთვის ჯანდაცვის სისტემაში.

საქმე „ავილკინა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ[212] ეხება ორი წლის გოგონას სამედიცინო ისტორიის პროკურორისთვის მიწოდებას მისი მოთხოვნის თანახმად, რათა მოეპოვებინა ინფორმაცია „იეჰოვას მოწმეთა“ მიერ სისხლის გადასხმის უარყოფის შესახებ. ევროპის სასამართლომ გაითვალისწინა რა, რომ დანაშაულის გამოძიების ინტერესებმა შესაძლოა გადაწონოს პაციენტის და თემის ინტერესები სამედიცინო ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნა, რომ განმცხადებელი არ იყო ეჭვმიტანილი ან ბრალდებული რაიმე დანაშაულის ჩადენაში. ამასთანავე, განმცხადებლის მკურნალ ექიმებს შეეძლოთ მიემართათ ეროვნული სასამართლოსთვის გოგონასთვის სისხლის გადასხმის მოთხოვნით, თუ თვლიდნენ, რომ ამის გარეშე გოგონას სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. აქედან გამომდინარე, ევროპის სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებლის სამედიცინო ინფორმაციის გამჟღავნება პროკურორისთვის გადაუდებელი სოციალური აუცილებლობის გარეშე, წარმოადგენდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

3.3.3. პროფესიონალთა სპეციალიზაცია და მულტიდისციპლინური მიდგომა

ევროპის საბჭოს კონვენცია ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან დაცვის შესახებ[213] მოითხოვს, რომ სახელმწიფომ გაატაროს საკანონმდებლო ღონისძიებები იმ პირთა ცნობიერების ასამაღლებლად ბავშვთა დაცვის საკითხებზე, რომლებსაც რეგულარული კონტაქტი აქვთ ბავშვებთან საგანმანათლებლო, ჯანდაცვის, სოციალური დაცვის, იურიდიულ და სამართალდამცავ, ასევე სპორტის, კულტურისა და დასვენების სფეროში. ეს პირები, აგრეთვე, უნდა ფლობდნენ შესაბამის ცოდნას ბავშვების სექსუალური ექსპლუატაციისა და მათ მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ[214].

კონვენცია, აგრეთვე, მოითხოვს, სახელმწიფომ გატაროს შესაბამისი საკანონმდებლო ზომა, რაც უზრუნველყოფს ბავშვებთან სამუშაო პროფესიათა მაძიებელი კანდიდატები არ იქნებიან წარსულში ნასამართლევი ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის და ძალადობის დანაშაულებზე[215].

---

[211] მუხ. 26.4

[212] Case of Avilkina and Others vs. Russia / Application no. 1585/09 / Final Judgement 07/10/2013

[213] კონვენცია მიღებულია 25/10/2007. საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 23/09/2014

[214] კონვენციის მუხ. 5

[215] მუხ. 5.3

ევროპის საბჭოს მითითებები განმარტავს, ბავშვებთან მომუშავე ყველა პროფესიონალმა უნდა მიიღოს აუცილებელი ინტერდისციპლინური მომზადება ბავშვის უფლებების, სხვადასხვა ასაკობრივი საჭიროებების და ბავშვზე მორგებული პროცესის შესახებ. მათი გადამზადება უნდა მოხდეს აგრეთვე ნებისმიერი ასაკის და განვითარების ბავშვთან კომუნიკაციის მეთოდებზე, განსაკუთრებით, მოწყვლად სიტუაციაში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებით[216].

მულტიდისციპლინური მიდგომის განსახორციელებლად უნდა შემუშავდეს ერთიანი შეფასების ჩარჩო სხვადასხვა პროფესიონალების მონაწილეობით (როგორიცაა, იურისტები, ფსიქოლოგები, ექიმები, სოციალური მუშაკები და მედიატორები, პოლიცია და მიგრაციის სამსახური საჭიროებისამებრ), რომელიც უზრუნველყოფს მათ ერთობლივ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად. მულტიდისციპლინური მუშაობის დროს მკაცრად უნდა იქნეს დაცული კონფიდენციალობის პროფესიული წესები[217].

პროფესიონალთა სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა საკითხებზე პირველად დაინერგა სისხლის სამართლის სისტემაში. **არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი**[218] მოითხოვს, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან, მსხვერპლ და მოწმე ბავშვებთან მომუშავე ყველა პროფესიონალი ვალდებულია იყოს სპეციალიზებული ბავშვთა საკითხებზე.

ევროპის საბჭოს რეკომენდაცია წევრ სახელმწიფოებს[219]**:** შექმნან ბავშვთა საქმეებზე სპეციალიზებულ მოსამართლეთა და ადვოკატთა სისტემა, და იმგვარად განავითარონ სასამართლოები, რომ სამართლებრივი და სოციალური ელემენტების კომბინაცია იქნეს გათვალისწინებული ბავშვების და მათი ოჯახების სასარგებლოდ.

კანონმდებლობით სავალდებულო არაა იმ პროფესიონალთა სპეციალიზაცია, რომლებიც ბავშვებთან მუშაობენ **სამოქალაქო და ადმინისტრაციული** მართლმსაჯულების სფეროებში, რაც საკითხთა ფართო სპექტრს მოიცავს და ფაქტობრივად ფარავს ყველა სფეროს/სექტორს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გარდა. სავალდებულო სპეციალიზაცია უნდა დაინერგოს ფართოდ ისე, რომ სისხლის სამართლის სისტემის გარდა მოიცვას სამოქალაქო და ადმინისტრაციული სასამართლო წარმოებასაც, ასევე, ადმინისტრაციულ ორგნოებში საქმის წარმოება და ალტერნატიული სასამართლო განხილვის მექანიზმი, სასამართლო მედიაცია.

საერთაშორისო სტანდარტების[220] თანახმად, პროფესიონალთა სპეციალიზაციის ინსტიტუციურმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს განგრძობადი სწავლება/ტრენინგები ბავშვთან კომუნიკაციის უნარებში (ბავშვის ფსიქოლოგია, ბავშვისთვის გასაგები ენა) ბავშვებთან მომუშავე ყველა პროფესიონალისთვის (ადვოკატები, მოსამართლეები, მედიატორები, სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და სხვა სპეციალისტები, რომლებმაც შეიძლება მონაწილეობა მიიღონ ბავშვის მულტიდისციპლინური შეფასების ან/და ფსიქო-სოციალური და სამედიცინო დახმარების/რეაბილიტაციის პროცესში). სწავლების მიზანი

[216] იგივე, პარა. 14-18
[217] იგივე, 16-18. გვ. 23
[218] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281
[219] ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები, V.f. გვ. 33
[220] ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები, 2010; ასევე,

უნდა იყოს როგორც ბავშვთან მუშაობის შესახებ ცოდნის მიწოდება, ასევე, უნარ-ჩვევების გამომუშავება/გაუმჯობესება და სათანადო მიდგომების და ღირებულებების განვითარება.

ბელგიის ადვოკატთა ასოციაციას აქვს ბავშვებთა საქმეებზე მომუშავე სპეციალიზებული ადვოკატების ცალკე განყოფილება. ასოციაცია სთვაზობს ადვოკატებს ორწლიან კურსს ბავშვთა უფლებებზე. კურსის პროგრამა მოიცავს კანონმდებლობას, საბაზისო სწავლებას ბავშვთა ფსიქოლოგიისა და განვითარების თემაზე და პრაქტიკულ სწავლებას ბავშვთან კომუნიკაციის მეთოდებზე. ესაა სავალდებულო კურსი „ბავშვთა სპეციალიზებული ადვოკატის" სერტიფიკატის მისაღებად.

რაც შეეხება მულტიდისციპლინურ მიდგომას, მოსამართლეებმა და სამართლის სფეროს სხვა სპეციალისტებმა ბავშვთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ სხვა პროფესიის სპეციალისტებთან კონსულტაციის და ურთიერთმხარდაჭერის გზით, განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება, პროცესში მონაწილეობის შესაძლო საზიანო შედეგი ბავშვზე და სხვა.

სასამართლოს მულტიდისციპლინური მიდგომა

ევროპის 16 ქვეყნის კანონმდებლობით განმტკიცებულია სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სასამართლო პროცესებში მონაწილე ბავშვის მდგომარეობის ყოველმხრივი შესწავლის ვალდებულება. ამ მიზნით ტარდება ბავშვის მდგომარეობის შეფასება სამართლებრივ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ, ემოციურ, ფიზიკური ჯანმრთელობის და კოგნიტიური კუთხით. ეს მულტიდიციპლინური მიდგომა ფუნქციონირებს ფორმალური თანამშრომლობის პროცედურით სასამართლოსა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების პროფესიონალებს შორის.

ავსტრია

ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის მიზნით, ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ „ბავშვის კეთილდღეობა" უნდა იყოს გადაწყვეტილების გამოტანის წამყვანი პრინციპი და ადგენს ძირითად შეფასების კრიტერიუმებს მოსამართლისთვის:

- ბავშვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაცვა და უსაფრთხოება;
- მშობლების მიერ ბავშვის მიმართ პატივისცემა და მიმღებლობა;
- ბავშვის ტალანტების, შესაძლებლობების, ინტერესების და განვითარების ხელშეწყობა;
- ბავშვის მოსაზრებები;
- ბავშვის ნების წინააღმდეგ გადაწყვეტილების აღსრულების შემთხვევაში ბავშვის მიმართ მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილება;
- ბავშვის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობის, შეურაცხყოფის და საფრთხის თავიდან აცილება;
- ორივე მშობელთან ბავშვის კონტაქტის შენარჩუნების უზრუნველყოფა;
- თავიდან იქნეს აცილებული ბავშვში ერთგულებისა და დანაშაულის გრძნობას შორის კონფლიქტი;
- ბავშვის ინტერესების და უფლებების, მისი მშობელბის და გარემოცვის პატივისცემა

მოწმე და მსხვერპლ ბავშვთა მიმართ მულტიდისციპლინური მიდგომა

ისლანდიაში, ნორვეგიასა და შვედეთში, ფუნქციონირებს „ბავშვთა სახლები" ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებისთვის. სოციალური მუშაკები, სასამართლო სამედიცინო ექსპერტები, პედიატრები, პოლიცია და პროკურორები მუშაობენ

ერთობლივად. ისინი ერთმანეთში ინაწილებენ ფუნქციებს. ბავშვთან გასაუბრება ტარდება ერთხელ სპეციალისტის მიერ, რომელსაც პროცესის სხვა მონაწილეები ვიდეო კავშირის საშუალებით სხვა ოთახში უსმენენ. ამ სახლებში არის, აგრეთვე, სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების საშუალება და ფსიქოლოგიური დახმარების სერვისიც.

შესაბამისად, რეკომენდირებულია საკანონმდებლო ცვლილებები შემუშავდეს, რათა საქართველოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობით (როგორც მატერიალური, ასევე, საპროცესო) სავალდებულო გახდეს ბავშვთან დაკავშირებით საქმეთა განხილვის მულტიდისციპლინური წესი, როგორც ადმინისტრაციული ორგანოების, ასევე, სასამართლოს მიერ. ამავე დროს, კანონმდებლობით უნდა დადგინდეს მსხვერპლ და მოწმე ბავშვთა მიმართ მულტიდისციპლინური მიდგომა როგორც გასაუბრების, ასევე, მოკლე და გრძელვადიანი დახმარებისა და რეაბილიტაციის დროს. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, ერთიანი სისტემის შემუშავება.

3.3.4. ბავშვზე მორგებული სასამართლო პროცესი

ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები განმარტავს, რომ ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება სასამართლო წარმოების დროს მოიცავს შემდეგ გარანტიებს:

- **ხელმისაწვდომი სასამართლო პროცესი:** უფლების დარღვევის შემთხვევაში ეროვნული კანონი შესაძლებელობას უნდა აძლევდეს ბავშვს მიმართოს სასამართლოს. ამისათვის კანონმა ბავშვი უნდა გაათავისუფლოს ყოველგვარი სასამართლო ხარჯისგან და უზრუნველყოს იურიდიული დახმარება[221]. საპროცესო ქმედუნარიანობის ფიქსირებული ასაკის მითითება გამორიცხავს ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობების და აღქმის უნარის გათვალისწინებას და შესაძლოა ზოგჯერ უსამართლო იყოს. ამიტომ ქვეყნის კანონმდებლობამ უნდა შექმნას საფუძველი ბავშვმა მიმართოს სასამართლოს, როდესაც ის სათანადოდ აცნობიერებს საკუთარ უფლებებს[222].
- **იურიდიული დახმარება და წარმომადგენლობა:** კანონით ბავშვს უნდა ჰქონდეს უფლება უფასო იურიდიულ დახმარებასა და საკუთარი სახელით წარმომადგენლობაზე. ბავშვთან მომუშავე ადვოკატები უნდა იყვნენ სპეციალიზებული ბავშვთა საკითხებზე და პროცესში წარმოადგენდნენ უშუალოდ ბავშვის მოსაზრებას, მიაწოდოს მას ყველა საჭირო ინფორმაცია და განმარტება. რაც შეეხება წარმომადგენლობას, როდესაც ბავშვსა და მის მშობლებს შორის ინტერესთა კონფლიქტია, კომპეტენტურმა ორგანომ უნდა დაუნიშნოს მას საპროცესო წარმომადგენელი (guardian ad litem) ან სხვა დამოუკიდებელი წარმომადგენელი. კანონით გარანტირებული უნდა იყოს ბავშვის უფლება წარმომადგენლობაზე, მშობლებისგან დამოუკიდებლად, განსაკუთრებით ისეთ პროცესში, როდესაც მშობლები სავარაუდო დამრღვევები არიან[223].
- **ბავშვის უფლება აზრის გამოთქმასა და მოსმენაზე:** მოსამართლემ უნდა მოუსმინოს ბავშვს ყველა მასთან დაკავშირებულ საკითხზე ადაპტირებული საშუალებების გამოყენებით და მის მოსაზრებებს სათანადო მნიშვნელობა მიანიჭოს ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად. ბავშვს ეს უფლება არ

[221] პარა. 34-36. გვ. 26-27

[222] ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები, 2010, პარა 96

[223] პარა. 37-43. გვ. 27

უნდა შეეზღუდოს ასაკის გამო და მას უნდა მოუსმინონ ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც მას სურს აზრის გამოთქმა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მის საუკეთესო ინტერესებს. ამასთან ერთად ბავშვს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ამ უფლების გამოყენების შესახებ და იქვე უნდა განემარტოთ, რომ მათი აზრი ყველა შემთხვევაში ვერ იქნება გათვალისწინებული. სასამართლო გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ბავშვს უნდა განემარტოს მისი შინაარსი გასაგებ ენაზე[224].

- **პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილება:** ბავშვთან დაკავშირებულ ყველა პროცესი უნდა ჩატარდეს „გადაუდებლობის" პრინციპით, განსაკუთრებით საოჯახო საქმეებზე (მაგ. მშობლის უფლებები, მეურვეობა, მშობლის მიერ ბავშვის გატაცება) სარისკო შედეგების თავიდან ასაცილებლად. საჭიროებისამებრ განხილული უნდა იქნეს დროებითი განკარგულებების მიღება. კანონის თანახმად, უნდა არსებობდეს სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების მექანიზმი[225].
- **პროცესის ორგანიზება, ბავშვზე მორგებული გარემო და გასაგები ენა**: პროცესის დაწყებამდე ბავშვს გასაგები ენით უნდა გააცნონ სასამართლოს ან სხვა შესაბამისი შენობის მოწყობის გეგმა, ასევე, მონაწილე პირების როლი და ვინაობა. ბავშვს უნდა მისცენ ნება თან ახლდეს მშობლები ან, სადაც საჭიროა, მის მიერ არჩეული ზრდასრული პირი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დასაბუთებული გადაწყვეტილებით დადასტურებული საწინააღმდეგო. დასაშვებ მტკიცებულებად უნდა იყოს აღიარებული და გამოყენებული ინტერვიუს სხვადასხვა მეთოდები, როგორიცაა ვიდე ან აუდიო-ჩაწერა ან წინასასამართლო დახურული მოსმენის ჩანაწერი. დაცული უნდა იყოს კონფიდენციალობა. პროცესი უნდა წარიმართოს პერიოდული შესვენებებით. მოსაცდელი და ინტერვიუს ოთახები უნდა იყოს მოწყობილი ბავშვზე მორგებული გარემოს პრინციპით[226].
- **ბავშვთან გასაუბრება/ჩვენების მიღება**: ბავშვთან გასაუბრება უნდა აწარმოოს სპეციალიზებულმა პროფესიონალმა. გასაუბრების რაოდენობა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მცირე და ყოველ ჯერზე ჩაატაროს ერთიდაიგივე პირმა. მაქსიმალურად უნდა იქნეს თავიდან აცილებული პირდაპირი კონტაქტი მსხვერპლ ან მოწმე ბავშვსა და სავარაუდო მოძალადეს შორის, თუ ამას არ მოითხოვს მსხვერპლი ბავშვი. თავიდან უნდა იქნებს აცილებული მიმანიშნებელი კითხვები. ბავშვის მიერ გაკეთებული განცხადებები და ჩვენება არასდროს უნდა ჩაითვალოს მტკიცებულების ძალის არმქონედ ან არასარწმუნოდ მხოლოდ ბავშვის ასაკიდან გამომდინარე[227].

ა) ბავშვი სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში

ბავშვის სამართლებრივი ქმედუნარიანობა

სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ქმედუნარიანობა ანუ ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო

[224] პარა. 44-49. გვ. 28
[225] პარა. 50-53
[226] მითითება 54-62, გვ. 29-30
[227] მითითებები 64-74, გვ. 30-31

უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა 18 წლის ასაკიდან. 7 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) ქმედუუნაროდ ითვლება[228], ხოლო შვიდიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანი შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა[229]. ეს ნორმები ვრცელდება ბავშვის საპროცესო ქმედუნარიანობაზე როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ბავშვის მონაწილეობის უფლების შესახებ არაერთგვაროვან სტანდარტს ადგენს. ზოგან ითხოვს სავალდებულო თანხმობას ასაკობრივი დათქმით, ზოგან მხოლოდ სურვილის გათვალისწინებაზე მიუთითებს და მშობელთა უფლების ბოროტად გამოყენებისას, უფლებას აძლევს დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს. კერძოდ: კოდექსი თანხმობას სავალდებულოდ ადგენს 10 წლის ასაკიდან შემდეგ საკითხებზე: გვარის შეცვლისას[230]; შვილად აყვანის დადგენისას[231]; ნაშვილებისთვის სახელის შეცვლისას[232]; ნაშვილების მშობლად დაბადების აქტში მშვილებლის რეგისტრაციისას[233]. მშობლის უფლებაჩამორთმეული პირისთვის უფლებების აღდგენის დროს ითვალისწინებს ბავშვის სურვილსაც, თუ მას შეუსრულდა 10 წელი[234], თუმცა იგივე წესი არ მოქმედებს მშობლის უფლების ჩამორთმევის საკითხის განხილვისას[235]. არასრულწლოვანს 14 წლის ასაკიდან შეუძლია დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს მშობლის მიერ აღზრდა-განათლების მოვალეობების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების ან მშობლის უფლების ბოროტად გამოყენებისას[236].

სამოქალაქო კოდექსი სათანადო ვერ უზრუნველყოფს ბავშვის უფლებას მოუსმინონ მასთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისას, როგორიცაა: ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა მშობელთა შეუთანხმებლობისას[237]; ბავშვის ურთიერთობის განსაზღვრა მშობელთან, რომელთანაც არ ცხოვრობს[238]; ბავშვის ურთიერთობა ბებია-პაპასთან[239]; მშობელთან დაბრუნების საკითხი[240].

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს რამდენიმე საპროცესო დაცვის საშუალებას ბავშვის მონაწილეობის უფლებასთან დაკავშირებით, კერძოდ: ბავშვთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები. ამასთანავე, სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეებში ჩააბას თვით 7-18 წლამდე არასრულწლოვანი[241], ხოლო 7 წლამდე ბავშვის შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით საქმეში მცირეწლოვანიც ჩააბას[242]. სასამართლო ხარჯების გადახდისგან თავისუფლდებიან მოსარჩელეები არასრულწლოვანთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ სარჩელებზე[243].

---

[228] მუხ. 12
[229] მუხ. 14
[230] მუხ. 1196.2
[231] მუხ. 1255.1, 1256
[232] მუხ. 1257.2
[233] მუხ. 1258
[234] მუხ. 1209.2
[235] მუხ. 1206
[236] მუხ. 1198[1], 1206
[237] მუხ. 1201
[238] მუხ. 1198, 1202
[239] მუხ. 1203
[240] მუხ. 1204
[241] მუხ. 81.3
[242] მუხ. 81.5
[243] მუხ. 46.1 „ე“

ბუნდოვანია, რა იგულისხმება „ჩაბმაში“ და რა სამართლებრივი სტატუსით ისარგებლებს ის სამართალწარმოების დროს. შესაბამისად, ამ საკითხის განმარტება და გადაწყვეტა დამოკიდებულია ინდივიდუალურ მოსამართლეზე, რაც არ ქმნის ბავშვის უშუალოდ მოსმენის და მისი მოსაზრებების სათანადოდ გათვალისწინების გარანტიას კონვენციით აღიარებული მნიშვნელობით.

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებისას, ბავშვის წვდომა სასამართლოზე თითქმის სრულიად არის დამოკიდებული მის მშობლებზე, გარდა თავად მშობელთა მიერ უფლებების ბოროტად გამოყენებისას. კოდექსი არ ითვალისწინებს სხვა შემთხვევას, როდესაც ბავშვს შეუძლია დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს, თუ მასა და მის მშობლებს ან სხვა კანონიერ წარმომადგენლებს შორის შეუთანხმებლობა (არა ძალადობის გამო) არსებობს მისი უფლების დაცვაზე მესამე პირებთან მიმართებაში.

მოსამართლის უფლება გაათავისუფლოს ბავშვის ასაკობრივი ბარიერისგან
ბელგიასა და ჩეხეთში მოსამართლე უფლებამოსილია ნებისმიერი ასაკის ბავშვის სარჩელი მიიღოს წარმოებაში ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, თუ დაასკვნის, რომ: ბავშვი აცნობიერებს თავის უფლებებს და შეუძლია დამოუკიდებლად დაიწყოს პროცესი, ან/და ინტერესთა კონფლიქტია მშობლებთან ან როდესაც სარჩელი აბსოლუტური აუცილებლობითაა განპირობებული. იგივე წესია დიდ ბრიტანეთში, მხოლოდ 12 წლის ასაკს მიღწეული ბავშვის მიმართ.

ბავშვის მონაწილეობა
ევროპის 24 ქვეყანაში პროცესში ბავშვის მონაწილეობასთან დაკავშირებით ასაკობრივი შეზღუდვას კანონი არ ადგენს. ამასთანავე, ბავშვებს უფლება აქვთ სარჩელით უფლების დარღვევაზე/ზიანის ანაზღაურებაზე სასამართლოს მიმართონ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ ანუ ხანდაზმულობის ვადა ასეთ შემთხვევას არ მოქმედებს.

არასრულწლოვნის წვდომა სასამართლოზე

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, არასრულწლოვანს 14 წლის ასაკიდან უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. სასამართლო ნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს. არასრულწლოვანს უფლება აქვს არ დაეთანხმოს თავის საპროცესო წარმომადგენელს და თვითონ დაიცვას საკუთარი თავი. სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეებზე ჩააბას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები[244]. კოდექსი ითვალისწინებს კიდევ ერთ შემთხვევას, კერძოდ: არასრულწლოვანს უფლება აქვს დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს, როგორც მოსარჩელემ, ასევე, სასამართლო პროცესში მონაწილეობა მიიღოს, როგორც მოპასუხემ და მესამე პირმა. **თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 14 წლის ასაკიდან დამოუკიდებლად მიმართვის უფლების განხორციელება თითქმის შეუძლებელია ისეთ პირობებში, როდესაც კანონი არ ადგენს ბავშვზე მორგებულ პროცედურებს და სათანადო მხარდაჭერის ღონისძიებებს ამგვარი შემთხვევებისთვის.**

კანონი არ ითვალისწინებს სხვა შემთხვევას, როდესაც ბავშვს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს დამოუკიდებლად საკუთარი უფლების დასაცავად არა მშობლის წინააღმდეგ, არამედ სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის მიმართ, როდესაც ის კარგად აცნობიერებს თავის უფლებებს და ვერ თანხმდება მშობელთან ამ უფლების დაცვის შესახებ ან სხვა სახის ინტერესთა კონფლიქტია. მნიშვნელოვანია, ბავშვს უფლება მიენიჭოს მიმართოს სასამართლოს დამოუკიდებლად საკუთარი უფლებების დასაცავად უშუალოდ ან

[244] მუხ. 81[1]

წარმომადგენლის მეშვეობით, ასაკობრივი შეზღუდვის გარეშე, თუ ის აცნობიერებს საკუთარ უფლებებს.

ბ) ბავშვი ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ადგენს სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმეთა განხილვას ბავშვთა მონაწილეობით ძალადობის, ანტისოციალური ქცევის ბავშვთა სკოლა-პანსიონში გადამისამართების, არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის საკითხებზე. **განვიხილოთ თითეული საკითხი:**

ანტისოციალური ქცევის მქონე არასრულწლოვანთა გადამისამართება

კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ ითვალისწინებს 12 წლის ასაკს მიღწეულ ანტისოციალური ქცევის მქონე არასრულწლოვანთა გადამისამართებას სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვას ან სხვა ღონისძიებებს გამოყენებას, ***ღონისძიებებში ჩართვა, სხვა სკოლაში გადაყვანას ან სკოლა-პანსიონში გაგზავნას***[245]. განათლების და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტთა ჯგუფი საკითხის განხილვისას ***მოუსმენს*** მიმართვის ავტორს, ***არასრულწლოვანს,*** მშობელს და სოციალურ მუშაკს, საჭიროებისამებრ, სხვა პირებსაც[246]. სკოლა-პანსიონში გაგზავნა გამოიყენება, როგორც უკიდურესი ღონისძიება ან/და როდესაც 10 წელს მიღწეული ბავშვის მიერ ჩადენილია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება[247]. ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილება სხვა ღონისძიების გამოყენების, ასევე მშობლების წერილობითი თანხმობით სკოლა-პანსიონში გაგზავნის შესახებ, ***არ ექვემდებარება გასაჩივრებას***[248].

განხილული ნორმები ადგენს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს (ექსპერტთა ჯგუფის) მიერ გადაწყვეტილება მიიღება ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე, სავალდებულოა ბავშვის მოსმენა და მისი ბიოფსიქოსოციალური შეფასების გათვალისწინება. თუმცა კანონი დამატებით არ ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ბავშვის მოსმენის და მისი მოსაზრების სათანადოდ გათვალისწინების საპროცესო გარანტიებს მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისი საშუალებებით. ამასთანავე, აღნიშნული ნორმები ზღუდავს ბავშვის უფლებას ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე. კერძოდ: ა) ბავშვის უფლებას დამოუკიდებლად ან წარმომადგენლის მეშვეობით გაასაჩივროს გადამისამართების ღონისძიების შესახებ (მაგ. სხვა სკოლაში გადაყვანა) ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება; ბ) ბავშვის უფლებას დამოუკიდებლად გაასაჩივროს ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილება სკოლა-პანსიონში გაგზავნის შესახებ, თუ არ იზიარებას მშობლის თანხმობას ამ საკითხზე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გასწორდეს ეს შეუსაბამობა და ბავშვს მიეცეს სრულფასოვანი მონაწილეობის და მისი უფლებების დასაცავად გასაჩივრების მექანიზმებზე წვდომის უფლება სამართლებრივი დაცვის საშუალებებით.

რაც შეეხება 10 წლის ასაკის მიღწეული ბავშვის სკოლა-პანსიონში გაგზავნას, ეს ღონისძიება უკიდურეს შემთხვევაში. თუ არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი წერილობით თანხმობას არ აცხადებს, ექსპერტთა ჯგუფი შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს გადაწყვეტილების მისაღებად[249].

---

[245] მუხ. 48[7].1
[246] მუხ. 48[7].7-10
[247] მუხ. 48[7].5
[248] მუხ. 48[7].15
[249] მუხ. 48[7].13

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, სასამართლო განხილვას ექვემდებარება: ა) ექსპერტთა ჯგუფის შუამდგომლობა არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში გაგზავნის ან სკოლა-პანსიონში ყოფნის ვადის გაგრძელების შესახებ[250]; ბ) არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის საჩივარი ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში გაგზავნის შესახებ, როდესაც არასრულწლოვნის მიერ ჩადენილია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული და არ მიუღწევია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის[251].

სასამართლოში საქმის განხილვის ძირითადი ასპექტებია:

- არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში გაგზავნის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე სარჩელის წარდგენა არ აჩერებს გადაწყვეტილების მოქმედებას[252].
- საქმე განიხილება დახურულ სხდომაზე, რომელზე ***დასწრების უფლება*** აქვთ: შუამდგომლობის/საჩივრის ავტორს, არასრულწლოვანს, არასრულწლოვნის მშობელს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს, სოციალურ მუშაკს, არასრულწლოვნის ადვოკატს, აგრეთვე სასამართლოს მიერ მოწვეულ სხვა პირებს. ***მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საქმის განხილვას.*** არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში გაგზავნის საკითხს, განიხილავს ***მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლო.*** მისი გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია ერთჯერადად 10 დღის ვადაში ***თბილისის სააპელაციო სასამართლოში***[253].
- არასრულწლოვანს უფლება აქვს უარი განაცხადოს სასამართლოში ახსნა-განმარტების მიცემაზე, აგრეთვე მოითხოვოს სასამართლო პროცესზე ადვოკატის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დასწრება[254].
- სკოლა-პანსიონში გაგზავნის ღონისძიების შეწყვეტის ან შეცვლის შესახებ ექსპერტთა ჯგუფს შეუძლია მიმართოს მხოლოდ სკოლა-პანსიონში მომუშავე სპეციალისტმა[255].

განხილული ნორმების ანალიზით ჩანს, რომ სასამართლოს მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისას, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ ასახავს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების პრინციპს და გადაწყვეტილების სამართლებრივ დასაბუთებას ამ პრინციპთან მიმართებაში; სავალდებულო არ არის ბავშვის მოსმენა და მისი მოსაზრებების სათანადოდ გათვალისწინება (მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს გადაწყვეტილების მიღებას); წარმოდგენილი ფაქტების დამატებით შესწავლას სპეციალისტების მოწვევით; ბავშვს არა აქვს უფლება უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით მიმართოს სასამართლოს (ან/და ექსპერტთა ჯგუფს) სკოლა-პანსიონში გაგზავნის გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ ამ ღონისძიების შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით (მხოლოდ სკოლა-პანსიონს შეუძლია მიმართოს ექსპერტთა ჯგუფს).

ევროკავშირის 25 ქვეყანაში არსებობს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ბავშვთა ან/და მათ კანონიერ წარმომადგენელთა

[250] მუხ. 21^{35}

[251] იხ. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21^{35}.1 („ბ“); ასევე, კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხ. 48^{7}.14

[252] მუხ. 21^{36}

[253] მუხ. 21^{37}

[254] მუხ. 21^{38}

[255] მუხ. 48^{9}

მხარდაჭერის მექანიზმები, რათა ბავშვებმა შეძლონ თავიანთი უფლებების სამართლებრივი დაცვა ან უფლების დარღვევის (მოქმედებით ან უმოქმედობით) შემთხვევაში კომპენსაციის მოთხოვნა. ეს მხარდაჭერა მოიცავს:

- სასამართლოს ვალდებულება სამართალწარმოებაში მონაწილე ბავშვს მიაწოდოს ინფორმაცია სამართლებრივი დაცვის საშუალებების და კომპენსაციის მოთხოვნის უფლების შესახებ;
- იურიდიული დახმარება ბავშვებისთვის;
- გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადის გაგრძელების შესაძლებლობა ბავშვებისთვის იმ შემთხვევაში, თუ კანონიერი წარმომადგენელი არ იცავს ამ ვადას;
- სპეციალური ინსტიტუციური მხარდაჭერა, როგორიცაა შესაბამისი უფლებამოსილი უწყების მიერ ბავშვთა კონსულტირება, ინფორმირება და უფლებების დაცვა (ბავშვთა კომისიები, ბავშვთა ომბუდსმენები, ბავშვთა სამართლებრივი მრჩევლები, ბავშვთა კეთილდღეობის სამსახურები)

ბ.ა) ადმინისტრაციული პროცესი: ბავშვთა დაცვა ძალადობისგან

კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ ადგენს, რომ ბავშვის მიმართ ძალადობის დროს ბავშვი განცალკევდება მოძალადე მშობლის, სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან ნებისმიერი სხვა მოძალადისგან პოლიციის შემაკავებელი ორდერის ან სოციალური მუშაკის გადაწყვეტილების საფუძველზე[256].

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ადგენს საპროცესო წესებს ბავშვზე ძალადობის შემთხვევასთან დაკავშირებით სასამართლოსადმი მიმართვის, მშობლის უფლებამოსილების შეზღუდვის და მშობლისგან ბავშვის განცალკევების გადაწყვეტილების მიღების და გასაჩივრების შესახებ[257]. სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს მსხვერპლს, ასევე მის ოჯახის წევრს, ხოლო არასრულწლოვნის შემთხვევაში, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. კანონის ჩანაწერის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, მათ შორის, არასრულწლოვნის დაკითხვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს არასრულწლოვნის **„საუკეთესო ინტერესები მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად“**[258].

სასამართლო არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების ან მის გაუქმებაზე უარის თქმის თაობაზე დასაბუთებულ გადაწყვეტილებას **იღებს შინაგანი რწმენის** საფუძველზე. ეს გადაწყვეტილება მიღებიდან 24 საათის განმავლობაში გადაეცემა მხარეებს[259]. მიღებული გადაწყვეტილება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში ერთჯერადად საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში.

არასრულწლოვნის „საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად“ არ არის კონვენციის ნორმატიული შინაარსის შესაბამისი, რადგან საუკეთესო ინტერესები უნდა შეფასდეს ჰოლისტურად, ბავშვის განვითარებისა და საჭიროებების სრულფასოვანი გათვალისწინებით. რაც შეეხება

[256] მუხ. 14 (1)
[257] მუხ. 21^{12}
[258] მუხ. 21^{12} (3)
[259] მუხ. 21^{12} (13)

„ასაკისა და განვითარების დონის“ გათვალისწინებას, ეს არის ბავშვის მოსაზრებების მოსმენის უფლების ნორმატიული შინაარსი ანუ ბავშვის მოსმენის დროს სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება გამოიყენოს ბავშვის ასაკის და განვითარების დონის შესაბამისი საკომუნიკაციო ან სხვა საშუალებები, რათა შეძლოს ბავშვის მოსაზრების მოსმენა და სათანადოდ გათვალისწინება. შესაბამისად, კანონის ეს ჩანაწერი უფრო გარკვევით უნდა ჩამოყალიბდეს.

კანონი მიუთითებს, რომ მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს შინაგანი რწმენის საფუძველზე, რაც ცალკე აღებული, ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის და მისი მოსაზრების მოსმენის გარეშე, არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად. აღსანიშნავია, რომ კანონი საერთო სასამართლოების შესახებ მიუთითებს, რომ მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და გადაწყვეტილებას იღებს „მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე“[260]. თუმცა თუ ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში აუცილებელია მოსამართლის დამოუკიდებლობაზე აქცენტის გაკეთება, ბუნდოვანია რატომ უნდა მივუთითოთ მხოლოდ „შინაგანი რწმენა“ და არა საერთაშორისო სამართლით აღიარებული პრინციპები.

გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და სათანადოდ ითვალისწინებდეს ბავშვის მოსაზრებებს, როგორც საქმის გარემოებების, ასევე მისი მომავლის შესახებ (ალტერნატიული საცხოვრებელი ადგილი, ურთიერთობა მშობლებთან/ოჯახთან და ა.შ). თუ გადაუდებელი მდგომარეობის გამო ბავშვის მოსმენა ვერ ხერხდება, ეს უნდა მოხდეს პირველივე შესაძლებლობისთანავე.

ბავშვები, მათ შორის, მცირე ასაკის ბავშვებიც, უნდა მონაწილეობდნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ზრდადი შესაძლებლობების გათვალისწინებით. მათ უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია მკურნალობის და მოსალოდნელი შედეგების შესახებ, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს - მათთვის გასაგები ფორმატით. ექიმებმა და სამედიცინო დაწესებულებებმა ბავშვებს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია მათთვის გასაგები ფორმით პედიატრიული კვლევების და კლინიკურ ექსპერიმენტებში მონაწილეობის დროს იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს ბავშვთა ინფორმირებული თანხმობა სხვა სამართლებრივი დაცვის გარანტიების თანხლებით (დამატებით კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის აუცილებლობაც, დამატებითი ზედამხედველობის და შემოწმების მექანიზმები, თუ რამდენადაა ბავშვის თანხმობა ნებაყოფლობითი და ინფორმირებული, და რამდენად უვნებელია ბავშვის მონაწილეობა კვლევაში, სხვა)[261].

ბ.ბ) ადმინისტრაციული პროცესი: არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობა

კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ ადგენს, რომ *არანებაყოფლობით სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება* ტარდება, როდესაც პირს ფსიქიკური აშლილობის გამო არ გააჩნია გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი და მისი დახმარება შეუძლებელია სტაციონარში განთავსების გარეშე. ასევე იმ შემთხვევებში, თუ საფრთხე ექმნება პაციენტის ან სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან პაციენტმა

[260] კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მუხ. 7.1

[261] ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #12, პარა. 100, 103

საკუთარი მოქმედებით შეიძლება მიიღოს ან სხვას მიაყენოს მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი[262].

ადმინისტრაციული ორგანო ანუ ექიმ-ფსიქიატრთა კომისია იღებს პირველად გადაწყვეტილებას არანებაყოფლობითი მკურნალობის შესახებ, ხოლო შემდგომ ეტაპზე საკითხს განიხილავს სასამართლო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, კერძოდ[263]:

- არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების ჩვენების დროს არაა საჭირო პაციენტის თანხმობა და გადაწყვეტილებას სტაციონარში მოთავსების შესახებ იღებს შესაბამისი სერტიფიკატის მქონე ექიმი.
- სტაციონარში მოთავსებიდან 48 საათში ექიმ-ფსიქიატრთა კომისია შეისწავლის საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას ხმათა უმრავლესობით. ***<u>პაციენტის მონაწილეობაზე არაფერია აღნიშნული.</u>***
- დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ფსიქიატრთა კომისია 48 საათში მიმართავს სასამართლოს პაციენტის სტაციონარში მოთავსების შესახებ ბრძანების გამოსაცემად.
- სასამართლო 24 საათში იღებს გადაწყვეტილებას. ***<u>განხილვაში პაციენტის მონაწილეობა აუცილებელია.</u>*** პაციენტის ინტერესებს სასამართლოში წარმოადგენს მისი კანონიერი წარმომადგენელი, ხოლო ასეთის ***<u>არაარსებობისას ნათესავი და ადვოკატი, რომელიც ენიშნება სახაზინო წესით საჭიროებისამებრ.</u>***
- პაციენტს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარება გაეწევა 6 თვით, თუმცა ფსიქიატრთა კომისიას შეუძლია ***<u>შეუზღუდავად</u>*** მიმართოს სასამართლოს ამ ვადის გასაგრძელებლად საჭიროების ამოწურვამდე.
- სასამართლოს გადაწყვეტილება პაციენტი სტაციონარში მოთავსების ან ვადის გაგრძელების შესახებ შეუძლია ***<u>გაასაჩივროს პაციენტმა,</u>*** მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა, ნათესავმა, ასევე ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციამ[264].

კანონი არ გვაწვდის სათანადო სამართლებრივი დაცვის გარანტიებს არასრულწლოვნის მონაწილეობის და გასაჩივრების მექანიზმებზე წვდომის, ასევე, სასამართლოზე ხელმისაწვდომობის შესახებ. კერძოდ:

- **ექიმ-ფსიქიატრთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისას პაციენტის სტაციონარში განთავსების, ასევე ვადის გაგრძელების შესახებ პაციენტის მონაწილეობა არ არის აუცილებელი;**
- **პაციენტის მონაწილეობა აუცილებელია სასამართლოში საკითხის განხილვის დროს, თუმცა ნორმა არ გვაწვდის მისი მონაწილეობის კონკრეტულ გარანტიებს, როგორიცაა მისი აზრის მოსმენის და სათანადოდ გათვალისწინების წესი კომუნიკაციისა და მხარდაჭერის შესაბამისი საშუალებების გამოყენებით. აგრეთვე, არაფერია ნათქვამი სასამართლოს მიერ სხვა ექპერტების და სპეციალისტების ჩართვის შესაძლებლობაზე ალტერნატიული მოსაზრების მოსასმენად მულტიდისციპლინური მიდგომის გამოყენებით. მართალია, მხარის მოთხოვნით შეიძლება დაინიშნოს ალტერნატიული ექსპერტიზა, თუმცა მნიშვნელოვანია, თავად მოსამართლეს ჰქონდეს უფლება თავისი ინიციატივით და სახელმწიფო დაფინანსებით დანიშნოს ალტერნატიული ექსპერტიზა, როდესაც საქმე ბავშვს ეხება.**
- **პაციენტის წარმომადგენლობის საკითხი პრობლემურია, რადგან კანონი უშვებს „ნათესავის“ თანხმობას, რაც პირთა ძალიან ფართო წრეს მოიცავს და გარანტირებული**

[262] მუხ. 18.1
[263]მუხ. 18. 1-13
[264] მუხ. 18 (14)

არ არის ასეთი წარმომადგენლობის განხორციელებისას ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების და მოსმენის უფლების დაცვა;

- **პაციენტს დახმარება გაეწევა 6 თვით, თუმცა ფსიქიატრთა კომისიას შეუძლია შეუზღუდავად მიმართოს სასამართლოს ამ ვადის გასაგრძელებლად საჭიროების ამოწურვამდე. ეს ჩანაწერი პაციენტის არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის საკითხზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას ანიჭებს ფაქტობრივად ფსიქიატრთა კომისიას და არ ასახელებს სხვა დამოუკიდებელ უწყებას, რომელიც განახორციელებს ზედამხედველობას და მკურნალობის პერიოდულ გადასიჯვას.**

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ადგენს პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმის განხილვის საპროცესო წესებს[265]:

- მოსამართლე პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმეს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისთვის შესაბამისი მიმართვის წარდგენიდან 48 საათში.
- საქმის განხილვაში პაციენტის მონაწილეობა აუცილებელია, თუ ეს საფრთხეს არ შეუქმნის სხვა პირების ჯანმრთელობას.
- არასრულწლოვანი პაციენტის საქმის განხილვისას არასრულწლოვანი პაციენტის ინტერესებს წარმოადგენს მისი მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი.

განხილული ნორმებით ჩანს, რომ პაციენტის მონაწილეობის უფლება იზღუდება დათქმით, „თუ ეს საფრთხეს არ შეუქმნის სხვა პირების ჯანმრთელობას“. არასრულწლოვანი პაციენტის შემთხვევაში მას წარმოადგენს მისი მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი. ბავშვის უფლება დამოუკიდებლად, თავისი სახელით განახორციელოს წარმომადგენლობა და ისარგებლოს სამართლებრივი და სხვა სახის მხარდაჭერით, არ არის ასახული.

ბ.გ) ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსება

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო გადაწყვეტილებას იღებს ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსების შესახებ დამოუკიდებლად ან ზოგიერთ შემთხვევაში მასთან არსებული რეგიონული საბჭოების მეშვეობით. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო გადაწყვეტილებას იღებს შემდეგი კანონების თანახმად:

- **მინდობით აღზრდა: შვილად აყვანის და მინდობით აღზრდის შესახებ კანონის თანახმად,** ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო უფლებამოსილი სოციალური მუშაკის მიერ ***ბავშვის საჭიროებებისა*** და მინდობით აღზრდის მსურველ პირთა შესახებ მომზადებული დასკვნის საფუძველზე, შემდეგი პრინციპების დაცვით: მინდობით ***აღმზრდელის სურვილი ბავშვის ასაკის, სქესის და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;*** ბავშვის გათავსება შეძლებისდაგვარად შესაბამის ***ეთნიკურ, რელიგიურ და კულტურულ გარემოში;*** მინდობით ოჯახში ბავშვთა რაოდენობა არაუმეტეს შვიდისა; ***10 წელს მიღწეული ბავშვის თანხმობა;*** და-ძმების ერთად განთავსება; ასაკობრივი სხვაობა 16 წელი[266].

კანონი არ მიუთითებს მინდობით აღზრდაში განთავსებისას ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების პრინციპზე, როგორც ბავშვის უფლებასა და გადამწყვეტილების მიმღები ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების საპროცესო წესზე. რაც შეეხება ბავშვის მონაწილეობას, კანონი მიუთითებს 10 წლის ბავშვის თანხმობას, თუმცა არაფერს ამბობს 10 წლამდე ასაკის ბავშვთა მოსაზრებების მოსმენასა და

[265] მუხ. 21[54]
[266] მუხ. 31

სათანადოდ გათვალისწინებაზე. ამავე დროს, მითითებული არაა ბავშვის სათანადოდ ინფორმირების და კონსულტირების ვალდებულების შესახებ. მხოლოდ ასაკობრივი დათქმით თანხმობის აუცილებლობა არ იძლევა გარანტიას, თუ რამდენადა იქნება ეს ინფორმირებული თანხმობა.

- **სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსება:** **სოციალური დახმარების შესახებ კანონის თანახმად,** სპეციალიზებული დაწესებულებაში (სადღეღამისო ზრუნვა) ბავშვის მოთავსება ხდება დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, რომელიც შეიძლება იყოს თავად მოთავსების მსურველი ან მისი ოჯახის წევრი, მეურვეობის და მზრუნველობის ორგანო ან სასამართლო[267]. ***ბავშვის*** (მათ შორის, ნაპოვნი ბავშვის) სპეციალიზებულ დაწესებულებაში განთავსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ***რეგიონული საბჭო,*** ხოლო ***მიუსაფარი ბავშვის*** განთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიმღებია უფლებამოსილი ***სოციალური მუშაკი***[268]. **საბჭოს დებულების**[269] თანახმად, გადაწყვეტილების მიღებისას, საბჭოს წევრები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, სოციალური მუშაკის ან/და სხვა უფლებამოსილი პირების (ფსიქოლოგი, იურისტი) მიერ წარმოდგენილ შეფასებაში (დასკვნაში) მითითებული ინფორმაციითა და რეკომენდაციებით, აგრეთვე, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით არსებული სხვა მონაცემებით (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში). თუ წარმოდგენილი მასალები არ არის საკმარისი, საბჭოს უფლება აქვს, მოითხოვოს დამატებითი ინფორმაციის ან/და დოკუმენტების წარმოდგენა[270].

კანონი არ ადგენს ბავშვის მონაწილეობის, მისი აზრის მოსმენის და საუკეთესო ინტერესების შეფასებას მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. კანონი არ ადგენს ალტერნატიულ ზრუნვაში ბავშვის მოთავსების პრინციპულ საკითხებს, როგორიცაა: ალტერნატიულ ზრუნვის სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსება, როგორც უკიდურესი ღონისძიება; ბავშვის და ოჯახის მდგომარეობის მულტიდისციპლინური შეფასება; ზრუნვის სათანადო ფორმის შერჩევა ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად; რეგულარული მონიტორინგის სისტემა.

საბჭოს დებულება არ ადგენს ბავშვთან გადაწყვეტილების მიღების პრინციპებს, როგორიცაა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინება, ბავშვის მოსმენა და მისი აზრის პატივისცემა, ბავშვთან დაკავშირებით პირადი მონაცემების კონფიდენციალობის დაცვა საქმის მასალების გაზიარების დროს.

მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო ცვლილებებმა მოიცვას ზემოთაღნიშნული საკითხების სათანადო სამართლებრივი რეგულირების საკითხი. ამავე დროს, დეტალური მსჯელობაა საჭირო ალტერნატიული ზრუნვის საკითხზე სასამართლო მიერ გადაწყვეტის შესახებ. ამჟამად, სასამართლოს გადაწყვეტილებით არ ხდება ბავშვთა განთავსება ალტერნატიული ზრუნვის ამა თუ იმ ფორმაში. ეს საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას და დარეგულირებას.

---

[267] მუხ. 14 (4)

[268] მუხ. 4

[269] სოციალური მომსახურების სააგენტოს ბრძანება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების ტიპიური დებულების და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ, 2013წ.

[270] მუხ. 7.10

სასამართლოს მიერ ბავშვთან დაკავშირებულ საქმეთა დროული განხილვა ევროპის ქვეყნებში[271]

ევროკავშირის 25 ქვეყანაში სასამართლო ვალდებულია უმოკლეს ვადებში განიხილოს ბავშვთან დაკავშირებული საქმე. ეს ვალდებულება ეხება განსაკუთრებით ისეთ საქმეებს, როგორიცაა: ბავშვთა მოთავსება ალტერნატიულ ზრუნვაში, საოჯახო დავები, თავშესაფრის მაძიებელ და მიგრანტ ბავშვთა საქმეები.

ევროკავშირის 6 ქვეყანაში (ბელგია, ჩეხეთი, პოლონეთი, ესტონეთი, პორტუგალია, სლოვენია) მოქმედებს სპეციალური მექანიზმი, რომელიც ზედამხედველობს „გადაუდებელი განხილვის პრინციპის" დაცვას ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სასამართლოების მიერ ბავშვთა საქმეების განხილვისას. ბელგიაში ბავშვს შეუძლია სასამართლო გადაწყვეტილება გაასაჩივროს სააპელაციო წესით საქმის განხილვის დაუსაბუთებელი გაჭიანურების შემთხვევაში.

სასამართლოს მონაწილეობა ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვაში მოთავსების საკითხზე ევროკავშირის ქვეყნებში[272]

ევროკავშირის 22 ქვეყანაში აუცილებელია სასამართლოს განკარგულება ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსებისთვის. ბელგიასა და შვედეთში ბავშვის მოთავსება ზრუნვაში სასამართლო ბრძანების გარეშე შეიძლება მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევაში. ბელგიაში ასეთია დროებითი განთავსების განკარგულება, რომლის ვადის გაგრძელებაც ისევ სასამართლო წესით დაიშვება. შვედეთში გადაუდებელი საჭიროების დროს გადაწყვეტილებას იღებს სოციალური სამსახური, რომელიც აღსრულდება დაუყოვნებლივ, თუმცა ადმინისტრაციული წესით უნდა დადასტურდეს სასამართლოს მიერ 7 დღეში.

3.3.5. იურიდიული დახმარება და წარმომადგენლობა

ა) იურიდიული დახმარება

კანონი იურიდიული დახმარების შესახებ ადგენს, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვანი ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული და დაზარალებული სარგებლობენ იურიდიული უფასო დახმარების უფლებით, ხოლო არასრულწლოვან მოწმეს ამ უფლებით სარგებლობა შეუძლია, თუ გადახდისუუნაროა[273]. არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში იურიდიული დახმარების სამსახურში მოქმედებს სპეციალიზებულ ადვოკატთა ჯგუფი[274]. სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე სასამართლოში წარმომადგენლობა, აგრეთვე ადმინისტრაციულ საქმეზე ადმინისტრაციულ ორგანოში წარმომადგენლობა უზრუნველყოფილია, თუ პირი გადახდისუუნაროა და მისთვის იურიდიული დახმარების გაწევა მიზანშეწონილია საქმის მნიშვნელობიდან და სირთულიდან გამომდინარე[275].

---

[271] ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება ევროკავშირის 28 ქვეყანაში, 2015/ICF Consulting Services და Milieu /პარა. 4.5.1

[272] ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება ევროკავშირის 28 ქვეყანაში, 2015/ICF Consulting Services და Milieu

[273] მუხ. 41

[274] მუხ. 42

[275] მუხ. 5. 1-2

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უფასო იურიდიული დახმარება არ მიწოდება ყველა გადახდისუუნარო პირს. სახელმწიფოს დაფინანსებით იურიდიული დახმარება ხელმისაწვდომია გადახდისუუნარო პირთა გარკვეული კატეგორიისთვის სტატუსისა და საქმის სირთულიდან გამომდინარე, კერძოდ[276]:

- საოჯახო და მემკვიდრეობითი დავები საქმის სირთულისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე;
- ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირებისთვის მხარდამჭერის დანიშვნის თაობაზე;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის;
- არანებაყოფლობით ფსიქიატრიულ მკურნალობას დაქვემდებარებული პირისთვის;
- პატიმრებისთვის დისციპლინურ საკითხებზე;
- სოციალური დახმარების და პენსიის საკითხებზე;
- ომის ვეტერანთა და მათ ოჯახთა სოციალური დაცვის საკითხებზე;
- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სოციალური დაცვის საკითხებზე;
- დევნილებისთვის (გადახდისუუნარობის შემთხვევაში);
- ჯანდაცვის საკითხებზე პაციენტის უფლებების დასაცავად;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის საკითხებზე

განხილული ნორმების შინაარსით ჩანს, რომ იურიდიული დახმარების კანონით უფასო იურიდიული დახმარება ხელმისაწვდომია ნებისმიერი ბრალდებული, მსჯავრდებული და გამართლებული ბავშვისთვის და ნებისმიერ ბავშვისთვის, რომელიც დანაშაულის მსხვერპლი გახდა. ასეთ შემთხვევებში არ მოწმდება გადახდისუნარიანობა, რასაც მნიშვნელობა ენიჭება მოწმე ბავშვის შემთხვევაში. სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე კი უფასო იურიდიული დახმარების მიწოდების ძირითადი კრიტერიუმია გადახდისუუნარობა და მოწყვლადობის სტატუსი. ბავშვთან დაკავშირებით კანონი სხვა დათქმას ამ კუთხით არ აკეთებს, თუმცა არც ასაკობრივ შეზღუდვას მიუთითებს. თუ ბავშვი დააკმაყოფილებს რომელიმე კრიტერიუმს, ის ისარგებლებს უფასო დახმარებით. მაგალითად, თუ ბავშვი არის ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, ის ისარგებლებს უფასო იურიდიული დახმარებით, თუმცა ჯანდაცვის, შეზღუდული შესაძლებლობის გამო სოციალური დაცვის და ოჯახურ დავებში მონაწილეობის დროს, მისთვის უფასო დახმარების მიწოდება დამოკიდებული იქნება მის გადახდისუუნარობაზე და საქმის სირთულეზე.

ბავშვთა გადახდისუუნარობის საკითხი ძირითადად ავტომატურად მიბმულია მათი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან და დგინდება სოციალურად დაუცველ ოჯახთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციით. თავად ბავშვს, როგორც უფლებების მატარებელ სუბიექტს, ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა ამის გამო რეალური დაბრკოლებები შეექმნას საკუთარი უფლებების დამოუკიდებლად დაცვის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია უფასო იურიდიული დახმარება ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს, აგრეთვე, სამოქალაქო და ადმინისტრაციული მართლმსაჯულების პროცესში, როდესაც ის დამოუკიდებლად მიმართავს ადმინისტრაციულ ორგანოს ან სასამართლოს, როგორც მოსარჩელე ან პროცესის მონაწილე მხარე და შედეგმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მის უფლებებზე. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი დამოუკიდებლად გადაწყვეტს თავისი უფლების დაცვას ან/და მის მშობლებთან ინტერესთა კონფლიქტი აქვს, მას უნდა ჰქონდეს წვდომა უფასო იურიდიულ კონსულტაციასა და დახმარებაზე.

იურიდიული დახმარების კანონით აგრეთვე განსაზღვრული უნდა იყოს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა:

[276] კანონი იურიდიული დახმარების შესახებ, მუხ. 23[1]

იურიდიული დახმარების სამსახურზე ხელმისაწვდომობის ბავშვზე ადაპტირებული და ორიენტირებული სერვისი (სატელეფონო და ონლაინ კონსულტაცია, მათ შორის, სპეციალური საჭიროებებზე ადაპტირებით); ბავშვთა წვდომა უფასო იურიდიულ დახმარებაზე; ადვოკატთა სპეციალიზაცია სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე ბავშვის უფლებების კუთხით.

საფრანგეთის ადვოკატთა ასოციაციამ შექმნა ბავშვთა საკითხების ჯგუფი, რომელიც ბავშვებს აწვდის უფასო და კონფიდენციალურ სამართლებრივ კონსულტაციას ტელეფონით და პირადად. საფრანგეთში ასევე ფუნქციონირებს ახალგაზრდათა სახლები, რომლებიც ბავშვებს აწვდიან სამართლებრივ ინფორმაციას თავიანთ უფლებებზე[277].

ბ) წარმომადგენლობა

ადვოკატის როლი განსხვავდება საპროცესო წარმომადგენლის როლისგან (guardian ad litem), რომელიც დანიშნულია სასამართლოს მიერ, რათა დაეხმაროს სასამართლოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრაში. თავიდან უნდა იქნეს აცილებული ადვოკატის და საპროცესო წარმომადგენლის ფუნქციების ერთი პირის მიერ შესრულება, რადგან არსებობს პოტენციური ინტერესტთა კონფლიქტი. კომპეტენტურმა ორგანომ უნდა დანიშნოს საპროცესო წარმომადგენელი ან სხვა დამოუკიდებელი წარმომადგენელი ბავშვის მოსაზრებების წარმოსადგენად ბავშვის ან სხვა პირის მოთხოვნით. ბავშვის უფლება სათანადო წარმომადგენლობაზე მშობლებისგან დამოუკიდებლად უნდა იყოს უზრუნველყოფილი განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლები, ოჯახის წევრები ან სხვა მზრუნველები სავარაუდო მოძალადეები/დამნაშავები არიან[278].

სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ბავშვის წარმომადგენლობას სასამართლოში ახორციელებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მშობლებს შორის ბავშვის აღზრდის საკითხებზე დავის დროს[279]; განქორწინებულ ან ცალ-ცალკე მცხოვრებ მშობლების შორის შვილის საცხოვრებელ ადგილზე დავის დროს[280]; მშობელთა უფლება-მოვალეობების შეზღუდვის, შეჩერების ან ჩამორთმევის დროს[281], მშობლების გარდაცვალების, გარდაცვლილად აღიარების, მათი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან ბავშვის მიტოვებულად აღიარების გამო[282]. **კოდექსი, ასევე, ადგენს,** რომ განქორწინების საქმის განხილვისას, როდესაც მშობლები ვერ თანხმდებიან შვილების საცხოვრებელ ადგილზე, სასამართლომ საჭიროებისამებრ საქმეში მონაწილეობის მისაღებად უნდა ჩააბას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო[283].

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, ბავშვის მიერ დამოუკიდებლად სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს **საპროცესო წარმომადგენელს**. არასრულწლოვან მოსარჩელეს უფლება აქვს არ დაეთანხმოს თავის

[277] „ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ“, 2015
[278] „ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ“ 37-43, 101-105
[279] მუხ. 1200
[280] მუხ. 1201.2
[281] მუხ. 1205, 1205[1].5-6, 1206, 1207
[282] მუხ. 1275
[283] მუხ. 1128

საპროცესო წარმომადგენელს და თვითონ დაიცვას საკუთარი თავი. სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეებზე ჩააბას **მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები**[284].

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლო მხარედ მოიწვევს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს საპროცესო წარმომადგენლობის განსახორციელებლად: ბავშვის მიმართ ოჯახში ძალადობის ფაქტზე ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას, თუ ორივე მშობლის უფლება წარმომადგენლობაზე შეჩერებულია[285]; არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში გაგზავნასთან დაკავშირებულ საქმეებზე, თუ ბავშვს არ ჰყავს მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი[286].

განხილული ნორმების შინაარსით ირკვევა, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო თავად ან მის მიერ დანიშნული პირის საშუალებით ახორციელებს ბავშვის საპროცესო წარმომადგენლობას სამართალწარმოების პროცესში, როდესაც ბავშვი დამოუკიდებლად მიმართავს სასამართლოს 14 წლის ასაკიდან. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო წარმოადგენს აგრეთვე ბავშვს მშობელთა შორის დავის დროს, როდესაც მათი უფლებები შეჩერებულია და დავა ეხება ბავშვის საცხოვრებელს, აღზრდას, ძალადობისგან დაცვას ან სხვა საკითხს. თუმცა ამ წარმომადგენლობის შინაარსის გარკვევა კონვენციის მიერ დადგენილ სტანდარტებთან მიმართებაში შეუძლებელია, რადგან კანონმდებლობა არ გვაწვდის სხვა დებულებებს ან მითითებას სხვა რეგულაციაზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ ბავშვის წარმომადგენლობის შესახებ.

წარმომადგენლობის უფლების განხორციელება უკავშირდება მთელი რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორიცაა: ბავშვის მოსმენა, ბავშვისთვის ინფორმაციის მიწოდება მისთვის შესაბამისი კომუნიკაციის ფორმით, ბავშვის ფსიქო-ემოციური მხარდაჭერა, ბავშვის მოსაზრებების გაგება, გათვალისწინება და სასამართლოსთვის მისი გადაცემა, ამავე დროს მნიშვნელოვანია წარმომადგენელი დაეხმაროს მოსამართლეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებას და დადგენაში. წარმომადგენლობის სათანადოდ განხორციელება მოითხოვს ბავშვის განვითარების, მისი უფლებების, მასთან კომუნიკაციის თავისებურებების შესახებ სპეციალურ ცოდნას და შესაბამისი ეთიკური ასპექტების დაცვას. ამავე დროს, საპროცესო კანონმდებლობა არ გვაწვდის მკაფიო ჩანაწერს საპროცესო წარმომადგენლის საპროცესო სტატუსზე და ამ ორგანოს პროცესში „ჩაბმაზე“.

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში „ნ.წ. საქართველოს წინააღმდეგ“[287] განიხილა ბავშვის წარმომადგენლობის საკითხი. გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ სოციალური მომსახურების სააგენტო დაინიშნა ბავშვების ინტერესების წარმომადგენლად სამოქალაქო კოდექსის 1200-ე მუხლის მიხედვით და სამოქალაქო საქმის განხილვისას მონაწილეობას იღებდა „დაინტერესებული მხარის“ სტატუსით. თუმცა გაურკვეველი რჩება, თუ რას გულისხმობს ამგვარი წარმომადგენლობა. არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და არც სოციალური მომსახურების სააგენტოს საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა მოიცავს რაიმე ჩანაწერს ამგვარი სააგენტოს ფუნქციებს და უფლებამოსილებებს ამგვარი წარმომადგენლობის განხორციელებისას.

[284] მუხ. 81^{1}
[285] მუხ. 21^{12}
[286] მუხ. $21^{37}.3$
[287] გადაწყვეტილება „ნ.წ. საქართველოს წინააღმდეგ“, 16.02.2016

ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებაში, ასევე, აღნიშნულია, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს სხვადასხვა წარმომადგენლები შეხვდნენ ბავშვებს მხოლოდ რამდენიმეჯერ და მხოლოდ ერთადერთი მიზნით, როგორიცაა ანგარიშების შედგენა ბავშვთა საცხოვრებელი პირობების და ემოციური მდგომარეობის შესახებ. მათ არ დაუმყარებიათ ბავშვებთან რეგულარული ან ხშირი კონტაქტი მათი მდგომარეობის მონიტორინგის და მათთან ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად.

ამავე დროს, მნიშვნელოვანია სპეციალიზაციის საკითხიც, რადგან სააგენტოს მიერ წარმომადგენლობის განხორციელება უკავშირდება სხვადასხვა სფეროებს, როგორიცაა: განათლება, ძალადობისგან დაცვა, ოჯახში ცხოვრების უფლების და საჭიროებისამებრ ალტერნატიული ზრუნვის განხორციელება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა უფლებები და მათი მხარდაჭერა, და ა.შ. აქედან გამომდინარე, სოციალურ მუშაკებს, რომლებიც წარმომადგენლობას ახორციელებენ, უნდა ჰქონდეთ გავლილი სავალდებულო სწავლება და წარმომადგენლობის განხოციელებისას უნდა იხელმძღვანელონ შესაბამისი ინსტრუქციებითა და რეგულაციებით.

გარდა ზემოთაღნიშნული საკითხებისა, საკანონმდებლო ცვლილებებზე მსჯელობის მნიშვნელოვანია განხილული იქნებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლობის განხორციელებისას პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი. კერძოდ:

ბავშვის შეფასება და მისი წარმომადგენლობა

- ბავშვთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე (სკოლა-პანსიონში გაგზავნა, ოჯახში ძალადობა, შვილად აყვანა, მხარდაჭერა, სხვა) მის ინდივიდუალურ შეფასებას ახორციელებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. ამასთან ერთად, იგივე ორგანო ახორციელებს ბავშვის წარმომადგენლობას სასამართლოში, რაც ეწინააღმდეგება ამგვარი წარმომადგენლობის შინაარსს. ბავშვის უფლებათა კომიტეტი ხაზგასმით მიუთითებს[288], რომ როდესაც ბავშვი ირჩევს საკუთარი აზრი გამოხატოს წარმომადგენლის დახმარებით (ანუ საპროცესო წარმომადგენელი ყოველთვის არაა აუცილებელი, განსაკუთრებით, როდესაც ბავშვი აცნობიერებს თავის უფლებებს და არ სჭირდება დახმარება ამ კუთხით; სხვა საკითხია ადვოკატი, რომელიც უშუალოდ სამართლებრივ დახმარებას, რაც განსახვავდება წარმომადგენლის როლისგან), ამგვარი წარმომადგენელი უნდა იყოს დამოუკიდებელი, გამოხატავდეს უშუალოდ ბავშვის და არა სხვა პირების (მშობლები, დაწესებულებები, სახელმწიფო უწყება ან სხვა).
- ამ საკითხზე ძალიან მნიშვნელოვანია აღინიშნოს ალტერნატიულ ზრუნვაში მყოფი ბავშვების უფლება წარმომადგენლობაზე და ზოგადად მართლმსაჯულებაზე წვდომის შესახებ. მინდობით აღზრდაში ან სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსებული ბავშვების წარმომადგენლები ძირითადად არიან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლები და ზრუნვაზე ზედამხედველობასაც ის ახორციელებს. ისეთ შემთხვევებში, თუ ბავშვის უფლებების დარღვევა მოხდა

[288] ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი #12, პარა. 35-37

ალტერნატიული ზრუნვის დროს ბავშვის წარმომადგენლის მიერ (პირდაპირ ან არასათანადოდ დაიცვა ბავშვი ძალადობისგან), სასამართლოშიც ისევ იგივე უწყება წარმოადგენს ბავშვს, რაც ინტერესთა კონფლიქტს წარმოადგენს. აუცილებელია სისტემური და საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რის შედეგადაც მოხდება ამ ფუნქციების გამიჯვნა და განხორციელება სხვადასხვა უწყებების მიერ (ამ საკითხის გადაწყვეტა დამატებით შესწავლას და მსჯელობას საჭიროებს).

შვილად აყვანა

- შვილად აყვანის საკითხზე ბავშვის შეფასებას და გასაშვილებელი ბავშვის სტატუსის მინიჭებას, მშვილებლის შეფასებას და მშვილებლად რეგისტრაციას, მშვილებლის შერჩევას, თავსებადობის შეფასებას, და ბოლოს სასამართლოში ბავშვის წარმომადგენლობას[289] ახორციელებს ერთიდაიგივე ორგანო. აუცილებელია საკანონმდებლო და სისტემური ცვლილებების განხორციელება, რის შედეგადაც მოხდება ამ ფუნქციების გამიჯვნა და განხორციელება სხვადასხვა უწყებების მიერ.

ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერა

- მხარდამჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. ზედამხედველობის მიზანია მხარდამჭერის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულების კონტროლი, მხარდაჭერის მიმღების უნარების განვითარების შეფასება და შესაბამისი რეაგირება. გეგმიური შემოწმება ხორციელდება პერიოდულად, მხარდამჭერის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის შემოწმებით და ფაქტობრივი ზედამხედველობით[290]. პირს მხარდამჭერი ენიშნება ოჯახის ან სანათესავო წრიდან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილებით ან ასეთი პირის არარსებობის შემთხვევაში - თავად ამ ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენელი[291]. აღსანიშნავია, რომ მხარდაჭერის მიმღები შეიძლება იყოს არასრულწლოვანიც და აგრეთვე, სრულწლოვან პირს მხარდაჭერა შეიძლება დაენიშნოს მშობლის უფლებების ნაწილში. ამრიგად, ერთიდაიგივე უწყება ახორციელებს პირის მხარდაჭერას და ამავე დროს ამ მხარდაჭერაზე ზედამხედველობას. აუცილებელია სისტემური და საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რის შედეგადაც მოხდება ამ ფუნქციების გამიჯვნა და განხორციელება სხვადასხვა უწყებების მიერ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბავშვის წარმომადგენლობის საკითხი მოითხოვს დეტალურ განხილვას და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას მართლმსაჯულების ყველა სფეროში ბავშვის წარმომადგენლობის ერთიანი პრინციპების, სტანდარტების და რეგულაციების შემუშავებას და კანონმდებლობით განმტკიცებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

---

[289] სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 1242, კანონი „შვილდ აყვანის და მინდობით აღზრდის შესახებ“

[290] სამოქალაქო კოდექსის მუხ. 1305[1]

[291] სამოქალაქო კოდექსის მუხ. 1280

3.3.6. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება სასამართლო პროცესის შემდეგ

ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები მიუთითებს რამდენიმე სახელმძღვანელო პირობაზე ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ სასამართლო პროცესის შემდეგ[292]:

- პროცესის შემდეგ ადვოკატმა, საპროცესო წარმომადგენელმა ან კანონიერმა წარმომადგენელმა ბავშვს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა აუხსნას გადაწყვეტილების შინაარსი, ასევე, მიაწოდოს ინფორმაცია გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმებზე;
- სასამართლოს გადაწყვეტილება/განკარგულება უნდა აღსრულდეს დაყოვნების გარეშე. გადაწყვეტილების იძულებით აღსრულება უნდა მოხდეს უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ბავშვი მონაწილეობს;
- გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, კონფლიქტური პროცესების დროს, ბავშვებს და ოჯახებს უნდა გაეწიოთ სპეციალისტის მხარდაჭერა და კონსულტაცია. ასევე, მნიშვნელოვანია ჯანდაცვის და საჭირო სოციალური და თერაპიული კურსები ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის.
- ბავშვის ადვოკატს, საპროცესო წარმომადგენელს ან მეურვეს უნდა ჰქონდეს უფლება მოითხოვოს მსხვერპლი ბავშვის სახელით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ბავშვზე კომპენსაცია უნდა გაიცეს საჭიროებისამებრ სახელმწიფოს მიერ, ხოლო შემდეგ მოხდეს დამრღვევიდან მისი ანაზღაურება სახელმწიფოსთვის.

ა) ინფორმაცია გადაწყვეტილების შინაარსის და მისი გასაჩივრების შესახებ

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარეებისთვის გამოტანილი გადაწყვეტილების წერილობითი განმარტების შესახებ[293], თუმცა არ ადგენს უშუალოდ ბავშვის ინფორმირებას, მისი ასაკის და შესაძლებლობების შესაბამისი ენითა და კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით, გადაწყვეტილების შინაარსის, მისი აღსრულების შედეგების და გასაჩივრების მექანიზმების შესახებ.

ბ) ზიანის ანაზღაურება, კომპენსაცია

ზიანის ანაზღაურების საკითხზე სამოქალაქო კოდექსი ზოგად დებულებას, რომ ყველა პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი[294]. **სამოქალაქო საპროცესო კოდექსის** თანახმად, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელს უნდა დაერთოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც დასტურდება ზიანის მიყენების ფაქტი[295].

ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს, რომ სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან საჯარო

[292] პარა. 75-83. გვ. 31-32
[293] მუხ. 262
[294] მუხ.992
[295] მუხ. 309[17]

მოსამსახურის, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან მისი თანამდებობის პირის ან საჯარო მოსამსახურის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პირისთვის მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო[296]. ასევე, თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ორგანოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ამ საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი[297].
განხილული ნორმები საშუალებს აძლევს ყველა პირს (დაზარალებულს/მსხვერპლს) სამოქალაქო სარჩელი მიმართოს სასამართლოს სხვა პირის მიერ მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის. ნებისმიერ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციული სარჩელით სახელმწიფო უწყების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ან/და მათ წარმომადგენელთა მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

ეს ნორმები არ აკეთებს განსხვავებულ დათქმას ასაკზე, ამიტომ შესაბამისად გავრცელდება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ქმედუნარიანობის წესი. აქედან გამომდინარე, ზოგადი წესით დაზარალებული/მსხვერპლი ბავშვის სახელით მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. რაც შეეხება დამოუკიდებლად მიმართვის უფლებას, ზემოთგანხილული სამოქალაქო კოდექსის ნორმების თანახმად, 14 წელს მიღწეულ ბავშვს ამის უფლება აქვს მხოლოდ მშობელთა მიერ უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში ან 16 წელს მიღწეულ ბავშვს მშობელთა მიერ გადაცემული ქონების მართვის ფარგლებში. სხვა შემთხვევაში, თუ ბავშვსა და მშობელს (ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს) შორის შეუთანხმებლობაა ან სხვაგვარი ინტერესთა კონფლიქტია, კანონი არ ითვალისწინებს რაიმე განსაკუთრებულ დათქმას ან ბავშვზე მორგებულ მხარდამჭერ პროცედურას ასაკისა და შესაძლებლობების შესაბამისი დამოუკიდებელი გასაჩივრების მექანიზმებზე წვდომის შესახებ. ამ საკითხზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს მოწყვლად მდგომარეობაში მყოფ ბავშვებზე.

რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადას, ესაა 3 წელი. აქედან გამომდინარე, თუ სხვადასხვა მიზეზების გამო ბავშვის წარმომადგენელი ზიანს არ მოითხოვს, ხოლო ბავშვის დაუცველი მდგომარეობის შემთხვევაში - ის ვერ მიმართავს დამოუკიდებლად სასამართლოს, ვადის გაშვების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა დაიკარგება. ევროპის საბჭოს რეკომენდაციით[298], კონკრეტულ დანაშაულებთან მიმართებაში ან სამოქალაქო, მათ შორის, საოჯახო სამართლის ასპექტებზე, უფლების დარღვევის შესახებ ბავშვს სასამართლოსადმი მიმართვის უფლება უნდა მიეცეს სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ. აქედან გამომდინარე, საკანონმდებლო ცვლილებებმა, ზემოთგანხილულ საკითხებთან ერთად, უნდა მოიცვას ხსენებული ხანდაზმულობის ვადის გადახედვა და ბავშვებისთვის ამ საკანონმდებლო ბარიერის მოხსნა.

გ) გადაწყვეტილებების აღსრულება

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, დაუყოვნებლივ აღსასრულებელ გადაწყვეტილებებს ბავშვთა საქმეებზე მიეკუთვნება მხოლოდ ალიმენტის მიკუთვნების საკითხი და დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის დაზიანებით, ასევე მარჩენალის

[296] მუხ. 208.1, 2
[297] მუხ. 208.3
[298] ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები, პარა. 36

სიკვდილით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად გადასახადების დაკისრების შესახებ[299]. სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილებაში მიუთითოს აღსრულების განსაზღვრული წესი და ვადა ან გარკვეული ზომები აღსრულების უზრუნველსაყოფად[300].

ბავშვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების აღსრულების თაობაზე საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული შემდეგი ძირითადი საკითხები (დეტალური მსჯელობის შედეგად მოსალოდნელია სხვა პრობლემური საკითხების გამოვლენაც):

- **ზიანის დროული და ეფექტური ანაზღაურების მექანიზმი:** სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არ არის დანაშაულის მსხვერპლ ბავშვთა ზიანის ანაზღაურების დროულობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფის საკითხი, კერძოდ, ამ ზიანის ანაზღაურების გაჭიანურებისას სახელმწიფოს მიერ ზიანის ანაზღაურება (შემდეგ უკვე სახელმწიფო უზრუნველყოფს პასუხისმგებელ პირის მიერ ანაზღაურებას).
- **ინტერესთა კონფლიქტი აღმასრულებელ ორგანთან დაკავშირებით:** მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ახორციელებს სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას ბავშვის გადაცემასთან ან/და შვილთან მეორე მშობლის ან სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე[301]. იგივე ორგანო ახორციელებს: ბავშვთა ალტერნატიული ზრუნვის პროცესის წარმართვას და კოორდინაციას, შვილად აყვანის პროცედურების განხორციელებას, ბავშვთა და ოჯახთა შეფასებას, ბავშვთა მიმართ ძალადობის გამოვლენას და შეტყობინებას[302]; ბავშვთა წარმომადგენლობას მშობელთა ნაცვლად ან/და საპროცესო წარმომადგენლობას[303]. აუცილებელია საკანონმდებლო და სისტემური ცვლილებების განხორციელება, რის შდეგადაც მოხდება ამ ფუნქციების გამიჯვნა და განხორციელება სხვადასხვა უწყებების მიერ (ამ საკითხის გადაწყვეტა დამატებით შესწავლას და მსჯელობას საჭიროებს).
- **ბავშვის კონსულტირება, მხარდაჭერა და მომზადება** მასთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში.

3.4. ბავშვის ძირითად უფლებათა შესახებ ეროვნული კანონმდებლობის ანალიზი (განათლება, ჯანდაცვა, ალტერნატიული ზრუნვა, ბავშვთა შრომა)

როგორც შესავალში აღინიშნა, წინამდებარე დოკუმენტის ძირითადი მიზანია გააანალიზოს საქართველოს კანონმდებლობა ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების საკითხებზე, თუმცა მნიშვნელოვანია ამავე დოკუმენტმა მოიცვას ისეთი ძირითადი უფლებების ანალიზიც, როგორიცაა: უფლება განათლებაზე და ჯანდაცვაზე, ასევე, ალტერნატიული ზრუნვის და ბავშვთა შრომის საკითხებიც. აქვე უნდა აღინიშნოს რომ არანაკლები მნიშვნელობისაა ბავშვთა უფლებების კონვენციით აღიარებული სხვა

[299] მუხ. 268.1 „ა“, „ბ“

[300] მუხ. 251

[301] კანონი სააღსრულები წარმოებათა შესახებ, მუხ. 2, 90[12]; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-16/ნ / 2011 წლის 18 აპრილი

[302] მინისტრის ბრძანება №190/ნ (27.06.2007) სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/71380#!

[303] იხ. სამოქალაქო კოდექსის ზემოთგანხილული მუხლები

უფლებებიც და მათი გაანალიზება აუცილებელია განხორციელდეს შემდგომ ეტაპზე, რათა უზრუნველვყოთ საქართველოს კანონმდებლობის სრულფასოვანი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან ბავშვთა უფლებების ეფექტური განხორციელების მიზნით.

3.4.1. ბავშვთა დაცვა ექსპლუატაციის, ძალადობისა და შრომის მძიმე ფორმებისგან

ბავშვის უფლებათა კონვენცია ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს მიიღონ სათანადო ზომები ნებისმიერი ფორმის ძალადობის, ექსპლუატაციის, ვაჭრობის, ტრეფიკინგის და საზიანო შრომის პირობებისგან ბავშვთა დაცვის მიზნით, კერძოდ:

- მიიღონ ზომები, რომელებიც მოიცავს ბავშვის და მისი ოჯახის მხარდაჭერის პროგრამებს, ასევე, სხვა ფორმის პრევენციის და გამოვლენის, შეტყობინების, გადამისამართების, გამოძიების, მკურნალობის და ბავშვისადმი ცუდი მოპყრობის შემთხვევებზე სათანადო რეაგირების მექანიზმებს, აგრეთვე, სასამართლოს მონაწილეობას (მუხ. 19)
- ვალდებულია დაადგინოს შრომის მინიმალური ასაკი, შრომის ხანგრძლივობა, შრომის პირობები, აგრეთვე, შესაბამისი სანქციები ეფექტური აღსრულებისთვის (მუხ. 32).
- მიიღონ ზომები შემდეგი დანაშაულების პრევენციისთვის: ბავშვის დაყოლიება ან იძულება ნებისმიერ უკანონო სექსუალურ მოქმედებაში ჩასაბმელად; ბავშვთა გამოყენება პროსტიტუციასა და სხვა უკანონო სექსუალურ მოქმედებებში; ბავშვთა გამოყენება პორნოგრაფიულ საქმიანობასა და მასალებში (მუხ. 34)
- განახორციელონ სათანადო ზომები ნებისმიერი მიზნით ან ფორმით ბავშვთა მოტაცების, ყიდვა-გაყიდვის და ტრეფიკინგის პრევენციისთვის (მუხ. 35)
- მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, რათა ხელი შეუწყონ ნებისმიერი ფორმის ძალადობის, ექსპლუატაციის, ცუდი მოპყრობის; წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის ან შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლი ბავშვის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ გაჯანსაღებას და სოციალურ ინტეგრაციას (მუხ.39).

ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ ადგენს შემდეგ განმარტებებს[304]:

- **ბავშვით ვაჭრობა** გულისხმობს ბავშვის გადაცემა ერთი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიერ მეორეზე ფულადი ანაზღაურების ან სხვა სახის სარგებლის მიღების მიზნით; ბავშვის შეთავაზება, გადაცემა ან მიღება, ნებისმიერი საშუალებით, შემდეგი მიზნებით: სექსუალური ექსპლუატაცია, ორგანოების გადანერგვა სარგებლის მისაღებად, იძულებით შრომაში ჩაბმა. შუამავლის მიერ ანგარებით პირის დაწრმუნება თანხმობა გასცეს ბავშვის გაშვილებაზე შვილად აყვანის შესახებ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დარღვევით.
- **ბავშვთა პროსტიტუცია** გულისხმობს ბავშვის გამოყენებას სექსუალურ მოქმედებებში ფულადი ანაზღაურების ან სხვა სახის სარგებლის მიღების

[304]ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ, მუხ. 2 (2000 წ. 25 მაისი); საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 2005 წელს

მიზნით. ბავშვის შეთავაზება, მიღება, მოძიება ან გადაცემა პროსტიტუციის მიზნით.

- **ბავშვთა პორნოგრაფია** გულისხმობს ბავშვის ნებისმიერ გამოსახულებას, ნებისმიერი საშუალებით, რომელიც ასახავს მის მონაწილეობას რეალურ ან იმიტირებულ პირდაპირ სექსუალურ მოქმედებებში ან ბავშვის სასქესო ორგანოების ნებისმიერ გამოსახულებას უპირატესად სექსუალური მიზნებისთვის. ბავშვთა პორნოგრაფიის წარმოება, გავრცელება, მიწოდება, იმპორტი, ექსპორტი, შეთავაზება, გაყიდვა ან ფლობა უპირატესად სექსუალური მიზნებისთვის.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია: „მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ეფექტურ, მათ შორის ქალებსა და ბავშვებზე ორიენტირებულ კანონმდებლობასა და სტრატეგიებს, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფის შემთხვევათა გამოვლენა, გამოძიება და საჭიროების შემთხვევაში კანონით დასჯა“[305].

ევროპის საბჭოს კონვენცია ტრეფიკინგის წინააღმდეგ („ვარშავის კონვენცია“)[306] განმარტავს:

- **„ტრეფიკინგი“** - „ადამიანის მოძიება, ტრანსპორტირება, გადაცემა, ადგილის გადაცემა ან მიღება, მუქარის ან ძალის გამოყენების ან იძულების სხვა ფორმების, მოტაცების, გაყალბების, მოტყუების, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით, ან ერთი პირის მიერ მისი გავლენის ქვეშ მყოფ მეორე პირზე ზეწოლით თანხმობის მისაღებად ფულადი ან სხვა სახის სარგებლის გაცემის ან მიღების გზით, ექსპლუატაციის მიზნით“.
- **„ექსპლუატაცია“** - მოცავს, როგორც მინიმუმ, სხვა ადამიანის ექსპლუატაციას პროსტიტუციისთვის ან სხვაგვარი ფორმის სექსუალურ ექსპლუატაციას, შრომის ან სხვა სერვისების შესრულების იძულებას, მონობის ან მონობის მსგავს მდგომარეობაში ჩაყენებას, მომსახურების იძულებას ან ორგანოთა ამოღებას[307].

სპეციალური დათქმა ბავშვებთან დაკავშირებით: ბავშვის მოძიება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ან მიღება ექსპლუატაციის მიზნით ჩაითვლება „ადამიანთა ტრეფიკინგად“, თუნდაც არ მოიცავდეს ამავე კონვენციით ტრეფიკინგის განმარტებაში აღწერილ საშუალებებს.[308]

- ## ბავშვთა დაცვა ძალადობის “ყველა ფორმისგან”

ძალადობის ნებისმიერი ფორმისგან ბავშვთა დაცვისთვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია კანონმდებლობამ დაადგინოს ძალადობის ფორმების სწორი ფორმულირება და განმარტება. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი მიუთითებს, რომ აუცილებელია კანონით სწორად და ამომწურავად განიმარტოს და აიკრძალოს ძალადობის სხვადასხვა ფორმები ნებისმიერ გარემოში. სამართლებრივი განმარტებების შემუშავებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კომიტეტის ზოგად კომენტარში მითითებული რეკომენდაციები[309].

---

[305] მუხ. 16 (5)
[306] საქართველომ რატიფიკაცია მოახდინა 14/03/2007
[307] ევროპის საბჭოს კონვენცია ტრეფიკინგის წინააღმდეგ, მუხ. 4 „ა“
[308] მუხ. 4 „გ“
[309] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი 13 (2011), პარა. 18

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ ჩამოთვლილია ძალადობის შემდეგი ფორმები და მათი განმარტებები: უგულებელყოფა ან დაუდევარი მოპყრობა; ფსიქოლოგიური ძალადობა; ფიზიკური ძალადობა; ფიზიკური დასჯა; სექსუალური ძალადობა და ექსპლუატაცია; წამება ან არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი; ძალადობა ბავშვებს შორის; თვითდაზიანება; ზიანის შემცველი ჩვეულებები; ძალადობა მედიაში; ძალადობა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით; ბავშვთა უფლებების ინსტიტუციური და სისტემური დარღვევები[310].

საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ განმარტავს ძალადობის შემდეგ ფორმებს: ფიზიკური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობა; იძულება; უგულებელყოფა (ზუსტად იგივე განმარტებებს იმეორებს მთავრობის დადგენილება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების შესახებ“).

როგორც ვხედავთ, არსებული ჩამონათვალი არ მოიცავს ან/და არასრულყოფილად განმარტავს ისეთ მნიშვნელოვან ფორმებს, როგორიცაა: ექსპლუატაცია; ფიზიკური დასჯა, ძალადობა ბავშვებს შორის, მათ შორის, ბულინგი; თვითდაზიანება; ძალადობა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებებით; ბავშვთა უფლებების სისტემური და ინსტიტუციური დარღვევები. ამავე დროს, არ არსებობს სამართლებრივი მექანიზმი ძალადობის შემთხვევებზე მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის შესახებ, რაც შესაძლებელს გახდიდა ამ მხრივ სიტუაციის შესწავლას და ანალიზზე დაფუძნებული პრევენციისა და რეაგირების პოლიტიკის შემუშავებას.

- ## ფიზიკური ძალადობა

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით „ფიზიკური ძალადობა“ მოიცავს:

- ნებისმიერი სახის ფიზიკურ დასჯას და ნებისმიერი სხვა ფორმის წამებას, სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს;
- ფიზიკური „ბულინგი“ ან გარკვეული ქცევის შესრულების იძულება (“hazing”) ზრდასრულების ან სხვა ბავშვების მიერ;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მიმართ იძულებით სტერილიზაცია;
- მკურნალობის მიზნით ძალადობრივი მეთოდების გამოყენება (მაგ.: ელექტროკონვულსიური თერაპია და ელექტროშოკის გამოყენება „ავერსიული თერაპიისთვის“ ბავშვთა ქცევის კონტროლირებისთვის);
- ბავშვის შესაძლებლობის შეზღუდვის გამოწვევა მისი ექსპლუატაციისთვის ქუჩაში ან სხვაგან სამათხოვროდ[311].

- ## ფიზიკური დასჯის და სხვა ფორმის სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის ან მოპყრობის აკრძალვა

კომიტეტის განმარტებით, მნიშვნელოვანია კანონით ცალკე მოხდეს ფიზიკური დასჯის აკრძალვა, რისი უპირატესი მიზანიც არის ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენცია

[310] ზოგადი კომენტარი 13 (2011), პარა. 20-31
[311] ზოგადი კომენტარი 13 (2011), პარა. 22

დამოკიდებულებების და პრაქტიკის შეცვლა ბავშვის აღზრდის პოზიტიური, არაძალადობრივი და მონაწილეობითი ფორმების დამკვიდრების ხელშეწყობის გზით[312]. ამავე დროს, საჭიროა სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობით ზუსტად, კონკრეტული ფორმულირებით, აიკრძალოს ფიზიკური ან სხვა სასტიკი ან დამამცირებელი სასჯელი, რათა სრულიად ცხადი გახდეს, რომ ისეთივე უკანონოა ბავშვის ცემა ან "გარტყმა" ან „მოტყაპუნება", როგორც ზრდასრულის. ფიზიკური დასჯის ტრადიციული მიმღებლობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ის აიკრძალოს ყველა შესაბამისი სექტორული კანონმდებლობით, როგორიცაა, მათ შორის, საოჯახო სამართალი, განათლების შესახებ კანონი, კანონი ალტერნატიული ზრუნვის და მართლმსაჯულების სისტემების შესახებ. ასევე, მნიშვნელოვანია ფიზიკური დასჯის უკანონობა პირდაპირ აისახოს აღმზრდელების, მზრუნველების, მასწავლებლების ეთიკის კოდექსებსა და სახელმძღვანელო მითითებებში და დაწესებულებების წესდებებსა და დებულებებში[313].

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად (საოჯახო სამართლის ნაწილი), „დაუშვებელია არასრულწლოვანი ბავშვის აღზრდისას მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ აღზრდის ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც არასრულწლოვნის ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ ტანჯვას იწვევს"[314].

კანონი ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ კრძალავს ნებისმიერ ძალადობას ბავშვის მიმართ[315], თუმცა პირდაპირ არ მიუთითებს ფიზიკური დასჯის ან სხვა სახის დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის შესახებ.

კანონი ზოგადი განათლების შესახებ კრძალავს სკოლაში ძალადობას, ფიზიკურ ან/და სიტყვიერ შეურაცხყოფას მოსწავლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ[316].

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით ადგენს ფინანსურ სანქციებს მშობლის ან მისი შემცვლელი პირის მიერ არასრულწლოვნის აღზრდისა და სწავლების მოვალეობათა შეუსრულებლობისთვის. დარღვევის გამოვლენა და პირის დაჯარიმება ევალება პოლიციას[317]. აგრეთვე, ფინანსური სანქციები დაეკისრებათ პროფესიონალებს, რომლებიც არ შეასრულებენ ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულებას[318].

სისხლის სამართლის კოდექსით აკრძალულია ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია[319]; ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა[320] პირის დამცირება ან იძულება, არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ

[312] ზოგადი კომენტარი #8
[313] ზოგადი კომენტარი #8
[314] მუხ. 1198. ნაწ. 1[1]
[315] მუხ. 6 „ბავშვთა დაცვა"
[316] კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხ. 20.1
[317] მუხ. 172, 239 (60[1])
[318] მუხ. 172[6]
[319] სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 126.2; 126[1].2
[320] მუხ. 126[1].2

მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს[321].

სამოქალაქო კოდექსის დებულება არ წარმოადგენს დისციპლინურ ზომად ფიზიკური დასჯის პირდაპირ აკრძალვას, რადგან მიუთითებს დათქმას „ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ ტანჯვაზე“ ანუ აღზრდის ძალადობრივი მეთოდი აკრძალულია, თუ ის ამგვარ შედეგს იწვევს. ამგვარი დათქმა ასუსტებს აკრძალვის მნიშვნელობას და უქვემდებარებს შეფასებით კატეგორიას. შესაბამისად, ოჯახში ბავშვის აღზრდის ძალადობრივი მეთოდების გამოყენება[322], როგორიცაა დისციპლინის ზომად "გარტყმა" ან „მოტყაპუნება“ ან ბავშვის იზოლირება ან/და სხვაგვარი დამცირება პირდაპირ აკრძალული არ არის.

სკოლამდელი და ზოგადი განათლების შესახებ კანონები არ მოიცავს დისციპლინის ძალადობრივი მეთოდების, როგორიცაა ფიზიკური დასჯა, სხვა სასტიკი ან დამამცირებელი მოპყრობის გამოყენების პირდაპირ აკრძალვას. ეს კანონები არ მოიცავს, აგრეთვე, ბავშვთა შორის ძალადობის, მათ შორის, „ბულინგის“ განმარტებას და აკრძალვას.

სისხლის სამართლის კოდექსის ნორმები ვერ უზრუნველყოფს ოჯახურ და სასკოლო გარემოში ბავშვთა მიმართ ძალადობრივი დასჯის მეთოდების აღმოფხვრის პრევენციას, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი ფინანსური სანქციები ეხება მხოლოდ მშობელთა მიერ ბავშვის უგულებელყოფის აკრძალვას და პროფესიონალთა მიერ ძალადობის შეტყობინების ვალდებულების შეუსრულებლობას და არა - უშუალოდ მათ მიერ ძალადობრივი დისციპლინის მეთოდების, მათ შორის, ფიზიკური დასჯის ან სხვა სასტიკი ან დამამცირებელი სასჯელის ან მოპყრობის დაუშვებლობას.

აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია სამოქალაქო კოდექსით, განათლების შესახებ კანონებით, და როგორც მინიმუმ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით, პირდაპირ (დათქმების გარეშე) აიკრძალოს ბავშვის მიმართ ფიზიკური დასჯის ან სხვა ფორმის სასტიკი და დამამცირებელი სასჯელის გამოყენება მშობლების ან სხვა პასუხისმგებელი პირების მიერ, როგორც დისციპლინის ზომა. დამატებით, განათლების შესახებ კანონებით უნდა განიმარტოს და აიკრძალოს „ბულინგი“ ბავშვებს შორის.

- ## ბავშვით ვაჭრობის და ექსპლუატაციის აკრძალვა

ბავშვთა ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის საკითხებზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა საქართველოს შესახებ ანგარიშში მიუთითა საქართველოს კანონმდებლობის ხარვეზებზე, კერძოდ, აღნიშნა, რომ „ბავშვით ვაჭრობის“ და „ბავშვთა ექსპლუატაციის“ დანაშაულები განმარტებულია მხოლოდ ტრეფიკინგის დანაშაულის შემადგენლობაში და არ არის გამოყოფილი ცალკე[323].

სისხლის სამართლის კოდექსი განმარტავს „ექსპლუატაციას“, როგორც დამნაშავის მიერ მატერიალური ან სხვაგვარი სარგებლის მიღების მიზნით: შრომის ან მომსახურების გაწევის

[321] მუხ. 144³.2

[322] საქართველოში არსებულ მდგომარეობას ამ მხრივ ცხადყოფს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატრებული კვლევა ძალადობის შესახებ (2013)

[323] ბავშვთა ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ, პარა. 36, 37, 40, 82; თარიღი: 21.12.2016

იძულებას, სექსუალური მომსახურების იძულებას, პირის დანაშაულებრივ საქმიანობაში, პროსტიტუციაში, პორნოგრაფიაში ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმას; ადამიანის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის იძულებით ან მოტყუებით ამოღება, გადანერგვა ან სხვაგვარად გამოყენება; ადამიანის მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება[324]. **მართალია, ეს განმარტება შეესაბამება კონვენციის შინაარსს, თუმცა კოდექსში მოცემულია არა ცალკე დანაშაულის, არამედ ტრეფიკინგის დანაშაულის შემადგენლობაში.**

იგივე განმარტებაა მოცემული **საქართველოს კანონში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ**[325], ხოლო **"სექსუალური ექსპლუატაცია"** განიმარტება, როგორც პირის ჩაბმა პროსტიტუციაში, სხვა სახის სქესობრივ მომსახურებაში ან პორნოგრაფიული მასალის წარმოებაში მის მიმართ მუქარის, ძალადობის, იძულების, შანტაჟის ან მისი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ან სამუშაოს ხასიათისა და პირობების შესახებ ყალბი ინფორმაციის მიწოდებით[326]. **თუმცა ეს განმარტებაც მოცემულია ტრეფიკინგის დანაშაულთან მიმართებაში, როგორც ტრეფიკინგის მიზანი,[327] და არაა დადგენილი ცალკე დანაშაულად.**

კონვენცია მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს დაიცვან ბავშვი ყველა ფორმის სექსუალური ექსპლუატაციისა და მიიღონ სათანადო ზომები, რათა თავიდან აიცილონ: ბავშვის დაყოლიება ან იძულება ნებისმიერ უკანონო სექსუალურ აქტივობაში ჩაბმისთვის; ბავშვთა ექსპლუატაცია პროსტიტუციაში ან სხვა უკანონო სექსუალურ საქმიანობაში ჩართვისთვის; ბავშვთა გამოყენება პორნოგრაფიულ საქმიანობასა და მასალების დამზადებაში[328].

ტრეფიკინგის დანაშაული მოიცავს მსხვერპლის ექსპლუატაციას, თუმცა ექსპლუატაცია ყველა შემთხვევაში არ მოიცავს ტრეფიკინგის დანაშაულის შემადგენლობას. ბავშვთა ექსპლუატაციის დანაშაულის პრევენციისა და მასზე სათანადო რეაგირებისთვის, მნიშვნელოვანია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ექსპლუატაცია გამოიყოს ცალკე მუხლად ბავშვის უფლებათა კონვენციით დადგენილი შინაარსის შესაბამისად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი განმარტავს „არასრულწლოვნით ვაჭრობას (ტრეფიკინგს)", როგორც „ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ან/და მიღება ექსპლუატაციის მიზნით"[329].

სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია დანაშაული „არასრულწლოვნის ყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება შვილად აყვანის მიზნით" და ასევე, „არასრულწლოვნის გაყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება შვილად აყვანის მიზნით"[330].

როგორც ვხედავთ, სისხლის სამართლის კოდექსი ცალკე დანაშაულად არ ადგენს „ბავშვით ვაჭრობას". საქართველოს კანონმდებლობა ბავშვით ვაჭრობას განმარტავს ტრეფიკინგის ჭრილში და არ ადგენს, როგორც ცალკე დანაშაულს. ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი ერთმანეთისგან განასხვავებს ბავშვით ვაჭრობასა და ბავშვთა

---

[324] სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 143[1]. შენიშვნა (1)
[325] კანონი ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მუხ. 3 "დ"
[326] იგივე, მუხ. 3 „ვ"
[327] სსკ, მუხ. 143[1]
[328] ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხ. 34
[329] სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 143[2] (1)
[330] სსკ, მუხ. 172

ტრეფიკინგს. ტრეფიკინგის დანაშაული მოიცავს ვაჭრობას, თუმცა ბავშვით ვაჭრობა ყველა შემთხვევაში არ წარმოადგენს ტრეფიკინგს.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გადაიხედოს სისხლის სამართლის კოდექსი და კონვენციის შესაბამისად განიმარტოს „ბავშვით ვაჭრობის" დანაშაული, რათა ყურადღების მიღმა არ დარჩეს ტრეფიკინგის გარდა სხვა დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც მოიცავს სარგებლის მისაღებად ბავშვის გადაცემას ერთი პირიდან მეორეზე, ასევე, შუამავლის მიერ ანგარებით პირის დარწმუნებას თანხმობა გასცეს ბავშვის გაშვილებაზე შვილად აყვანის შესახებ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დარღვევით.

ბავშვთა დაცვა მავნე ზეგავლენისგან

კანონი მავნე ზეგავლენისგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ მიზნად ისახავს დაცვას იმ მავნე ზეგავლენისაგან, რომელიც დაკავშირებულია ალკოჰოლური სასმელების და თამბაქოს მოხმარება-გასაღებასა და აზარტულ თამაშობებში მონაწილეობასთან[331]. ეს კანონი კრძალავს: არასრულწლოვნისთვის ალკოჰოლური სასმელების, ლუდის და თამბაქოს მიყიდვას; მათ მიერ ამ პროდუქტების რეალიზაციას; ალკოჰოლური სასმელების, ლუდისა და თამბაქოს რეალიზაცია საგანმანათლებლო, სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში და მათ ტერიტორიაზე და ავალდებულებს შესაბამის დაწესებულებებს აკრძალვის შესახებ მითითებას[332]; აკრძალულია აზარტულ სათამაშო დაწესებულებებსა და აზარტულ სათამაშო ავტომატებთან არასრულწლოვანთა დაშვება[333]

კანონი ადგენს, რომ ამ წესების დარღვევისთვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციული წესით. შემთხვევები განიხილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წესით საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მიერ[334]. დეპარტამენტმა ასევე უნდა შეიმუშავოს დებულება „არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი ნაბეჭდი პროდუქციის რეესტრის წარმოების შესახებ" და არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი ნაბეჭდი პროდუქციის განმსაზღვრელი კრიტერიუმები. მაუწყებელთა მიმართ ამ კანონით დადგენილი რეგულირების დარღვევებზე რეაგირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში[335].

მიუხედავად ამისა, ეს კანონი არ ადგენს ამ წესების აღსრულების მექანიზმს, როგორიცაა: ბავშვებისთვის ინფორმაციის მიწოდება მავნე ზეგავლენის შესახებ, დადგენილი წესების განხორციელების მონიტორინგი, კონკრეტული სანქციები და აღსრულების პროცედურა. მართალია, კანონი მიუთითებს, რომ აღმასრულებელი უწყებაა საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტი, თუმცა ამჟამად ასეთი უწყება არ არსებობს.

შესაბამისად, რეკომენდებულია გადაიხედოს არსებული კანონი მავნე ზეგავლენისგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ და აღმოიფხვრას ყველა გამოვლენილი ხარვეზი და შეიქმნას სათანადო საკანონმდებლო გარანტიები ყოველგვარი ტიპის მავნე ზეგავლენისგან (მათ შორის, სათანადო საგანმანათლებლო და საინფორმაციო მექანიზმების შექმნის გზით) ბავშვთა დაცვის შესახებ.

---

[331] მუხ. 2.1
[332] მუხ. 4
[333] მუხ. 13.1
[334] მუხ. 17.1,2
[335] მუხ. 17.4

კომერციული სუროგაცია

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა ყურადღება გაამახვილა საერთაშორისო კომერციული სუროგაციის საკითხზე და აღნიშნა, რომ „გავრცელებულია სუროგაციის კომერციული პრაქტიკა, რომელიც არ არის სათანადოდ რეგულირებული, შესაძლოა ხელი შეუწყოს ბავშვებით ვაჭრობას და ბავშვის უფლებების სხვა დარღვევებს“[336]. ჰააგის კონფერენციის ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრის შედეგად გაკეთდა დასკვნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სუროგაციის რეგულირებას[337].

ბავშვთა ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის საკითხებზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა საქართველოში სუროგაციის საკანონმდებლო რეგულირების საკითხზე. საქართველოს კანონმდებლობით სათანადოდ არ რეგულირდება კომერციული სუროგაცია. ამგვარ შემთხვევებში ირღვევა ბავშვის უფლებები ვინაობაზე, მოქალაქეობასა და ჯანმრთელობაზე, ასევე, იზრდება ბავშვის საუკეთესო ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებისა და მისი ექსპლუატაციის რისკი[338].

საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ ადგენს, რომ ექსტრაკორპორული განაყოფიერება (წყვილის ან დონორის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენებით ან სუროგატული დედის საშვილოსნოში გამოზრდის გზით) ნებადართულია უშვილობის მკურნალობის მიზნით, აგრეთვე, ცოლის ან ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკის არსებობისას[339]. ექსტრაკორპორული განაყოფიერების, მათ შორის, „სუროგატი დედის“ საშუალებით, დაბადებული ბავშვის დაბადების რეგისტრაციისა და საქართველოდან გაყვანის საკითხები რეგულირდება შესაბამის მინისტრთა ბრძანებებით[340].

გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობით არ რეგულირდება სუროგაციის პრაქტიკასთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: იმ ქალთა უფლებები, რომლებიც „სუროგატი დედის“ მომსახურებას ასრულებენ და სუროგაციის გზით დაბადებულ ბავშვთა უფლებები. კანონმდებლობით, ასევე, არ რეგულირდება სამედიცინო დაწესებულებების მიერ ექსტრაკორპორული განაყოფიერების სერვისის მიწოდება და სხვა ეთიკური საკითხები.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია საქართველოს კანონმდებლობით მოწესრიგდეს კომერციული სუროგაციის საკითხი და დადგინდეს სათანადო გარანტიები ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების, ბავშვით ვაჭრობის, ბავშვისა და სუროგატის მომსახურების შემსრულებელ ქალის ექსპლუატაციის და სხვა უფლებების დარღვევის თავიდან აცილებისთვის.

ბავშვთა დაცვა შრომის საზიანო ფორმებისგან

[336] ჰააგის კონფერენცია, 2015 https://assets.hcch.net/docs/82d31f31-294f-47fe-9166-4d9315031737.pdf

[337] ჰააგის კონფერენცია, ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა სუროგაციის შესახებ, თებ. 2016

[338] სპეციალური მომხსენებლის ანგარიში (2016), პარაგ. 15-18

[339] მუხ. 143

[340] იუსტიციის მინისტრის ბრძანება #18 (31/12/2012), მუხ. 16 და 19, აგრეთვე, იუსტიციის მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანება №133–№144 (05/04/2016)

ბავშვის უფლებათა კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოს აკრძალოს ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმები, დაარეგულიროს სამუშაო პირობები და გარემო დასაქმებული მოზარდებისთვის (138-ე და 182-ე კონვენციების მიხედვით), რათა უზრუნველყოს მათი სრულად დაცვა და მათი წვდომა სამართლებრივი დაცვის მექანიზმებზე[341].

საერთაშორისო კონვენცია ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების შესახებ #182 (კონვენცია 182) ბავშვთა შორმის უკიდურეს ფორმებში გულისხმობს ყოველგვარი სახის მონობას, ბავშვებით ვაჭრობას, ბავშვთა ტრეფიკინგს, იძულებით შრომას, მათ შორის, სავალდებულო ან იძულებით დაქირავებას შეიარაღებული კონფლიქტისთვის; ბავშვთა პროსტიტუციასა და პორნოგრაფიულ საქმიანობაში, ასევე ნარკოტიკებით ვაჭრობაში ჩაბმა; ისეთ შრომაში ჩაბმა, რაც თავისი ბუნებით ან გარემოებებით საზიანოა მისი ჯანმრთელობის, უსაფრთხოების ან მორალისთვის (მუხ. 3). აღნიშნული აკრძალული საქმიანობის ფორმები უნდა იყოს განსაზღვრული ეროვნული კანონებით ან რეგულაციებით, განსაკუთრებით შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით[342]. სახელმწიფომ უნდა გამოავლინოს, თუ სად ხდება შრომის ამ ფორმების გამოყენება. შრომის უკიდურესი ფორმების ჩამონათვალი უნდა გადაიხედოს და განახლდეს პერიოდულად (მუხ. 4).

1999 წლის რეკომენდაციებით ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების შესახებ (მე-3 და მე-4 პარაგრაფი), სახელმწიფომ, შრომის უკიდურესი ფორმების განსაზღვისას და ამ ფორმების გამოყენების ადგილის დადგენისას, მხედველობაში უნდა მიიღოს, მათ შორის:

- სამუშაო, რომელიც ბავშვს აყენებს ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსულური ძალადობის ქვეშ;
- მიწისქვეშა, წყალქვეშა, სახიფათო სიმაღლეზე ან დახურულ სივრცეში შრომა
- სამუშაო, რაც დაკავშირებულია სახიფათო ტექნიკასთან, აღჭურვილობასა და იარაღებთან, ან რომელიც მოიცავს მძიმე ტვირთების ხელით გადაზიდვას ან ტრანსპორტირებას;
- სახიფათო ნივთიერებებთან, აგენტებთან ან პროცესებთან, ან ტემპერატურასთან, ხმაურის დონესთან, ან ვიბრაციასთან დაკავშირებული სამუშაო, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის ჯანმრთელობის დაზიანება;
- ხანგრძლივი ან ღამის საათებში მუშაობა, ასევე როდესაც ბავშვს სამუშაოს შესრულებისას უწევს დახურულ სივრცეში ყოფნა
- 16 წლის ასაკიდან ბავშვისთვის მუშაობის ნებართვა მხოლოდ იმ პირობით, რომ ბავშვთა ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და მორალი სრულად იქნება დაცული და ბავშვები წინასწარ მიიღებენ სათანადო კონკრეტულ ინსტრუქციებს ან პროფესიულ ტრენინგს შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებით.

საქართველოს შრომის კოდექსი შრომითი ქმედუნარიანობის ასაკად ადგენს 16 წელს. 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება

[341] ზოგადი კომენტარი #4, პარა. 11, გვ. 5-6; 32 (ე), გვ. 11

[342] შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1999 წლის რეკომენდაციები ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების შესახებ, პარა. 3, 4

შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად (მუხ. 4. 1,2,3).

აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება სათამაშო ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებებთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად. აკრძალულია, აგრეთვე, არასრულწლოვანთან ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად (მუხ. 4,5). ამავე დროს, აკრძალულია ღამის სამუშაოზე (22 საათიდან 6 საათამდე) არასრულწლოვნის დასაქმება.

კანონიერ წარმომადგენელს ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს უფლება აქვს, მოითხოვოს არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა, თუ მუშაობის გაგრძელება ზიანს მიაყენებს არასრულწლოვნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხვა მნიშვნელოვან ინტერესებს (მუხ. 39).

კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ[343] ეხება საკითხებს პირის საზღვარგარეთ შრომითი მოწყობის და ანაზღაურების შესახებ. ეს კანონი საერთოდ არ მოიხსენიებს უცხოეთში შრომითი მიგრაციის დროს არასრულწლოვანთა უფლებებს და რაიმე სახის დაცვის ღონისძიებებს.

სისხლის სამართლის კოდექსით აკრძალულია არასრულწლოვნით ვაჭრობა[344]; ტრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობა[345]; არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში[346]; არასრულწლოვნის ჩაბმა პროსტიტუციაში[347]; არასრულწლოვნის ჩაბმა პორნოგრაფიული ნაწარმოების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონოდ დამზადებასა და გასაღებაში[348]; დაქირავებულის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში[349].

საქართველოს კანონით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ „იძულებითი შრომა“ განმარტებულია, როგორც ნებისმიერი სამუშაო ან მომსახურება, რომელიც მიიღება პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულებით, მის მიმართ მუქარის, შანტაჟის ან მისი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით[350].

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული პროცედურები ეხება მხოლოდ ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა გამოვლენის მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული მუშაკების, მობილური ჯგუფების და გამომძიებლების მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს.

განხილული საერთაშორისო სტანდარტების და საქართველოს კანონმდებლობის ანალიზით იკვეთება მნიშვნელოვანი ხარვეზები და შეუსაბამობები საერთაშორისო სტანდარტებთან, კერძოდ:

---

[343] მიღებულია 2015 წლის 1 აპრილს https://matsne.gov.ge/ka/document/view/2806732
[344] სისხლის სამართლის კოდექსი, 143^2
[345] სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 143^3
[346] სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 171
[347] სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 253
[348] სსკ, მუხ. 255^1
[349] სსკ, მ. 410
[350] იგივე, მუხ. 3 “ე“

- კანონით ან/და კანონქვემდებარე აქტით არ არის განსაზღვრული ბავშვისათვის მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი და ზიანისშემცველი შრომის კონკრეტული ფორმები და პირობები;
- კანონი არ ადგენს შრომის უკიდურესი ფორმების და პირობების ადგილების იდენტიფიცირების წესი, განსახორციელებელ ღონისძიებებს და პასუხისმგებელ უწყებას ბავშვთა შრომის საკითხებზე;
- შრომის კოდექსი ადგენს, რომ 16 წლამდე ბავშვის დასაქმებისთვის საჭიროა კანონიერი წარმომადგენლის ან მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს თანხმობა, თუმცა კანონით განსაზღვრული არ არის მეურვეობისა და მზრუნველობის, როგორც შრომით საქმიანობაზე თანხმობის გამცემის როლი, ფუნქციები და ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასების ფორმალური პროცედურები;
- შრომის კოდექსი უშვებს 14 წლამდე ბავშვთა დასაქმებას მხოლოდ სპორტულ, კულტურულ, ხელოვნებასთან დაკავშორებულ და სარეკლამო საქმიანობაში, თუმცა არ ადგენს არავითარი დაცვის გარანტიებს შრომის სპეციფიკური პირობების დაცვის მოთხოვნით.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია საქართველომ განახორციელოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და სხვა ღონისძიებები, რათა გაუმჯობესოს ბავშვთა დაცვა შრომის უკიდურეს ფორმებში ჩაბმისგან. თავდაპირველად მნიშვნელოვანი იქნება მითითებული საკანონმდებლო შეუსაბამობების აღმოფხვრა, პასუხისმგებელი უწყების გამოვლენა, ამ უწყების ფუნქციების განსაზღვრა და შესაძლებლობების გაძლიერების სამართლებრივი გარანტიების შექმნა.

3.4.2. ბავშვთა სოციალური დაცვა და ალტერნატიული ზრუნვა

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, ბავშვის მიმართ ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას, მათ შორის, საჯარო თუ კერძო დაწესებულებების, ადმინისტრაციული თუ სასამართლო ორგანოების მიერ, უპირველეს ყოვლისა გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები. ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებების საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ ნორმებს და სტანდარტებს უსაფრთოებისა და ჯანდაცვის, პერსონალის რაოდენობისა და კვალიფიკაციის, ასევე, ზედამხედველობის კუთხით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის 23-ე მუხლის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს და მასზე მზრუნველ პირებს სახელმწიფომ უნდა მიაწოდოს ბავშვის საჭიროებების და მისი ოჯახის მდგომარეობის შესაბამისი დახმარება. გრძელვადიანი მხარდაჭერა უნდა იყოს საჭიროებისამებრ უფასო და დაგეგმილი ისე, რომ უზრუნველყოს ბავშვის ეფექტური წვდომა განათლებაზე, ტრენინგზე, ჯანდაცვის და რეაბილიტაციის სერვისებზე, მოამზადოს დასაქმებისთვის, რათა საბოლოო ჯამში ხელი შეუწყოს ბავშვის სრულყოფილ სოციალურ ინტეგრაციას და ინდივიდუალურ განვითარებას. სახელმწიფო ვალდებულია, თუ ოჯახი ვერ ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვზე, მიიღოს ყველა ზომა, რათა უზრუნველყოს ალტერნატიული ზრუნვა უფრო დიდი ოჯახის ფარგლებში, და, თუ ეს შეუძლებელია, ალტერნატიულ ოჯახურ გარემოში.

ბავშვის უფლებათა კომიტეტი სახელმწიფოებს მოუწოდებს უზრუნველყონ შემდეგი ძირითადი ღონისძიებების და მექანიზმების შექმნა ალტერნატიულ ზრუნვაში მყოფი ბავშვებისთვის: კანონმდებლობით დადგენილი გარანტიები ბავშვის მოსმენასა და მისი

მოსაზრებების სათანადოდ გათვალისწინების შესახებ ზრუნვაში განთავსების ან/და მკურნალობის გეგმის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში; ალტერნატიული ზრუნვის სერვისების მონიტორინგი ბავშვთა მიმართ მოპყრობის, დაცვის, ზრუნვის და მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების ვალდებულების შემოწმების მიზნით, რომელიც ჩატარდება კომპეტენტური ორგანოს მიერ, მათ შორის, ყველა რეზიდენტულ დაწესებულებაში შეუფერხებელი წვდომით; ბავშვთა საბჭოების შექმნა რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულებებში[351].

ბავშვის უფლებათა კომიტეტი განმარტავს, რომ როდესაც აკრძალვის მიუხედავად ბავშვთა მიმართ ფიზიკური დასჯა ან სხვა სახის სასტიკი ან დამამცირებელი მოპყრობა ხდება ოჯახს გარეთ, სამსახურიდან გათავისუფლება ან/და სხვა დიციპლინური ზომები, ასევე, სისხლისსამართლებრივი დევნა გონივრული სანქციაა. გადამწყვეტია ფიზიკური დასჯის ან სხვა სასტიკი ან დამამცირებელი სასჯელის აკრძალვის და შესაბამისი სანქციების შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს ბავშვებს და მათთან მომუშავე პროფესიონალებს. ყველა დაწესებულების მონიტორინგის სისტემა უნდა მოიცავდეს ბავშვთა მიმართ მოპყრობის და დისციპლინური ზომების ზედამხედველობას, ხოლო ბავშვებს და მათ მშობლებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ კონფიდენციალურ კონსულტაციაზე, დაცვასა და გასაჩივრების პროცედურაზე სათანადო სამართლებრივი დახმარებით. დაწესებულებას უნდა ევალებოდეს ძალადობის შემთხვევების შეტყობინება და განხილვა[352].

ბავშვის უფლებათა კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოს ეროვნული კანონით უზრუნველყოს წარმოშობის ქვეყნის გარეთ, თანმხლების გარეშე მყოფ ბავშვთა ალტერნატიული ზრუნვა[353].

გაეროს რეზოლუცია ბავშვთა ალტერნატიული ზრუნვის შესახებ[354] ადგენს ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ და სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტების განხორციელებას მშობელთა მზრუნველობას მოკლებული და ამგვარი რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების დაცვისა და კეთილდღეობისთვის[355].

ეს რეზოლუცია ადგენს შემდეგ ფუნდამენტურ პრინციპებს, რაც უნდა განმტკიცდეს სახელმწიფოს მიერ ეროვნული კანონმდებლობით:

- სააღმზრდელო დაწესებულების რეგისტრაციისა და საქმიანობის კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევა უნდა იყოს დასჯადი. საქმიანობის ნებართვის გაცემა და რეგულარული შემოწმება უნდა განახორციელოს კომპეტენტურმა სახელმწიფო უწყებამ შემდეგი ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით: მიზნები, ფუნქციონირება, პერსონალის შერჩევა და კვალიფიკაცია, ზრუნვის სტანდარტების დაცვა, ფინანსური რესურსები და მენეჯმენტი[356];
- კანონით უნდა აიკრძალოს იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ბავშვთა მოძიება და განთავსება ზრუნვის დაწესებულებებში[357];

[351] ზოგადი კომენტარი #12, პარა. 97, გვ.22
[352] კომიტეტის ზოგადი კომენტარი #8, პარა. 43
[353] ზოგადი კომენტარი #6, 2005. პარა. 40
[354] გაეროს გენერალური ასამბლეა, სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვთა ალტერნატიული ზრუნვისთვის (რეზოლუცია 64/142), 24 თებერვალი 2010 წ.
[355] რეზოლუციის მუხ. 1 (მიზანი)
[356] რეზოლუციის პარა. 105
[357] იგივე, პარა. 127

- განცალკევებულ ან თანმხლების გარეშე მყოფ ბავშვებს, რომლებიც ქვეყანაში შემოვიდნენ ნებართვის გარეშე, არ უნდა აღეკვეთოთ თავისუფლება ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლის და ყოფნის შესახებ კანონის დარღვევისთვის[358];
- კანონმდებლობით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადეკვატური ზრუნვის ფორმები ოჯახური და თემზე დაფუძნებული ზრუნვის უპირატესობის მითითებით[359];
- კანონმდებლობით გარანტირებული უნდა იყოს მარტოხელა და არასრულწლოვანი მშობლების და მათი შვილების მხარდაჭერის და ზრუნვის სერვისები. არასრულწლოვან მშობელს უნდა შეუნარჩუნდეს უფლებები, როგორც მშობელს და როგორც ბავშვს (განვითარების, განათლების უფლებები; სტიგმისგან დაცვა)[360];
- ბავშვის მიტოვების შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს კონფიდენციალობისა და უსაფრთხოების დაცვა, ამავე დროს, პატივი უნდა სცეს ბავშვის უფლებას მისი წარმოშობის ინფორმაციის მიღების უფლებაზე კანონით დადგენილი სათანადო წესით[361];
- ოჯახიდან ბავშვის განცალკევება უნდა მოხდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ, კანონით დადგენილი წესით; მშობლებს უნდა ჰქონდეთ გასაჩივრების და სამართლებრივი დახმარების უფლება[362];
- ალტერნატიული ზრუნვის სერვისი უნდა განხორციელდეს იმ სტანდარტების შესაბამისად, რომელსაც ადგენს ბავშვის უფლებათა კონვენცია, ეს რეზოლუცია და შესაბამისად, ქვეყნის კანონმდებლობა[363];
- სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ალტერნატიულ ზრუნვაში მყოფი ბავშვების დაცვა ძალადობისგან სათანადო საცხოვრებელი პირობების შექმნის და ზედამხედველობის განხორციელების გზით კომპეტენტური ორგანს მიერ. ბავშვის საცხოვრებელი პირობები უნდა იყოს მორგებული მის ასაკს, განვითარების დონეს და საჭიროებებს[364];
- კანონით მკაცრად უნდა აიკრძალოს ყველა სახის დისციპლინური ზომები და ქცევების მართვის მეთოდები, რაც მოიცავს წამებას, სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას, მათ შორის ჩაკეტილ სივრცეში მოთავსებას ან სხვა სახის ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას, მშობელთან ან სხვა ოჯახის წევრებთან კონტაქტის შეზღუდვას[365];
- დაუშვებელია ბავშვის მიმართ ძალის გამოყენება და ნებისმიერი სახის შეზღუდვა, გარდა უკიდურესი აუცილებლობისა ბავშვის ან სხვათა ფიზიკური ან ფსიქოლოგიური საფრთხისგან დასაცავად. ამგვარი შეზღუდვა უნდა განხორციელდეს გონივრული და პროპორციული მეთოდებით კანონით დადგენილი წესის და ბავშვის ფუნდამენტური უფლებების შესაბამისად. წამლით ან მედიკამენტოზური მკურნალობით შეზღუდვა უნდა დაეფუძნოს თერაპიულ საჭიროებებს და არასდროს უნდა იქნეს გამოყენებული სპეციალისტის შეფასების და დანიშვნის გარეშე[366].

[358] იგივე, პარა. 143
[359] იგივე, პარა. 53
[360] პარა. 36
[361] პარა. 42
[362] პარა. 47
[363] პარა. 73
[364] პარა. 92
[365] პარა. 96
[366] პარა. 97

- ## ბავშვთა სოციალური დაცვა და მიტოვების პრევენცია

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-18 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ სათანადო დახმარება უნდა გაუწიოს მშობლებს ბავშვის აღზრდის მოვალეობათა განხორციელებისას და განავითაროს შესაბამისი დაწესებულებები და სერვისები ამ მიზნით. დასაქმებული მშობლების შვილებისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი ბავშვზე ზრუნვის სერვისები.

კონვენციის 26-ე მუხლის თანახმად, ყოველ ბავშვს აქვს უფლება ისარგებლოს სოციალური დაცვით, მათ შორის, სოციალური დაზღვევით, რაც გარანტირებული უნდა იყოს კანონით. სოციალური დახმარების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული: ბავშვის და მასზე მზრუნველი პირების მდგომარეობა და რესურსები, ასევე სხვა საკითხები, რაც ამ სარგებლის გამოყენების საჭიროებას ეხება.

კონვენციის 27-ე მუხლის თანახმად, ყოველ ბავშვს აქვს უფლება ცხოვრების ისეთ სტანდარტზე, რომელიც შეესაბამება ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, მორალური და სოციალური განვითარების საჭიროებებს. სახელმწიფომ, რესურსების ფარგლებში და საჭიროებისამებრ, უნდა მიაწოდოს მშობლებს მატერიალური დამხმარება და მხარდაჭერის პროგრამები განსაკუთრებით კვების, თანსაცმლის და საცხოვრებელი პირობების კუთხით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის 23-ე მუხლის (3) თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების უფლება ოჯახში ცხოვრებაზე სხვა ბავშვებთან თანაბრად. ამ უფლების რეალიზების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დამალვის, მიტოვების, უგულებელყოფის და სეგრეგაციის პრევენციის მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების და მათ ოჯახების ადრეული და ამომწურავი ინფორმირება, მომსახურება და მხარდაჭერა.

გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის თანახმად, სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა ზომა ბავშვი დარჩეს ან დაბრუნდეს საკუთარ ოჯახში, მშობლების ზრუნვის ქვეშ. ამისათვის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ოჯახების მხარდაჭერა ბავშვების აღზრდის პროცესში[367].

ოჯახისგან ბავშვთა განცალკევების პრევენციისთვის, სახელმწიფომ უნდა გატაროს შემდეგი ძირითადი ზომები[368]:

- მხარდაჭერა აღმოუჩინოს იმ ოჯახებს, რომელთა შესაძლებლობებიც დასუსტებულია სხვადასხვა ფაქტორებით, როგორიცაა: შეზღუდული შესაძლებლობა, ნარკომანია ან ალკოჰოლიზმი, დისკრიმინირებული მდგომარეობა უმცირესობს ჯგუფებს მიკუთვნებულობის გამო, შეარაღებული კონფლიქტის ზონაში ან უცხო ქვეყნის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრება[369].

- სათანადო ზრუნვა და დაცვა მოწყვლადი ბავშვებისთვის, როგორიცაა, ძალადობის და ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვები, მიტოვებული ბავშვები,

[367] რეზოლუცია, პარა. 3
[368] პარა. 9
[369] პარა. 9. „ა“

ქუჩაში მცხოვრები ბავშვები, განცალკევებული და თანმხლების გარეშე მყოფი ბავშვები, დევნილი და ლტოლვილი ბავშვები, მიგრანტი მშრომელების ბავშვები, თავშესაფრის მაძიებელთა ბავშვები, აივ/შიდსით ან სხვა მძიმე დაავადების მქონე ან ამგვარი დაავადების მქონე ოჯახის წევრთან მცხოვრები ბავშვი[370].

ამრიგად, ალტერნატიული ზრუნვის საჭიროების პრევენციისთვის სახელმწიფომ ორი გზით უნდა იზრუნოს, კერძოდ:

ოჯახური ზრუნვის ხელშეწყობა[371]:

- ადეკვატური საცხოვრებელი პირობების შექმნა;
- საბაზისო ჯანდაცვის, განათლების და სოციალური სერვისების მიწოდება;
- ასევე, ღონისძიებების გატარება სიღარიბის, დისკრიმინაციის, მარგინალიზაციის, სტიგმატიზაციის, ძალადობის, ბავშვისადმი ცუდი მოპყრობის, ნივთიერებაზე დამოკიდებულების დასაძლევად;

ოჯახის მიერ ბავშვის მიტოვების, მასზე უარის თქმის, განცალკევების პრევენცია: სოციალური პოლიტიკია და პროგრამები[372] (ეს პროგრამები უნდა იყოს ინტეგრირებული თემის დონეზე და ოჯახებს რთავდეს პარტნიორებად):

- ოჯახის გაძლიერების სერვისები, როგორიცაა მშობლობის კურსები, პოზიტიური მშობლობის ხელშეწყობა, კონფლიქტების მოგვარების უნარები, დასაქმების შესაძლებლობები, საჭიროების შემთხვევაში, სოციალური დახმარება;
- დამხმარე სოციალური სერვისები, როგორიცაა, დღის ცენტრი, მედიაცია და შერიგების სერვისები, ნივთიერებაზე დამოკიდებულების მკურნალობის კურსი, ფინანსური დახმარება; სერვისები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მშობლებისა და ბავშვებისთვის;
- ახალგაზრდების გაძლიერება ყოველდღიურ სიძნელეებთან პოზიტიური გამკლავებისთვის, მათ შორის, როდესაც გადაწყვეტენ მშობლების სახლიდან წასვლას დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, მათი მომზადება ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით.

კანონი სოციალური დახმარების შესახებ განსაზღვრავს, რომ სოციალური დახმარება არის საჭიროებაზე დაფუძნებული სახელმწიფო მხარდაჭერა; დახმარების გადანაწილება ხდება სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირებზე, ღატაკ ოჯახებზე და უსახლკარო პირებზე[373]. კანონით სპეციალური საჭიროების მქონე პირად ითვლება: ობოლი და ოჯახის მზრუნველობამოკლებული ბავშვი, მზრუნველობამოკლებული, თვითმომსახურების უნარშეზღუდული სრულწლოვანი, მარჩენალდაკარგული ბავშვი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი, მიუსაფარი ბავშვი[374].

კანონი ადგენს სოციალური დახმარების შემდეგ სახეებს: საარსებო შემწეობას, რეინტეგრაციის შემწეობას, მინდობით აღზრდის ანაზღაურებას, არაფულად სოციალურ დახმარებას, სოციალურ პაკეტს[375].

---

[370] პარა. 9. „ბ“

[371] რეზოლუცია, პარა. 32

[372] პარა. 33

[373] მუხ. 5

[374] მუხ. 4 „ო“

[375] მუხ. 6

საარსებო შემწეობა არის ყოველთვიური ფულადი დახმარება, რომელიც განკუთვნილია შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული ღატაკი ოჯახისთვის[376]; **სოციალური პაკეტი** არის ყოველთვიური ფულადი ან ფულადი და არაფულადი სარგებლის ერთობლიობა, რომელიც განკუთვნილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მარჩენალდაკარგული პირებისთვის[377]; **რეინტეგრაციის შემწეობა** არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირის ბიოლოგიურ ოჯახს, რომელიც ამ პირს სპეციალიზებული დაწესებულებიდან გაიყვანს ოჯახურ გარემოში საცხოვრებლად[378]; **მინდობით აღზრდის ანაზღაურება** არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც მიეცემა დედობილს/მამობილს შვილობილის მოსავლელად[379].

კანონი, ასევე, ადგენს, რომ სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირი შეიძლება იყოს პრევენციისა და რეინტეგრაციის მიზნით არაფულადი სოციალურ დახმარების მიმღები, როდესაც ოჯახში არსებული მდგომარეობა ბავშვის მზრუველობამოკლებულად ცნობის დასაბუთებული წინაპირობაა. არაფულად სოციალური მომსახურების სახეები და მდგომარეობის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით[380].

განხილული ნორმების ანალიზით ჩანს, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებულია ძირითადად ფულადი შემწეობა ღატაკი ოჯახების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მარჩენალდაკარგული პირებისთვის, ასევე, ოჯახისთვის, რომელიც ბავშვს დაიბრუნებს დაწესებულებიდან. მართალია კანონში მითითებულია, აგრეთვე, არაფულადი სოციალური მომსახურება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მარჩენალდაკარგული და ასევე, მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის, თუმცა არაფერია აღნიშნული ამგვარი დახმარების კონკრეტული ფორმების, დანიშვნის საფუძვლების და ხელმისაწვდომობის შესახებ. კანონი არ მიუთითებს ოჯახების გაძლიერების სერვისებზე, როგორიცაა: კვების, ტანსაცმლის და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მხარდაჭერა, კურსები მშობლებისთვის, სარეაბილიტაციო კურსები, საკონსულტაციო და საინფორმაციო სერვისები და სხვა.

სპეციალური საჭიროების ბავშვებს შორის არაა მითითებული ძალადობის ან/და ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვი. დახმარების საჭიროების მქონე ოჯახებთან დაკავშირებით კანონი მიუთითებს მხოლოდ ღატაკ ოჯახებს და არაფერს ამბობს სხვა ოჯახებზე, როგორიცაა, მათ შორის, მარტოხელა მშობლები, არასრულწლოვანი მშობლები, აივ/შიდსით ან სხვა მძიმე დაავადებების მქონე მშობლები, რომელთაც განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდებათ ბავშვის აღზრდის პროცესში.

რაც შეეხება იმ ოჯახების მხარდაჭერას, რომელთა შესაძლებლობებიც შესუსტებულია ალკოლიზმით ან ნარკომანიით, ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს მათი წვდომა სარეაბილიტაციო კურსებსა და სხვა სახის დახმარებაზე, სამოქალაქო კოდექსის[381] თანახმად შესაძლოა მშობლის უფლება-მოვალეობები ჩამოერთვათ, ხოლო მათი ბავშვი შვილად აყვანას დაექვემდებაროს. სამოქალაქო კოდექსი, ასევე, ადგენს, რომ მშობლის უფლებების ჩამორთმევის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ შესაძლებელია ამ უფლებების

[376] იგივე კანონი, მუხ. 7
[377] მუხ. 12[1]
[378] მუხ. 9.2
[379] მუხ. 10
[380] მუ. 12
[381] სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 1206

აღდგენა, მაგრამ დაუშვებელია იმ ბავშვის მიმართ, რომელიც უკვე გაშვილდა[382]. კანონმდებლობის ეს დებულებები წინააღმდეგობაშია კონვენციასთან და უნდა გაუქმდეს.

კანონი არ მიუთითებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მშობელთა ან ბავშვთა სოციალური მხარდაჭერა უნდა იყოს გრძელვადიანი და ერთ პაკეტში მოიცავდეს განათლების, ჯანდაცვის, რეაბილიტაციის, სოციალური ინტეგრაციის და სხვა ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით განსაზღვრული დახმარების სახეებს.

ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია განვიხილოთ სამოქალქო კოდექსის დებულება[383], რომელიც ადგენს ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე არასრულწლოვანის უფლებას სასამართლო წესით მოითხოვოს მხარდაჭერა იმ უფლება-მოვალეობების განხორციელებისას, რომლით სარგებლობაც მას დამოუკიდებლად, მშობლების თანხმობის გარეშე შეუძლია.

იქედან გამომდინარე, რომ სამოქალაქო კოდექსი არ განავრცობს ამ დებულებას, ის პრაქტიკაში გამოუყენებელი რჩება. ბავშვის უფლებათა კონვენციის და გაეროს ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების თანახმად, ეს მხარდაჭერა უნდა განიმარტოს ბავშვთა სოციალური დახმარების პაკეტის ფარგლებში და უნდა მოიცავდეს ისეთ პერსონალურ მხარდაჭერას, რომელიც მოიცავს სპეციალიზებული პროფესიონალის დახმარებას რჩევების, კონსულტაციის და ინფორმაციის მიწოდების გზით საკუთარი უფლებების დამოუკიდებლად რეალიზების შესახებ. ბავშვს უნდა ჰქონდეს ამგვარ მხარდამჭერ პირთან დამოუკიდებელი, კონფიდენციალური წვდომის უფლება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის, ძალადობისგან დაცვის, რეპროდუქციული ჯანმრთელობის, გადაწყვეტილებების მიღებისას მონაწილეობის უფლების და სხვა ისეთ საკითხებზე, რითაც მას შეუძლია დამოუკიდებლად ისარგებლოს სხვა ბავშვებთან თანაბრად.

ეს კანონი მხოლოდ ერთგან მოიხსენიებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, კერძოდ, რეინტეგრაციის შემწეობის ხელშეკრულების პირობების დარღვევისას ბიოლოგიური ოჯახი კარგავს ფულადი დახმარების მიღების უფლებას, ხოლო რეინტეგრირებული ბავშვის საკითხი წყდება მისი ინტერესების უპირატესი დაცვით[384]. კანონში არ გვხვდება სხვა დებულება, თუ როგორ განისაზღვრება ინდივიდუალური ბავშვის საუკეთესო ინტერესები და როგორ ხდება ამ ინტერესების უპირატესი გათვალისწინება ფულადი და არაფულადი სოციალური დახმარების განსაზღვრისას.

▪ სახელმწიფო ზრუნვაში ბავშვის განთავსება

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-20 მუხლის თანახმად, ოჯახურ გარემოს დროებით ან სამუდამოდ მოკლებული ბავშვი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ განსაკუთრებული დაცვითა და დახმარებით. ეროვნული კანონმდებლობით გარანტირებული უნდა იყოს ალტერნატიული ზრუნვა ამ ბავშვისთვის. ამგვარი ზრუნვა შესაძლოა მოიცავდეს, მათ შორის, მინდობით აღზრდას, შვილად აყვანას ან აუცილებლობის შემთხვევაში, შესაბამის სააღმზრდელო დაწესებულებაში განთავსებას. ზრუნვის ფორმის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს: ბავშვის აღზრდის უწყვეტობა იმავე გარემოში, ეთნიკური, რელიგიური, კულტურული და ენობრივი მახასიათებლები.

[382] მუხ. 1209

[383] სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 12.5

[384] მუხ. 21 (3)

კონვენციის 21-ე მუხლი მოითხოვს, სახელმწიფომ შექმნას შვილად აყვანის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირველს ყოვლისა გათვალისწინებას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის 23-ე მუხლის (4) თანახმად, ბავშვი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს განცალკევებული მშობლებისგან ბავშვის ან ერთი ან ორივე მშობლის შეზღუდული შესაძლებლობების საფუძველზე.
გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის თანახმად, ეროვნული კანონით უნდა აიკრძალოს იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ბავშვთა მოძიება და განთავსება ზრუნვის დაწესებულებებში[385]. კანონმდებლობით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადეკვატური ზრუნვის ფორმები ოჯახური და თემზე დაფუძნებული ზრუნვის უპირატესობის მითითებით[386]; ბავშვის მიტოვების შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს კონფიდენციალობისა და უსაფრთხოების დაცვა, ამავე დროს, პატივი უნდა სცეს ბავშვის უფლებას მისი წარმოშობის ინფორმაციის მიღების უფლებაზე კანონით დადგენილი სათანადო წესით[387]; ოჯახიდან ბავშვის განცალკევება უნდა მოხდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ, კანონით დადგენილი წესით; მშობლებს უნდა ჰქონდეთ გასაჩივრების და სამართლებრივი დახმარების უფლება[388].

- ## სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსება

სოციალური დახმარების შესახებ კანონის თანახმად, სპეციალიზებული დაწესებულება არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირების სოციალურ მომსახურებას მთელი დღე-ღამის განმავლობაში ან/და დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში, გარდა პანსიონური მომსახურების მქონე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისა[389].

ამ კანონის თანახმად, სპეციალიზებულ დაწესებულებაში, გარდა პანსიონისა, ბავშვის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო[390]. ბავშვის მოთავსება დაწესებულებაში ხდება დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, რომელიც შეიძლება იყოს თავად მოთავსების მსურველი ან მისი ოჯახის წევრი, მეურვეობის და მზრუნველობის ორგანო ან სასამართლო[391].

აღსანიშნავია, რომ კანონი არ ითვალისწინებს პრინციპს ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსების, როგორც უკიდურესი ღონისძიების შესახებ, რათა ბავშვი მხოლოდ მაშინ მოთავსდეს ალტერნატიულ ზრუნვაში, როდესაც ეს აუცილებელია და არცერთმა სხვა ღონისძიებამ ოჯახის გაძლიერებისა და რეინტეგრაციის მიზნით შედეგი არ გამოიღო.

საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიში, გამოთქმულია შეშფოთება, რომ დაბადებისას არასწორი დიაგნოსტიკა და სტატუსის მინიჭების მოქმედი წესები

[385] იგივე, პარა. 127
[386] იგივე, პარა. 53
[387] პარა. 42
[388] პარა. 47
[389] კანონი სოციალური დახმარების შესახებ, მუხ. 13
[390] მუხ. 14 (1,2)
[391] მუხ. 14 (4)

კვლავაც აფერხებენ დროული და ადეკვატური ზრუნვის უზრუნველყოფას. არსებული სისტემა არ იძლევა 0-3 წლის ჩვილისთვის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობას. ეს მნიშვნელოვანი გამოწვევაა პოლიტიკასა და პრაქტიკაში და ხელს უშლის ბავშვებს (და მათ მომვლელებს) ამ ასაკობრივ ჯგუფში ისარგებლონ სტატუსთან დაკავშირებული სახელმწიფო დაფინანსებით. ადრეული დიაგნოსტიკის და სტატუსის განსაზღვრის საკითხი აუტისტური დარღვევების და დაუნის სინდრომის შემთხვევაში, დღემდე გაურკვეველი რჩება.

სპეციალიზებულ დაწესებულებაში ბავშვის განთავსების წესი დადგენილია მინისტრის ბრძანებით[392], რომელიც ადგენს:

- ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულება არის ***საღამოზრდელო დაწესებულება*** (მათ შორის, ***მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარი***), დღის ცენტრი და დედათა და ბავშვთა ***თავშესაფარი***, ასევე, სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ფონდის ფილიალები, მათ შორის, ბავშვთა სახლი[393];
- ***ბავშვის*** (მათ შორის, ნაპოვნი ბავშვის) სპეციალიზებულ დაწესებულებაში განთავსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ***რეგიონული საბჭო,*** ხოლო ***მიუსაფარი ბავშვის*** განთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიმღებია უფლებამოსილი ***სოციალური მუშაკი***[394].
- ბავშვის უშუალო შეფასებას ახდენს სოციალური მუშაკი შეგროვილი დოკუმენტების შესახებ ***(პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ჯანმრთელობის ცნობა/ფორმა 100 (ზოგადი), სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დასკვნა შშმ პირის/ბავშვის შემთხვევაში***)[395].
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატში ან სათემო ორგანიზაციაში მოთავსებას ექვემდებარებებიან: ***შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სრულწლოვანი პირები, ასევე, ამ პირის 18 წლამდე ასაკის შვილები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს***[396];
- ***დღის ცენტრში*** განთავსებას ექვემდებარება ***6-18 წლამდე ბავშვები***[397];
- ***დღის ცენტრში ან მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარში*** მოთავსებას ექვემდებარება ***მიუსაფარი ბავშვი***[398];
- დედათა და ბავშვთა თავშესაფარში მოთავსებას ექვემდებარება ***სხვადასხვა პრობლემების მქონე დედა,*** ასევე სხვადასხვა პრობლემების მქონე ქალი, რომელიც ორსულობის არანაკლებ 26-ე კვირაში იმყოფება ***(მათ შორის 10 წლამდე ასაკის შვილ(ებ)თან ერთად,*** თუ ეს უკანასკნელ(ნ)ი მიტოვების ან ინსტიტუციაში მოხვედრის რისკის წინაშე იმყოფებიან)[399];

---

[392] სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისას და პირობების შესახებ/ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა მინისტრის ბრძანება 52/ნ/26.02.2010

[393] მუხ. 5^1

[394] მუხ. 4

[395] მუხ. 6

[396] ბრძანების მუხ. 3.3

[397] მუხ. 3.4

[398] მუხ. 3.5

[399] მუხ. 3.6

- სააღმზრდელო დაწესებულებაში განთავსებას ექვემდებარება ***18 წლამდე ასაკის მზრუნველობამოკლებული ბავშვი***[400]. ასეთად ბრძანება განმარტავს ბავშვებს: რომელთა მშობლებიც უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად არიან აღიარებული ან ***მხარდამჭერის მიმღებია*** და სასამართლომ მშობლის უფლებების ნაწილში ***მხარდამჭერად დაუნიშნა მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილი პირი;*** ობოლია; მშობლებს შეეზღუდათ, შეუჩერდათ ან ჩამოერთვათ მშობლის უფლება-მოვალეობები; მიტოვებულადაა აღიარებული; მისი დატოვება მშობელთან საზიანოა ბავშვისთვის ***მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით***[401].

არსად არ კეთდება მითითება ბავშვის მონაწილეობის, მისი აზრის მოსმენის და საუკეთესო ინტერესების შეფასების შესახებ მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. კანონი არ ადგენს ალტერნატიულ ზრუნვაში ბავშვის მოთავსების პრინციპულ საკითხებს, როგორიცაა: ალტერნატიულ ზრუნვის სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსება, როგორც უკიდურესი ღონისძიება; ბავშვის და ოჯახის მდგომარეობის მულტიდისციპლინური შეფასება; ზრუნვის სათანადო ფორმის შერჩევა ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად; დამოუკიდებელი რეგულარული სუპერვიზიისა და მონიტორინგის სისტემა; და სხვა. კანონით ასევე არაა მოწესრიგებული ბუნებრივი და სხვა სახის კატასტროფების დროს ბავშვთა უფლებების, მათ შორის, დროებითი და გრძელვადიანი ზრუნვის საკითხები.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან არსებული რეგიონული საბჭოების მიზანი და ფუნქციები, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას სპეციალიზებულ ზრუნვაში მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა განთავსების შესახებ. საბჭოს ტიპური დებულების[402] თანახმად, საბჭოს შემადგენლობაში შედიან სოციალური მომსახურების სააგენტოს, განათლების და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი საგანამანთლებლო რესურს-ცენტრის, ადგილობრივი თვითმმართველობის, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის ან/და პროფესიული გაერთიანების წარმომადგენლები. საბჭოში ასევე შესაძლებელია შედიოდნენ: შრომის, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ფონდის წარმომადგენელი, ადგილობრივი სამედიცინო დაწესებულების ექიმი ან სადაზღვევო კომპანიის ექიმი, სხვა დაინტერესებული პირი[403].

დებულების თანახმად, საბჭოს მიზანი მეურვეობა/მზრუნველობის და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით, პირის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობოთ და მულტიდისციპლინური მიდგომის გამოყენებით[404].

საბჭოს წევრებს სხდომის დაწყებამდე მინიმუმ 5 სამუშაო დღით ადრე ეგზავნებათ (ეცნობებათ) სხდომის დაწყების დრო და ადგილი, დღის წესრიგი, განსახილველ შემთხვევათა აღწერილობა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი დოკუმენტაცია. აუცილებლობის შემთხვევაში, დასაშვებია საბჭოს წევრებისათვის დამატებით, საქმის მასალების გადაგზავნა, სხდომამდე არაუგვიანეს ერთი დღისა[405].

---

[400] მუხ. 3.7

[401] მუხ. 2.7

[402] სოციალური მომსახურების სააგენტოს ბრძანება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების ტიპიური დებულების და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ, 2013წ.

[403] დებულების მუხ. 2

[404] მუხ. 3.1 „ბ“

[405] მუხ.7.7

გადაწყვეტილების მიღებისას, საბჭოს წევრები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, სოციალური მუშაკის ან/და სხვა უფლებამოსილი პირების (ფსიქოლოგი, იურისტი) მიერ წარმოდგენილ შეფასებაში (დასკვნაში) მითითებული ინფორმაციითა და რეკომენდაციებით, აგრეთვე, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით არსებული სხვა მონაცემებით (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში). თუ წარმოდგენილი მასალები არ არის საკმარისი, საბჭოს უფლება აქვს, მოითხოვოს დამატებითი ინფორმაციის ან/და დოკუმენტების წარმოდგენა[406].

საბჭოს დებულება არ ადგენს ბავშვთან გადაწყვეტილების მიღების პრინციპებს, როგორიცაა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინება, ბავშვის მოსმენა და მისი აზრის პატივისცემა, ბავშვთან დაკავშირებით პირადი მონაცემების კონფიდენციალობის დაცვა საქმის მასალების გაზიარების დროს. რაც შეეხება მულტიდისციპლინურ შეფასებას, როგორც ბავშვის საუკეთესო ინტერესების დადგენის გზას, საბჭო ახდენს მხოლოდ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე. რეალურად ბავშვის შეფასებას, დოკუმენტების მოძიებას და დასკვნის შედგენას ახდენს მხოლოდ სოციალური მუშაკი. დოკუმენტების სავალდებულო ნუსხაში მითითებული არაა ფსიქოლოგის, განათლების სპეციალისტის, ექიმის და სხვა დასკვნები ბავშვის მდგომარეობის და საჭიროებების სრულფასოვანი შეფასებისთვის. უფრო მეტიც, საბჭოს შემადგენლობაში ჯანდაცვის სპეციალისტთა მონაწილეობა „შესაძლებელია“ და არა სავალდებულო, რაც იწვევს კითხვის ნიშნის ქვეშ ტოვებს ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის სრულყოფილ გამოკვლევას და ეს საკითხი ამოიწურება მხოლოდ საბაზისო სამედიცინო ცნობის (ფორმა 100) წარდგენით.

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ განხილული კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს შორის არცერთი მათგანი არ მიუთითებს ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტების და გარემოებების შესწავლას, როგორიცაა: ბავშვის ჯანმრთელობის და განათლების საჭიროებები, ძალადობის გამოცდილება, მკურნალობის და სხვა სერვისების საჭიროება, ოჯახთან ურთიერთობა, მისი მოსაზრებების მოსმენა და სურვილების მხედველობაში მიღება ასაკის და განვითარების დონის შესაბამისად. ამავე დროს, ნათელია, რომ ბავშვის საჭიროებების და თავსებადობის შეფასებას უშუალოდ ახორციელებს სოციალური მუშაკი, რომლის დასკვნის საფუძველზეც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან არსებული რეგიონული საბჭო იღებს გადაწყვეტილებას. მართალია, რეგიონული საბჭოების შემადგენლობაში სხვადასხვა სპეციალისტები შედიან, თუმცა მათი მონაწილეობა უშუალოდ ბავშვის საუკეთესო ინტერესების ყოველმხრივი შეფასების და დადგენის პროცესში უმნიშვნელოა. შესაბამისად, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასების განხორციელება არც კანონით და არც პრაქტიკით სათანადოდ არაა გარანტირებული.

ჩატარებულმა კვლევამ[407] გამოავლინა სისტემური პრობლემა: მულტიდისციპლინური და მულტიუწყებრივი მიდგომა გამოიყენება მაშინ, როდესაც საქმე კრიზისულია ანუ, ასეთ მიდგომას აქვს რეაქციული და არა პრევენციული დატვირთვა. პრევენციის დონეზე ასეთი მიდგომა საერთოდ არ არსებობს მოწყვლად ჯგუფებზე ზრუნვის სისტემაში. ასევე, მულტიდისციპლინური მუშაობა ქეისის მომზადების დროს უნდა მიმდინარეობდეს, რათა ეს ქეისები პროფესიულად დამუშავდეს და წარედგინოს საბჭოს.

[406] მუხ. 7.10

[407] ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების მუშაობის ეფექტიანობის კვლევა, 2016

- ## ბავშვზე ზრუნვის დაწესებულების ლიცენზირება

კონვენცია[408] მოითხოვს იმ საკანონმდებლო ჩარჩოს გადასინჯვას, რომელიც ეხება ყველა სახელმწიფო, კერძო და მოხალისეობრივ საწყისებზე მომუშავე დაწესებულებას და სერვისს. კანონმდებლობის განხილვა უნდა მოიცავდეს ყველა ყველა ზრუნვის სერვისს მინდობით აღზრდის და დღის ცენტრების, ჯანმდაცვის, განათლების, სასჯელაღსრულების და სხვა სერვისებს. სტანდარტები უნდა მოქმედებდეს ყველგან შესაბამისი ინსპექციისა და მონიტორინგის მექანიზმებით[409].

გაეროს რეზოლუცია ბავშვთა ალტერნატიული ზრუნვის შესახებ ადგენს სააღმზრდელო დაწესებულების რეგისტრაციისა და საქმიანობის კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევა უნდა იყოს დასჯადი. საქმიანობის ნებართვის გაცემა და რეგულარული შემოწმება უნდა განახორციელოს კომპეტენტურმა სახელმწიფო უწყებამ შემდეგი ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით: მიზნები, ფუნქციონირება, პერსონალის შერჩევა და კვალიფიკაცია, ზრუნვის სტანდარტების დაცვა, ფინანსური რესურსები და მენეჯმენტი[410].

კონვენციის 25-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა აღიაროს ბავშვის უფლება მისი მკურნალობის და ზრუნვაში განთავსების გარემოებების პერიოდულ გადახედვაზე.

კანონი „სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“[411] ადგენს შემდეგს:

- კანონი ვრცელდება ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებულ სააღმზრდელო დაწესებულებებზე, ***გარდა მინდობით აღზრდისა, სამედიცინო სტაციონარული დაწესებულებისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფუძნებული სკოლა-პანსიონისა,*** აგრეთვე ისეთი დაწესებულებისა, რომელშიც ბავშვი იმყოფება წელიწადში არაუმეტეს 3 თვისა[412].
- სამინისტრო განსაზღვრავს სააღმზრდელო საქმიანობის განხორციელების ტერიტორიას და რაოდენობას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ***სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი პირის შერჩევის წესსა და პირობებს.*** აკრძალულია სხვა ტერიტორიაზე და სხვა რაოდენობის სააღმზრდელო საქმიანობის განხორციელება[413].
- სააღმზრდელო საქმიანობის საჭიროა ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებთან შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა; ინფორმაცია პერსონალის რაოდენობის, კვალიფიკაციის შესახებ; მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის და შენობა-ნაგებობების შესახებ ინფორმაცია; საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულ ***„ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებს“***[414].
- ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილია შეამოწმოს ლიცენზიის მფლობელი ლიცენზიის პირობებთან შესაბამისობის დასადგენად, ასევე ისეთ შემთხვევაშიც,

---

[408] მუხ. 3 (3)

[409] Implementation Handbook for UN CRC, UNICEF, 2007 / არაოფიციალური თარგმანი, გვ. 41

[410] რეზოლუციის პარა. 105

[411] კანონი სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ / მიღებულია 08.06.2016 https://matsne.gov.ge/ka/document/view/3307127

[412] მუხ. 1

[413] მუხ. 3. 1,2

[414] მუხ. 6

თუ არსებობს ***დასაბუთებული ინფორმაცია*** ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების დარღვევის შესახებ. სალიცენზიო პირობების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით[415].

ამავე დროს, კანონი ლიცენზირებულად თვლის იმ სააღმზრდელო დაწესებულებებს, მათ შორის საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებსაც ლიცენზია მიღებული ჰქონდათ სააღმზრდელო საქმიანობის შესახებ ***წინა კანონით***[416]. აღსანიშნავია, რომ წინა კანონით ეს დაწესებულებები ლიცენზირებულად ჩაითვალნენ ლიცენზიის მისაღებად დადგენილი პროცედურების დაკმაყოფილების გარეშე. არცერთი კანონი არ მიუთითებს ამ დაწესებულებებისთვის რაიმე სავალდებულოდ შესასრულებელ პირობას გარდამავალ ეტაპზე სტანდარტებთან შესაბამისობის და შემდგომში მცირე ზომის საოჯახო ზრუნვის ფორმად ჩამოყალიბების შესახებ. ჩანაწერი არსებობს მხოლოდ კანონქვემდებარე აქტში, მთავრობის დადგენილებაში ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების შესახებ, რომელიც საგამონაკლისო პირობებს უწესებს 24-საათიან დიდი ზომის ინსტიტუციებს და სტანდარტებთან შესაბამისობისთვის უდგეს ვადას 2020 წლის 1 იანვრამდე[417]. თუმცა არც ეს კანონქვემდებარე აქტი მიუთითებს ეტაპობრივი განხორციელების შესახებ. აქედან გამომდინარე, დიდი ზომის ინსტიტუციებში მყოფი ბავშვები კიდევ რამდენიმე წელი რჩებიან ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სისტემის გარეთ და წინარე გამოცდილების მიხედვით (2009 წლის მარტიდან წლიდან ეს დაწესებულებები კანონით ითვლებიან ლიცენზირებულად სტანდარტების დაკმაყოფილების გარეშე[418]) კვლავ ბუნდოვანი რჩება ამ პრობლემის გადაჭრის გზები.

გაეროს სპეციალური მომხსენებელი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა ტრეფიკინგის საკითხებზე აღნიშნავს, რომ საქართველოში „ბავშვზე ზრუნვის არა-სახელმწიფო დაწესებულებების კრიტიკა გამოწვეულია იმით, რომ ისინი თავს არიდებენ სახელმწიფოს მიერ რეგულირებას, მონიტორინგს და კონტროლს“[419]. მომხსენებელი მოუწოდებს საქართველოს:

- შეიმუშავოს და განახორციელოს ახალი სამოქმედო გეგმა ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმისთვის დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დასრულებისთვის, რაც მოიცავს არა-სახელმწიფო ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებების რეგულირებას, მონიტორინგს და ხედამხედველობას იმ საბოლოო მიზნით, რომ ისინი დაიხურება და მიიღება ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ზომები[420].

- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაცია მათი ოჯახების მხარდაჭერის და ზრუნვის ალტერნატიული ფორმების ხელშეწყობით[421].

---

[415] მუხ. 8

[416] კანონი სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ / მიღებულია 11.03.2005 / ძალადაკარგულია 17/06/2016

[417]მთავრობის დადგენილება ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების შესახებ, მუხ. 1 (4)

[418] იხ. 2009 წლის 24 მარტის ცვლილება https://matsne.gov.ge/ka/document/view/17950

[419] გაეროს სპეციალური მომხსენებელი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა ტრეფიკინგის საკითხებზე. ანგარიში, 2016 წ. 21 დეკემბერი. პარა. 70

[420] იგივე, პარა. 86. „ბ“

[421] იგივე, პარა. 86. „გ“

აღსანიშნავია, რომ ეს კანონი არ აწესრიგებს სკოლა-პანსიონის ლიცენზირების საკითხს, რომელიც მოიცავს როგორც საგანამანთლებლო, ასევე სააღმზრდელო კომპონენტს. არც ამ და არც სხვა კანონით არ წესრიგდება სამედიცინო სტაციონარულ დაწესებულებებში მოთავსებულ ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები (მაგალითად, კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ ადგენს, რომ პაციენტის განთავსების ვადა არანებაყოფლობით მკურნალობის დროს შესაძლოა იყოს 6 თვე და მეტი[422]). ამრიგად, საქართველოში მოქმედი სკოლა-პანსიონური დაწესებულებების სააღმზრდელო საქმიანობა, ასევე, სტაციონარული სამედიცინო დაწესებულებებში მოთავსებულ ბავშვზე ზრუნვის პირობები რჩება სავალდებულო სტანდარტების და რეგულირების გარეშე.

რაც შეეხება მონიტორინგს, კანონი მიუთითებს, რომ ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილია შეამოწმოს ლიცენზიის პირობების შესრულება ზოგადად ან დარღვევის შესახებ დასაბუთებული ინფორმაციის არსებობისას. კანონი არ მიუთითებს მონიტორინგის (ინსპექცია, ზედამხედველობა) რეგულარულობაზე, წესსა და ინსტრუმენტებზე. ამავე დროს, კანონი არ ადგენს, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს „დასაბუთებულ ინფორმაციად“ დაწესებულების შესამოწმებლად და არც ბავშვისთვის ხელმისაწვდომ გასაჩივრების პროცედურებს მიუთითებს. აღსანიშნავია ასევე, რომ კანონი სააღმზრდელო საქმიანობის შესახებ არ მიუთითებს სააღმზრდელო საქმიანობის განხორციელებაზე ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. ეს და სხვა ფუნდამენტური პრინციპები ასახული არაა არც მთავრობის დადგენილებაში ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების შესახებ. ეს კანონი არ აწესრიგებს არც მინდობით აღზრდის, როგორც სააღმზრდელო საქმიანობის საკითხს და მინიმალური მოთხოვნების გარდა[423] მინდობით აღზრდაც რჩება სტანდარტების გარეშე.

3.4.3. ბავშვის უფლება განათლებაზე

ბავშვის უფლებათა კონვენცია[424] მოუწოდებს სახელმწიფოს უზრუნველყოს ბავშვის უფლება განათლებაზე, მათ შორის, განათლების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, სკოლაში დასწრების ხელშეწყობის და სკოლიდან გარიცხვის შემცირების გზით. სახელმწიფომ, აგრეთვე, უნდა მიიღოს ყველა სათანადო ზომა, რათა სასკოლო დისციპლინა განხორციელდეს ბავშვის ღირსებისა და კონვენციასთან შესაბამისობით. **კომიტეტის განმარტებით**[425], დაუშვებელია დისციპლინის ზომად ფიზიკური დასჯის ან სხვა სასტიკი ან დამამცირებელი სასჯელი ან მოპყრობა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კომიტეტი განმარტავს, რომ ინკლუზიური განათლება არის თითოეული მოსწავლის ფუნდამენტური უფლება, პრინციპი, რომელიც აფასებს მოსწავლეთა კეთილდღეობას, ღირსებას და ავტონომიას და აღიარებს ინდივიდუალურ მოთხოვნილებებს და შესაძლებლობას ეფექტურად მონაწილეობდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ინკლუზიური განათლება არის ადამიანის უფლებათა განხორციელების საშუალება, რისი მეშვეობითაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შეუძლიათ თავი დააღწიონ სიღარიბეს, აღიჭურვონ თემში სრულფასოვანი მონაწილეობის საშუალებებით და დაცულნი იყვნენ ექსპლუატაციისგან. ინკლუზიური განათლება არის განათლების უფლების

[422] კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ, მუხ. 18.1-13
[423] კანონი შვილად აყვანის და მინდობით აღზრდის შესახებ
[424] მუხ. 28
[425] ზოგადი კომენტარი #1, პარა. 8; ზოგადი კომენტარი # 8, პარა. 32

დამაბრკოლებელი ბარიერების აღმოფხვრის პროცესის შედეგი, რომელიც მოიცავს კულტურულ, პოლიტიკურ და სასკოლო პრაქტიკის ცვლილებებს განათლების პროცესში მოსწავლეთა ეფექტური ჩართვისთვის[426].

კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს ტერმინებს შორის განსხვავების სწორად აღქმის მნიშვნელობას. კერძოდ, **ექსკლუზია** ნიშნავს მოსწავლეებისთვის განათლების ხელმისაწვდომობაზე პირდაპირ ან არაპირდაპირ უარყოფას[427]. **სეგრეგაცია** ხდება, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განათლების მიწოდება ხდება სპეციალურად მათთვის შექმნილ განცალკევებულ გარემოში. **ინტეგრაცია** არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განთავსების პროცესი სტანდარტული განათლების დაწესებულებებში. **ინკლუზია** მოიცავს სისტემური რეფორმის პროცესს, რომელიც მოიცავს განათლების სფეროში მასალის შინაარსის, სასწავლო მეთოდების, მიდგომების, სტრუქტურების და სტრატეგიების ცვლილებებსა და მოდიფიკაციებს ბარიერების დასაძლევად იმ მიზნით, რომ ყველა მოსწავლეს მიეწოდოს ასაკთან შესაბამისი თანასწორი, მონაწილეობითი სასწავლო გარემო, რომელიც ყველაზე უკეთ პასუხობს მათ მოთხოვნილებებსა და არჩევანს.

მოსწავლეთა განთავსება ჩვეულებრივ სკოლაში შესაბამისი სტრუქტურული ცვლილებების გარეშე (გაკვეთილების ორგანიზება, სასწავლო გეგმის და სწავლებისა და შესწავლის სტრატეგიები) არ ნიშნავს ინკლუზიას. უფრო მეტიც, ინტეგრაცია ავტომატურად ვერ უზრუნველყოფს სეგრეგაციიდან ინკლუზიაზე გადასვლას.

ინკლუზიური განათლების ძირითადი მახასიათებლებია: სისტემური მიდგომა, რომელიც მოიცავს აუცილებელ ცვლილებებს ინსტიტუციური კულტურის, პოლიტიკის და პრაქტიკის კუთხით; მთლიანი საგანმანათლებლო გარემოს ცვლილება სწავლების მეთოდების, საბჭოს შეხვედრების, მასწავლებელთა სუპერვიზიის, საკონსულტაციო სერვისების და სამედიცინო ზრუნვის, სასკოლო ტურების, ბიუჯეტირების, მშობლებთან კომუნიკაციას ადგილობრივ თემში თუ უფრო ფართო მასშტაბით; სრულფასოვანი პიროვნული მიდგომა, რაც ნიშნავს პერსონალიზებული განათლების მიწოდებას ნაცვლად იმისა, რომ მოსწავლისგან მოითხოვოს სისტემაზე მორგება; მასწავლებელთა მხარდაჭერა გადამზადებით მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მასწავლებელთა ჩართვით; მრავალფეროვნების პატივისცემა დისკრიმინაციის გარეშე ნებისმიერი ნიშნით; მოსწავლისადმი მეგობრულად განწყობილი გარემო; სკოლის მიტოვების რისკისა და სავალდებულო განათლების მიღმა მყოფი ბავშვების მონიტორინგი და მათ შესახებ მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობა, სასწავლო-საგანმანათლებლო მასალების ხელმისაწვდომობა და გამოყენება ფორმალური და არაფორმალური განათლების დაწესებულებებში სავალდებულო განათლების მიღმა დარჩენილი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის მათ შორის, სკოლიდან განთესვის რისკის ქვეშ მყოფი მოსწავლეებისათვის, ეფექტური მომზადება გარდამავალი ეტაპებისთვის, რაც ნიშნავს მოსწავლეთა შესაძლებლობების განვითარებას განათლების შემდგომ საფეხურებზე გადასვლისთვის; პარტნიორობა, რაც მოიცავს მასწავლებელთა, მოსწავლეთა და სხვა ასოციაციების თუ არაფორმალური ჯგუფების ცოდნის გაღრმავება შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ; მონიტორინგი, როგორც განგრძობადი პროცესი, რადგან მნიშვნელოვანია მოხდეს ინკლუზიური

[426] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი #4 „ინკლუზიური განათლების შესახებ“, პარა. 10
[427] პარა. 11

განათლების რეგულარული მონიტორინგი და შეფასება ფორმალური ან არაფორმალური სეგრეგაციის ან ინტეგრაციის აღმოფხვრისთვის[428].

▪ განათლების მიზნები

ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, ბავშვის განათლების მიზნებია[429]: ბავშვის პიროვნების, ტალანტების, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარება მისი სრული პოტენციალით; ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემის ჩამოყალიბება; ბავშვის პატივისცემის განვითარება მისი მშობლებისადმი, კულტურული, ენობრივი და იმ ქვეყნის ეროვნული ღირებულებებისადმი, რომელშიც წარმოიშვა ან ცხოვრობს, და ასევე, მისგან განსხვავებული ცივილიზაციებისადმი; ბავშვის მომზადება ცხოვრებისეული პასუხისმგებლობისთვის თავისუფალ საზოგადოებაში, ურთიერთგაგების, მშვიდობის, ტოლერანტობის, სქესთა თანასწორობის, ყველა ადამიანს, ეთნიკურ, ეროვნულ და რელიგიურ დაჯგუფებას შორის მეგობრობის სულისკვეთებით; ბუნებრივი გარემოს მიმართ პატივისცემის განვითარება.

კომიტეტი განმარტავს[430], რომ კონვენციის მიერ აღიარებული, განათლების მიზნების ზოგადი და ძალიან ფართო მნიშვნელობის გამო ზოგიერთი სახელმწიფო მათ ასახვას შიდა კანონმდებლობაში საჭიროდ არ თვლის. თუმცა, კომიტეტი თვლის, რომ კანონმდებლობაში ამ მიზნების ასახვის გარეშე ამ პრინციპების განხორციელება სათანადოდ ვერ მიიღწევა. აქედან გამომდინარე, კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოს უზრუნველყოს ამ პრინციპების განმტკიცება შესაბამისი კანონებით. **კანონმდებლობით უნდა განმტკიცდეს,** რომ დაუშვებელია დისციპლინის ზომად ფიზიკური დასჯის ან სხვა სასტიკი ან დამამცირებელი სასჯელი ან მოპყრობა[431].

კანონი ზოგადი განათლების შესახებ ადგენს[432] ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიზნებს, კერძოდ: ა) მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისთვის საჭირო პირობების შექმნა; ბ) მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღრებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელშეწყობა.

ზოგადი განათლების შესახებ კანონის მიერ აღიარებული განათლების მიზნები სრულყოფილად არ ასახავს კონვენციით აღიარებულ მიზნებს, კერძოდ, მასში გამოტოვებულია ისეთი მნიშვნელოვანი მიზნები, როგორიცაა: ადამიანის უფლებათა პატივისცემის ჩამოყალიბება; ტოლერანტობის, თანასწორობის, მშვიდობისა და განსხვავებულისადმი პატივისცემის ჩამოყალიბება და ა.შ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კანონი გადაიხედოს ამ მიმართულებით.

კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ არ მოიცავს ჩანაწერს განათლების მიზნების შესახებ. მნიშვნელოვანია გადაიხედოს ეს კანონი და

[428] პარა. 12
[429] მუხ. 29
[430] ზოგადი კომენტარი #1, განათლების მიზნები: პარა. 17
[431] ზოგადი კომენტარი #1, პარა. 8; ზოგადი კომენტარი # 8, პარა. 32
[432] კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მიღებულია 04.08.2005/ მუხ. 3 (1) https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248

აისახოს მასში სკოლამდელი განათლების მიზნები კონვენციის შესაბამისად. საკანონმდებლო ცვლილებებმა მნიშვნელოვანია ასახოს შემდეგი საკითხები:

- ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელ-პედაგოგებისა და სხვა ძირითადი პერსონალის პროფესიული განვითარების ეროვნული სისტემა, რაც აუცილებელი წინაპირობაა ხარისხიანი განათლების უფლების რეალიზებისთვის;
- კანონით შეზღუდულია ალტერნატიულ და მრავალფეროვან სერვისებზე ხელმისაწვდომობა (რადგან დადგენილია სავალდებულო საათების რაოდენობა და ბაღების მხოლოდ საჯარო და კერძო ორგანიზაციული ფორმა), რაც ნიშნავს რომ იზღუდება კონკრეტული თემის საჭიროებებზე მორგებული (საზოგადოებრივი და საჯარო) საგანმანათლებლო სერვისების შექმნის შესაძლებლობა[433]);
- კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ არ მოიცავს არცერთ ჩანაწერს თამაშისა და მონაწილეობითი უფლებების შესახებ, რომლებიც წარმოადგენს ძირითად ქვაკუთხედს ხარისხიანი, ბავშვზე ორიენტირებული განათლების უზრუნველყოფისთვის ადრეულ ასაკში[434]

კანონი არაფერს ამბობს სახელმწიფოს ვალდებულებებზე განსაკუთრებით მოწყვლადი ბავშვების ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლებით უზრუნველყოფის შესახებ.

ინკლუზიური განათლება

კომიტეტი მოითხოვს სახელმწიფომ შექმნას ყოვლისმომცველი და კოორდინირებული საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩო შესაბამისი სანქციებით. ძირითადი ელემენტებია[435]:

- **ადამიანის უფლებათა** საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა;
- **ინკლუზიის და მისი მიზნების მკაფიო განმარტება,** რომელიც იქნება რეფორმის ნაწილი და არა - დანამატი;
- **ინკლუზიური განათლების მატერიალური უფლება,** როგორც საკანონმდებლო ჩარჩოს ერთ-ერთი ელემენტი, რაც გულისხმობს შეუსაბამო ტერმინების ამოღებას კანონებიდან; გარანტია ყველა მოსწავლისთვის, შეზღუდული შესაძლებლობით და მის გარეშე, ისარგებლონ თანაბარი უფლებით სწავლის ინკლუზიური შესაძლებლობებით, ზოგადი განათლების სისტემაში, ხოლო ინდივიდუალურ მოსწავლეს მიეწოდოს სპეციალური მხარდაჭერის სერვისები;
- **განათლების შესახებ კანონებში ინკლუზია** უნდა აისახოს, როგორც კონკრეტული მიზანი;
- **სკოლების დიზაინი „უნივერსალური დიზაინის“ პრინციპით** და ამავე დროს, უკვე არსებული სკოლების ადაპტაციის გეგმის და დროის გრაფიკის შემუშავება[436];
- **ინკლუზიური განათლების ხარისხობრივი სტანდარტების და მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება;** გონივრული მისადაგების აღიარება და შესაბამისი სანქციების დაწესება შეუსრულებლობისთვის;
- **ადრეული გამოვლენის, შეფასების და მხარდაჭერის ჩარჩო მექანიზმის შექმნა;**
- **ადგილობრივი თვითმმართველობის ვალდებულება** დაგეგმონ და უზრუნველყონ ყველა მოსწავლისთვის, ამით შორის შეზღუდული

[433] ამაზე საუბარი არის კონვეცნიის ზოგად კომენტარში #7, მუხლი 31 (http://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/AdvanceVersions/GeneralComment7Rev1.pdf

[434] (მუხლი 31 და მუხლები 12-17, აგრეთვე ზოგადი კომენტარი 7)

[435] პარა. 62

[436] კომიტეტის ზოგადი კომენტარი #2

შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემო, შესაბამისი ენები, კომუნიკაციის შესაბამისი საშულებები;

- **საკანონმდებლო გარანტიების შექმნა** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლების რეალიზებისთვის მოსმენაზე და მათი მოსაზრებების სათანადოდ გათვალისწინებაზე განათლების სისტემაში, მათ შორის, სკოლის საბჭოების, სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მეშვეობით, ასევე, გადაწყვეტილებების გასაჩივრების კუთხით; პარტნიორული კოორდინაცია ყველა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის, შშმ პირთა და მშობელთა მონაწილეობით. ასევე, სკოლის მიტოვების რისკისა და სავალდებულო განათლების მიღმა მყოფი ბავშვების მონიტორინგისა და ამ ბავშვების შესახებ მონაცემთა ბაზების შექმნისა და ხელმისაწვდომობის შესახებ.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ[437] განმარტავს ინკლუზიური განათლებას, როგორც საგანმანათლებლო მიდგომა, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს დაწესებულებაში ყველა ბავშვისთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებას მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, მიუხედავად ბავშვების ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლებისა[438].

ეს კანონი, აგრეთვე, ადგენს სხვადასხვა უწყებების ვალდებულებებს ინკლუზიური განათლების კუთხით:

- განათლების და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილებებს და ვალდებულებებს, რომლის ფარგლებშიც სამინისტრო ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით ამზადებს საგანმანათლებლო რესურსების სიასა და მეთოდოლოგიურ რესურსებს და უზრუნველყოფს ამ რესურსების მუნიციპალიტეტებისათვის ხელმისაწვდომობას[439];
- მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში, რომელის ფარგლებშიც იზრუნველყოფენ თანაბრად ხელმისაწვდომ და ინკლუზიურ სკოლამდელ აღზრდასა და განათლების მიწოდებას[440];
- დაწესებულებების უფლებებსა და ვალდებულებებს ბავშვებთან და მათ მშობლებთან მიმართებაში: ინკლუზიურ განათლებასთან, ძალადობისგან ბავშვის დაცვასთან, უსაფრთხოებასთან, სანიტარიასა და ჰიგიენასთან დაკავშირებული სტანდარტების შესაბამისად დაწესებულების სტრატეგიის შემუშავებას[441];
- დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების მიწოდებას ბავშვებისთვის, მიუხედავად მათი ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლებისა[442].

[437] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3310237
[438] მუხ. 3 „ლ“
[439] მუხ. 8 „დ“
[440] მუხ. 10 „ბ“
[441] მუხ. 17.2 „გ“
[442] მუხ. 23.1

განხილული ნორმების ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინკლუზიური განათლების განმარტება შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, თუმცა ნორმები გარკვეულო ბუნდობანებას შეიცავს უწყებების უფლებამოსილებასა და ვალდებულებებთან დაკავშირებით. აუცილებელია კანონმა დაადგინოს კოორდინაციის ვალდებულება სკოლამდელ დაწესებულებასა და სხვადასხვა სექტორულ უწყებებს შორის, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლასა და თანამშრომლობას ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, რათა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მაქსიმალურად შეძლოს ბავშვის საჭიროებებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე მორგებული მომსახურების უზრუნველყოფა. კანონმა, აგრეთვე, უნდა ასახოს: ახალი დაწესებულების მშენებლობა განხორციელდეს უნივერსალური დიზაინის პრინციპით; ყველა არსებულმა დაწესებულებამ განახორციელოს გონივრული მისადაგების ვალდებულება; განათლების ხარისხის მონიტორინგის ჩარჩომ გაითვალისწინოს ინკლუზიურობის პრინციპის განხორციელების მონიტორინგი.

კანონი ზოგადი განათლების შესახებ აღიარებს ინკლუზიური განათლების პრინციპს და ინკლუზიურ განათლებას განმარტავს, როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე კი არის პირი, რომელსაც თანატოლებთან შედარებით აქვს **სიძნელე სწავლაში და რომლისთვისაც საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის და პროგრამების შედგენა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისობაში და განხორციელება.** ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრის მიზნით ახორციელებს პირის შეფასებას და მისთვის განათლების საუკეთესო ფორმის შერჩევას[443].

აღნიშნული განმარტება არ შეესაბამება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციას, რადგან ინკლუზიური განათლების პრინციპს განმარტავს ვიწროდ, მხოლოდ **სწავლასთან დაკავშირებული სიძნელის ჭრილში** („პირი, რომელსაც თანატოლებთან შედარებით აქვს სიძნელე სწავლაში“[444]) და არა როგორც თითოეული მოსწავლის ფუნდამენტურ უფლებას მიიღოს მაღალი ხარისხის, მის ასაკთან, ინდივიდუალურ მოთხოვნილებებთან შესაბამისი განათლება. ინკლუზიური განათლება არის განათლების უფლების დამაბრკოლებელი ბარიერების აღმოფხვრის პროცესის შედეგი, რომელიც მოიცავს კულტურულ, პოლიტიკურ და სასკოლო პრაქტიკის ცვლილებებს განათლების პროცესში მოსწავლეთა ეფექტური ჩართვისთვის. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გადაიხედოს ზოგადი კანონში არსებული განმარტება და შესაბამისობაში მოვიდეს ბავშვის უფლებათა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციებთან და შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებთან. განხორციელება;

კანონი პროფესიული განათლების შესახებ[445] და **კანონი უმაღლესი განათლების შესახებ**[446] საერთოდ არ მოიცავს ჩანაწერს ინკლუზიური განათლების შესახებ.

კანონმდებლობით განათლების ყველა საფეხურზე და ეტაპზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინკლუზიურობის პრინციპი. ეს კანონები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს

---

[443] მუხ. 2

[444] ზოგადი განათლების შესახებ კანონი, მუხ. 2 „ჩ[2]“, „უ“

[445] https://matsne.gov.ge/ka/document/view/23608

[446] https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830

საერთაშორისო სტანდარტებთან, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებმა და ახალგაზრდებმა სხვებთან თანაბარ პირობებში შეძლონ განათლების მიღება.

1.1. უნივერსალური დიზაინი და გონივრული მისადაგება

კომიტეტი განმარტავს[447], რომ სახელმწიფომ დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს ისეთი ვალდებულებები, როგორიცაა: დისკრიმინაციის დაუშვებლობა, რისთვისაც აღმოფხვრილი უნდა იყოს ყველა სამართლებრივი და სხვა ბარიერები, რაც ხელს უშლის ინკლუზიურ განათლების უფლებას; გონივრული მისადაგების უზრუნველყოფა, რისი შეუსრულებლობაც წარმოადგენს დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით; სავალდებულო, უფასო ზოგადი ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფა ყველასთვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის.

კანონი ზოგადი განათლების შესახებ ადგენს, რომ სკოლა ვალდებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისთვის დააწესოს შეღავათები მათი სწავლისა და აღზრდისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად[448] და უფლებამოსილია შექმნას პირობები ინკლუზიური სწავლებისათვის[449]. ეს ნიშნავს, რომ კანონი სკოლას არ ავალდებულებს შექმნას ინკლუზიური გარემო „გონივრული მისადაგების“ უზრუნველყოფით.

კანონი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ[450] არ ითვალისწინებს ინკლუზიურობის პრინციპს და უფლებას. ეს კანონი მიუთითებს, რომ:

- განათლების ორგანოები ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებთან ერთად ვალდებული არიან, უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ადრეული და სკოლამდელი აღზრდა და განათლება და სკოლისგარეშე აღზრდა მათთვის ჯეროვანი სარეაბილიტაციო დახმარების გაწევის ხელსაყრელი შესაძლებლობების შექმნის მიზნით, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ საშუალო-სპეციალური და უმაღლესი განათლების მიღება ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად[451].

ეს დებულება უნდა ამოქმედდეს 2017 წლის 1 აპრილიდან, თუმცა შეუსაბამოა კონვენციასთან და საჭიროებს გადახედვას.

- ამავე დროს, ეს კანონი უშვებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ განათლების მიღებას სპეციალურ სასწავლო დაწესებულებებში[452].

სპეციალური დაწესებულებების არსებობა უშვებს სეგრეგაციად და ეწინააღმდეგება ინკლუზიის პრინციპს.

---

[447] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი #4, პარა. 40
[448] მუხ. 33.1 „ზ“
[449] მუხ. 33.2 „გ“
[450] https://matsne.gov.ge/ka/document/view/30316
[451] მუხ. 17.2: დებულება ამოქმედდება 2017 წლის 1 აპრილიდან
[452] მუხ. 18.1

- კანონი ადგენს, რომ „თუ შეუძლებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ზოგად ან სპეციალურ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში აღზრდა და სწავლება, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების სურვილის შესაბამისად, მათი აღზრდა და სწავლება ხდება ოჯახში“[453].

ეს დებულებაც უნდა ამოქმედდეს 2017 წლის 1 აპრილიდან, თუმცა ეწინააღმდეგება ინდივიდის ფუნდამენტურ უფლებას ინკლუზიურ განათლებაზე. ესაა ინდივიდუალურად ბავშვის უფლება და არა მისი მშობლის ან მზრუნველის და სახელმწიფომ ყველა სათანადო ზომა უნდა მიიღოს ამ უფლების განსახორციელებლად და დაუშვებელია ამ ვალდებულებისგან თავის არიდება რესურსების სიმწირის გამო.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი[454] ითვალისწინებს ფინანსურ სანქციებს დასახლებული პუნქტების დაპროექტებისა და განაშენიანების, საცხოვრებელი რაიონების ფორმირების, საპროექტო გადაწყვეტილებების შემუშავების, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გაუთვალისწინებლობისთვის (500-800 ლარი), ხოლო ჯარიმის გამოწერაზე უფლებამოსილი ორგანო შრომის, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა სამინისტრო. **ეს სანქციები მხოლოდ დეკლარაციული ხასიათისაა, რადგან მითითებულია სამინისტრო, თუმცა დადგენილი არაა რომელი კონკრეტული სამსახურია უფლებამოსილი აღასრულოს ეს მექანიზმი.**

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი[455] არ მოიცავს ინკლუზიურობის პრინციპს და მასთან დაკავშირებულ არცერთ ვალდებულებას არ აკისრებს თვითმმართველობის ორგანოებს. მნიშვნელოვანია ეს ჩანაწერი გაკეთდეს როგორც სკოლამდელ განათლებასთან, ასევე, სკოლისგარეშე დაწესებულებებთან მიმართებით (ეს უკანასკნელიც თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს).

- დისციპლინური ღონისძიებების გამოყენება

კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ მიუთითებს, რომ მოსწავლის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების საკითხზე, სკოლის შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში, არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის გამოვლენის ან მის მიმართ დისციპლინური სახდელის საკითხის გადაწყვეტისას „მოსწავლეს უფლება აქვს მშობელთან ერთად წარდგეს“[456].

ეს ნორმა ბავშვს უფლებას აძლევს მშობელთან ერთად წარდგეს, თუმცა არ უთითებს საკითხის განხილვის პროცესში დამოუკიდებლად მონაწილეობის შესახებ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ კანონში მკაფიოდ აისახოს ბავშვის პირდაპირი მონაწილეობის და მისი აზრის მოსმენის შესახებ.

- „ანტისოციალური ქცევის მქონე“ არასრულწლოვანთა გადამისამართება

[453] მუხ. 18.3
[454] მუხ. 178[2] და 239.45
[455] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429
[456] მუხ. 19.6

კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ ითვალისწინებს 12 წლის ასაკს მიღწეულ ანტისოციალური ქცევის მქონე არასრულწლოვანთა გადამისამართებას სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვას ან სხვა ღონისძიებებს გამოყენებას, სხვა სკოლაში გადაყვანას ან სკოლა-პანსიონში გაგზავნას. გადამისამართება ხორციელდება გარკვეული ვადით ***არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესებიდან*** გამომდინარე[457]. სკოლა-პანსიონში გადამისამართების მიზეზი შეიძლება გახდეს 10 წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვნის ისეთი ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის განსაზღვრულ ასაკს მიღწეული პირის მიერ ჩადენის შემთხვევაში დადგებოდა ამ პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი[458].

გადაწყვეტილებას იღებს განათლების სამინისტროსთან არსებული ექსპერტთა ჯგუფი ადმინისტრაციული წარმოების წესით. კანონის თანახმად, სკოლა, მანდატური, არასრულწლოვნის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, პროკურორი, უბნის ინსპექტორი, სოციალური მუშაკი უფლებამოსილია ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინოს მიმართვა არასრულწლოვნის მიმართ გადამისამართების ღონისძიების გამოყენების შესახებ. მიმართვაში აღწერილი უნდა იყოს არასრულწლოვნის ქცევა და მას უნდა დაერთოს შესაბამისი ქცევის დამადასტურებელი დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)[459].

სკოლა-პანსიონში გაგზავნა გამოიყენება, თუ სხვა ღონისძიება საკმარისი არ იქნება არასრულწლოვნის რესოციალიზაციისთვის. თუ ამის შესახებ არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი წერილობით თანხმობას არ აცხადებს, ექსპერტთა ჯგუფი შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს გადაწყვეტილების მისაღებად[460]. ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილება სხვა ღონისძიების გამოყენების, ასევე მშობლების წერილობითი თანხმობით სკოლა-პანსიონში გაგზავნის შესახებ, ***არ ექვემდებარება გასაჩივრებას***[461]. გასათვალისწინებელია, რომ სხვა ღონისძიებები მოიცავს სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვას ან სხვა სკოლაში გადაყვანას[462]. თუმცა ასეთი ღონისძიებების მიწოდების მექანიზმი არ არსებობს ანუ კონკრეტულად არცერთი უწყება არ არის პასუხისმგებელი ამგვარი ღონისძიებების ორგანიზებულად, დადგენილი წესით და სტანდარტით მიწოდებაზე.

განხილული ნორმები მიუთითებს, რომ გადამისამართება ხორციელდება „არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე“, ხოლო ექსპერტთა ჯგუფი „არასრულწლოვანს მოუსმენს მისი ინტერესებიდან გამომდინარე“, თუმცა თუმცა ბუნდოვანს ტოვებს ბავშვის მოსმენის საკითხს და მისთვის ინფორმაციის გასაგებ ენაზე მიწოდების საკითხს. ამავე დროს, კანონი არ მოიცავს გადაწყვეტილებაში საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების დასაბუთების ვალდებულებას.

ბუნდოვანია, აგრეთვე, კანონის დებულება იმის შესახებ, რომ მიმართვის განცხადება უნდა შეიცავდეს ბავშვის „ანტისოციალური ქცევის“ დამადასტურებელ დოკუმენტებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შესაბამისად, გაურკვეველია, თუ როგორ უნდა მოხდეს ამგვარი

[457] მუხ. 48[7].1
[458] მუხ. 48[7].5
[459] მუხ. 48[7].6
[460] მუხ. 48[7].13
[461] მუხ. 48[7].15
[462] მუხ. 48[7].1

ქცევის დოკუმენტირება და იმ ბავშვთა იდენტიფიცირება, რომელთა გადამისამართებაც მნიშვნელოვანია.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი მიუთითებს, პირველ რიგში, კულტურულ-საგანამანათლებლო ღონისძიებების გამოყენებაზე, ასეთი ღონისძიებების მიწოდების მექანიზმი არ არსებობს ანუ კონკრეტულად არცერთი უწყება არ არის პასუხისმგებელი ამგვარი ღონისძიებების ორგანიზებულად, დადგენილი წესით და სტანდარტით მიწოდებაზე.

ამავე დროს, კანონი დამატებით არ ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ბავშვის მოსმენის საპროცესო გარანტიებს მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისი საშუალებებით. ამასთანავე, აღნიშნული ნორმები ზღუდავს ბავშვის უფლებას ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე. კერძოდ: ა) ბავშვის უფლებას დამოუკიდებლად ან წარმომადგენლის მეშვეობით გაასაჩივროს გადამისამართების ღონისძიების შესახებ (მაგ. სხვა სკოლაში გადაყვანა) ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება; ბ) ბავშვის უფლებას დამოუკიდებლად გაასაჩივროს ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილება სკოლა-პანსიონში გაგზავნის შესახებ, თუ არ იზიარებას მშობლის თანხმობას ამ საკითხზე.

ასევე, უნდა აღნიშნოს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საკითხი განიხილება თბილისში, ხოლო სასამართლო წესით ამ საკითხის განმხილველი სასამართლოა თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოები, რაც ქმნის ბარიერს სასამართლოზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით თბილისიდან მოშორებით მცხოვრები ბავშვებისთვის.

რეკომენდებულია საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებისას, მხედველობაში იქნას მიღებული ყველა გამოვლენილი ხარვეზი და შეიქმნას სათანადო სამართლებრივი დაცვის გარანტიები და ბავშვთა მიმართ ადრეული ჩარევის ისეთი მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინებას და ბავშვის უფლებების დაცვას პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისას.

3.4.4. ბავშვის უფლება ჯანმრთელობის დაცვაზე

ბავშვის უფლებათა კონვენცია მოითხოვს, რომ სახელმწიფომ აღიაროს და უზრუნველყოს ბავშვის უფლება ჯანდაცვის მაღალი სტანდარტით სარგებლობაზე, კერძოდ, მიიღოს სათანადო ზომები, რათა უზრუნველყოს: ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება; აუცილებელი სამედიცინო დახმარება ყველა ბავშვისთვის; მშობიარობამდე და მშობიარობის შემდგომი სამედიცინო ზრუნვა დედებისთვის; აღმოფხვრას ავადმყოფობის და ცუდი კვება; წვდომა საკვებსა და წყალზე; ხელმისაწვდომობა განათლებაზე ბავშვთა ჯანმრთელობის, ძუძუთი კვების უპირატესობის, ჰიგიენის და სანიტარიის, უბედური შემთხვევების თავიდან აცილების შესახებ; პრევენციული ჯანდაცვის, ოჯახის დაგეგმარების და სერვისების განვითარება.

ბავშვის უფლებათა კომიტეტი აღნიშნავს, რომ ძუძუთი კვების ხელშეწყობა ჩვილთა სიკვდილიანობის შემცირების ერთ-ერთი ღონისძიებაა[463], ასევე, მოუწოდებს სახელმწიფოებს ჯანმრთელობის დაცვის სერვისის დანერგვას სკოლებში და სათანადო

[463] ზოგადი კომენტარი #15, 2013, პარა. 35 და 44

ღონისძიებების გატარებას ბავშვებს შორის ფსიქო-სოციალური, ემოციური და ფსიქოლოგიური პრობლემების ადრეული გამოვლენისა და მკურნალობისთვის.[464]

ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად:

- სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ჯანმრთელობის დაცვის რეაბილიტაციის სერვისების ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის[465];
- სამკურნალო დაწესებულებებში მოთავსებულ ბავშვებს უფლება აქვთ მათი მკურნალობის პერიოდულ გადახედვაზე[466];
- სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა ზომა, მათ შორის საკანონმდებლო, ნარკოტიკების და ფსიქოტროპული ნივითიერებების გამოყენებისგან ბავშვთა დასაცავად[467];
- უგულებელყოფის, ექსპლუატაციის, ძალადობის, წამების ან სხვა ცუდი მოპყრობის მსხვერპლ ბავშვებს აქვთ უფლება მიიღონ დახმარება ფიზიკური და ფსიქო-სოციალური ინტეგრაციის მიზნით, და აკონკრეტებს, რომ ასეთი დახმარება მათ უნდა მიეწოდოთ ბავშვის ღირსების შესაბამის ჯანსაღ გარემოში[468].

საქართველოს კანონმდებლობა ჯანმრთელობის სფეროსთან დაკავშირებით შედგება შემდეგი კანონებისგან: კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ[469], კანონი პაციენტის უფლებების შესახებ[470], კანონი ფსიქიატრიული ჯანმრთელობის შესახებ[471], საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ, და სხვა კანონები. ქვემოთ მოცემულია კანონების ანალიზი ჯანმრთელობის უფლების თაობაზე კონვენციით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კუთხით.

ბავშვის უფლებათა კონვენციით დადგენილი სტანდარტის თანახმად, სახელმწიფომ თავისი ვალდებულებები უნდა შეასრულოს შემდეგი პროცესის გავლით: დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება[472]. მონიტორინგისთვის მნიშვნელოვანია კარგად სტრუქტურირებული და დისაგრეგირებული ინდიკატორები. საინფორმაციო სისტემის საშუალებით უნდა მოხდეს საიმედო, გამჭვირვალე და სათანადო მონაცემების შეგროვება კონფიდენციალობის დაცვით. მონაცემების ანალიზის შედეგად მიღებულ მიგნებებს უნდა დაეყრდნოს სახელმწიფოს ანგარიშვალდებულების მექანიზმები[473].

კომიტეტი მიუთითებს[474] ეროვნული კანონმდებლობით დასადგენ შემდეგ დამატებით ვალდებულებებზე: ჯანდაცვაზე ბავშვის უფლების შინაარსის განმარტება, პასუხისმგებელ პირთა და უწყებათა კოკნრეტული როლი და ფუნქციები; კონკრეტული მითითება, თუ რომელი სერვისებით შეუძლიათ ისარგებლონ ბავშვებმა, დედებმა და ორსულმა ქალებმა; სერვისებისა და მედიკამენტების ხარისხის რეგულირება.

---

[464] იგივე, პარა. 36 და 38
[465] მუხ. 23
[466] მუხ. 25
[467] მუხ. 33
[468] მუხ. 39
[469] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980
[470] https://matsne.gov.ge/ka/document/view/16978
[471] https://matsne.gov.ge/ka/document/view/24178
[472] ზოგადი კომენტარი 15, პარა. 108.2
[473] იგივე, პარა. 108.3
[474] პაარ. 95

პირველადი ჯანდაცვა

კონვენცია მოითხოვს[475], სახელმწიფომ მიიღოს, მათ შორის, საკანონმდებლო ზომები ბავშვის ჯანმრთელობის უფლების დისკრიმინაციის გარეშე განხორციელებისთვის. ეროვნულმა კანონმა უნდა დაადგინოს ბავშვის უფლება ჯანდაცვაზე შესაბამისი სერვისების, პროგრამების, ადამიანური რესურსის და ინფრასტრუქტურის საშუალებით. კანონმა უნდა დაადგინოს ბავშზე მორგებული, მაღალი ხარისხის ჯანდაცვის სერვისები ორსული ქალებისა და ბავშვებისთვის მათი გადახდისუნარიანობის შემოწმების გარეშე. კანონები უნდა გადაიხედოს დისკრიმინაციული ჩანაწერების გასაუქმებლად. **კომიტეტი მოუწოდებს**[476] სახელმწიფოებს, ჯანდაცვის სექტორში მონაწილე სახელმწიფო უწყებების დიდი რაოდენობის გათვალისწინებით, კანონმდებლობით კონკრეტულად განსაზღვრონ მათი როლი და პასუხისმგებლობები.

საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ[477] მიზნად ისახავს მოსახლეობის ჯანმრთელობის და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვირების ხელშეწყობას; რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელშეწყობა; დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება[478]. კანონი ავალდებულებს სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებს მიაწოდონ ინფორმაცია საქართველოში მცხოვრებ ყველა პირს პროფილაქტიკური აცრის არსის, აუცილებლობის, მოსალოდნელი კლინიკური გამოსავლის, აცრასთან დაკავშირებული რისკის და უარის თქმის შესაძლო შედეგების შესახებ. არასრულწლოვნების შემთხვევაში ეს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მის კანონიერ წარმომადგენელს[479].

კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ აწესრიგებს ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში[480].

კანონის თანახმად[481], **პირველადი ჯანდაცვა** არის ჯანმრთელობის დაცვის სისტემასთან ცალკეული პირისა და ოჯახის პირველი შეხება; უწყვეტი, ყოვლისმომცველი და კოორდინირებული, უპირველესად საოჯახო მედიცინის სისტემაზე დაფუძნებული, საზოგადოების თითოეული წევრისათვის ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება, რომელიც მოიცავს ჯანმრთელობის ხელშეწყობის, დაავადებების პრევენციის, ფართოდ გავრცელებული დაავადებების სამკურნალო და სარეაბილიტაციო ღონისძიებებს, მათ შორის, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე ზრუნვას, ოჯახის დაგეგმვას, პალიატიურ მზრუნველობას, აუცილებელი მედიკამენტებით ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

პირველადი ჯანდაცვის სფეროში, ეს კანონი ადგენს[482], რომ:

---

[475] იგივე, პარა. 94
[476] პარა. 97
[477] https://matsne.gov.ge/ka/document/view/21784
[478] მუხ. 1
[479] მუხ. 8.1
[480] მუხ. 1
[481] მუხ. 3 „ტ“
[482] თავი XIII

- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ვალდებულებები აისახება შესაბამის სახელმწიფო და ადგილობრივ პროგრამებში[483];
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის იქმნება ქალაქებისა და რაიონების საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურები, რომელთა მეთოდურ ხელმძღვანელობას ახორციელებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო[484];

მოქალაქესა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს უფლება აქვთ:

- დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლონ დადგენილი წესით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სამედიცინო დახმარებით. დაუშვებელია პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პაციენტის დისკრიმინაცია სამედიცინო დახმარების გაწევისას;[485]
- საქართველოს ყველა მოქალაქეს უფლება აქვს მისთვის გასაგები ფორმით მიიღოს ამომწურავი და ობიექტური ინფორმაცია, აგრეთვე, მოიძიოს მეორე აზრი საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ[486].

უსაფრთხო დედობის და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის თაობაზე, კანონი ადგენს[487] :

- სახელმწიფო უზრუნველყოფს უსაფრთხო დედობას, საწარმოებსა და დაწესებულებებში ბავშვთა მოვლისათვის საჭირო პირობების შექმნის და დაფინანსების საკანონმდებლო უზრუნველყოფას, დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვის აუცილებლობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას[488];
- სახელმწიფო უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარებას ობოლი და მშობლების ზრუნვას მოკლებული, ფიზიკური და ფსიქიკური დეფექტების მქონე ბავშვებისათვის განკუთვნილ დაწესებულებებში[489] (ტერმინი „დეფექტების მქონე“ უნდა შეიცვალოს ტერმინით „ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე“);
- სახელმწიფო ხელს უწყობს ახალშობილების, ჩვილი და სხვა ასაკის ბავშვების უსაფრთხო და ადეკვატური საკვებით უზრუველყოფას, ბუნებრივი კვების მხარდაჭერას და ქალის რძის შემცვლელების მარკეტინგის საერთაშორისო კოდექსის დაცვას[490].

კანონი პაციენტის უფლებების შესახებ ამ კანონის მიზანია მოქალაქის უფლებების დაცვა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, აგრეთვე მისი პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა[491]. ამ კანონით აღიარებულია, რომ თითოეულ მოქალაქეს აქვს უფლება მიიღოს ქვეყანაში აღიარებული და დანერგილი სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება[492] დისკრიმინაციის გარეშე[493]. ეს კანონი, ასევე, აღიარებს, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ან მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებას

[483] მუხ. 85[1]
[484] მუხ. 85[2]
[485] მუხ. 5, 6
[486] მუხ. 7
[487] თავი XXII
[488] მუხ. 132 (1)
[489] მუხ. 135
[490] მუხ. 133.2
[491] მუხ. 1
[492] მუხ. 5
[493] მუხ. 6

ჯანდაცვაზე საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნისას, საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად[494].

პაციენტს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს[495]: კომპენსაცია მიყენებული ზიანისთვის; სამედიცინო პერსონალის საქმიანობის ლიცენზიის შეჩერება ან გაუქმება; სახელმწიფო სამედიცინო და სანიტარული სტანდარტების შეცვლა.

კანონის თანახმად, არასრულწლოვნის ხელმისაწვდომობა სამედიცინო მომსახურებაზე ხროციელდება სამედიცინო პროგრამების საშუალებით[496]; არასრულწლოვან პაციენტს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის და მკურნალობის შესახებ[497]; მელოგინე ქალს უფლება აქვს გვერდით ყავდეს ახალშობილი და კვებოს საკუთარი შეხედულებისამებრ[498].

განხილული კანონმდებლობის ნორმები პირველად ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის შესახებ ძირითადად ზოგადი ხასიათისაა და არ მოიცავს მკაფიო, კონკრეტულ დებულებებს. განხილული კანონმდებლობის ძირითადი შეუსაბამობები კონვენციასთან მიმართებაში, შემდეგია:

- კანონი არ მოიცავს პირდაპირ და მკაფიო ჩანაწერს ბავშვის და ორსული ქალის უფლებაზე პირველადი ჯანდაცვის სერვისების უზრუნველყოფის შესახებ შესაბამისი სერვისების, პროგრამების, ხარისხის კრიტერიუმების მითითებით კონვენციის თანახმად, სახელმწიფოს ვალდებულებები ამ სფეროში უნდა აისახოს კანონმდებლობით და საკმარისი არაა პროგრამებზე მითითება;
- კანონი არ მოიცავს პირდაპირ და მკაფიო ჩანაწერს მშობლის მზრუნველობას მოკლებული და ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსებული ბავშვების ჯანმრთელობის უფლების უზრუნველყოფის შესახებ, კერძოდ, თუ რა იგულისხმება სამედიცინო დახმარებაში (მხოლოდ გადაუდებელი თუ უწყვეტი) და კონკრეტულად რომელი უწყებაა პასუხისმგებელი;
- კანონი არ მოიცავს ჩანაწერს სახელმწიფომ უზრუნველყოს ექსპლუატაციის, ძალადობის, წამების ან სხვა ცუდი მოპყრობის მსხვერპლ ბავშვებთა უფლება სათანადო სამედიცინო და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სერვისებზე;
- კანონი არ ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას დანერგოს ჯანმრთელობის დაცვის სერვისი სკოლებში ბავშვებში ფსიქო-სოციალური, ემოციური და ფსიქოლოგიური პრობლემების ადრეული გამოვლენისა და მკურნალობისთვის.

მშობიარობამდე და მშობიარობის შემდგომი ჯანდაცვა და ბავშვთა სიკვდილიანობა

კომიტეტი მოუწოდებს[499] სახელმწიფო აღიაროს და უზრუნველყოს მშობიარობამდე და მშობიარობის შემდგომი სამედიცინო ზრუნვა დედებისთვის; სოციალური დაცვის სისტემის მიერ გაითვალისწინების, საყოველთაო დაფარვის ან ფინანსური დახმარების საშუალებით, წვდომა ზრუნვაზე, ანაზღაურებად დეკრეტზე და სხვა სოციალურ შეღავათებზე. კანონმდებლობამ უნდა აკრძალოს დედის რძის შემცვლელი პროდუქტების არასათანადო მარკეტინგი და რეკლამირება.

[494] მუხ. 9
[495] მუხ. 10
[496] მუხ. 39
[497] მუხ. 43
[498] მუხ. 38
[499] ზოგადი კომენტარი 15. პარა. 55

▪ ორსულ და მეძუძურ ქალთა სამედიცინო დახმარება

კანონი პაციენტის უფლებების შესახებ ადგენს:

- ორსულს და მეძუძურ დედას უფლება აქვთ სამედიცინო მომსახურების გამწევისაგან მიიღონ სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია ორსულობის, მშობიარობის ან ლოგინობის პერიოდში დაგეგმილი ნებისმიერი სამედიცინო ჩარევის შემთხვევაში ნაყოფზე ან ახალშობილზე შესაძლო პირდაპირი ან ირიბი მავნე ზემოქმედების შესახებ[500];
- მშობიარეს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის და ნაყოფისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის შესახებ[501];
- მელოგინე ქალს უფლება აქვს გვერდით იყოლიოს ახალშობილი, თუ სამედიცინო მომსახურების გამწევი, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით მის სხვაგან გადაყვანას არ გადაწყვეტს, აგრეთვე საკუთარი შეხედულებისამებრ კვებოს ახალშობილი[502].

კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ ადგენს:

- სახელმწიფო ხელს უწყობს უსაფრთხო დედობას, საწარმოებსა და დაწესებულებებში ბავშვთა მოვლისათვის საჭირო პირობების შექმნის და დაფინანსების საკანონმდებლო უზრუნველყოფას, დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვის აუცილებლობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას[503];
- ორსული ქალის სამედიცინო მეთვალყურეობა, მშობიარობისა და მშობიარობისშემდგომი სამედიცინო დახმარება უზრუნველყოფილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად[504].

განხილული კანონები ორსულ და მეძუძურ ქალთა უფლებების კუთხით აღიარებს მხოლოდ უფლებას ინფორმაციაზე, სამედიცინო მომსახურების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე და ახალშობილის კვებაზე. რაც შეეხება მშობიარობამდე და მშობიარობის შემდგომ სამედიცინო დახმარებას, კანონი ადგენს, რომ ეს „უზრუნველყოფილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“, თუმცა არ მიუთითებს რომელიმე კანონზე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გადაიხედოს განხილული კანონები კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

<u>შრომითი უფლებები და დაცვის გარანტიები</u>

კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ ადგენს:

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო განსაზღვრავს შრომითი საქმიანობის იმ სახეების ჩამონათვალს, რომლითაც არ შეიძლება იყოს დაკავებული ორსული ქალი და მეძუძური დედა, აგრეთვე შრომითი საქმიანობის შეწყვეტის ვადებს მშობიარობამდე და მშობიარობის შემდეგ[505].

შრომის კოდექსი[506] ადგენს:

---

[500] მუხ. 35
[501] მუხ. 36.1
[502] მუხ. 38
[503] მუხ.132
[504] მუხ. 132
[505] მუხ. 131.1
[506] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567

- აკრძალულია ორსული ან ახალნამშობიარები ქალის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, არასრულწლოვნის ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება მისი თანხმობის გარეშე[507];
- აკრძალულია ღამის სამუშაოზე (22 საათიდან 6 საათამდე) არასრულწლოვნის, ორსული, ახალნამშობიარები ან მეძუძური ქალის დასაქმება, ხოლო 3 წლამდე ასაკის ბავშვის მომვლელის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დასაქმება – მისი თანხმობის გარეშე[508];
- ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან ანაზღაურებადია 183 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 200 კალენდარული დღე[509];
- ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება ანაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო ანაზღაურებადი შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობაა არაუმეტეს 1000 ლარისა[510];
- აკრძალულია არასრულწლოვანთან, ასევე ორსულ ან მეძუძურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად[511];
- დამსაქმებელს არა აქვს უფლება სამსახურიდან გაათავისუფლოს ორსული ქალი შვებულების პერიოდში ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც: შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლა; ხელშეკრულებით დაკისრებული სამუშაოს შესრულება, მხარეთა შეთანხმება; დასაქმებულის მიერ ინდივიდუალური ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა; დისციპლინური დარღვევის განმეორებით ჩადენა ბოლო 1 წლის პერიოდში; სასამართლო გაადწყვეტილება, დამსაქმებელი ფიზიკური პირის გადაცვალება[512].

განხილული კანონები გვთავაზობს ორსულ და მეძუძურ ქალთა შრომითი უფლებების დაცვის გარკვეულ გარანტიებს, როგორიცაა: აკრძალვა ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება თანხმობის გარეშე; ღამის საათებში, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოზე დასაქმების აკრძალვა; ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება 183 დღით; ერთჯერადად 1000 ლარის დახმარება.

კანონი, ასევე, კრძალავს სამსახურიდან განთავისუფლებას ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულების პერიოდში, თუმცა უშვებს გამონაკლისებს, როდესაც ეს აკრძალვა არ მოქმედებს. ეს გამონაკლისები მოიცავს დეკრეტული შვებულების პერიოდში ისეთი მიზეზებით სამსახურიდან გათავისუფლების დაშვებას, როგორიცაა: ხელშეკრულებით ან/და შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა, შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება. აღნიშნული გამონაკლისები ძალიან ფართო სივრცეს ტოვებს ორსული და მეძუძური ქალების შრომითი უფლებების დარღვევისთვის, მით უფრო იმ

[507] მუხ. 17.2
[508] მუხ.18
[509] მუხ. 27.2
[510] მუხ. 29
[511] მუხ.4.5
[512] მუხ. 37. 2 „გ“

პირობებში, როდესაც კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის ბავშვთა და ორსულ ან მეძუძურ ქალთა შრომითი უფლებების დაცვის და უსაფრთხო შრომის პირობების მონიტორინგის მექანიზმი.

ასევე ბუნდოვანია მითითება უსაფრთხო დედობის და შრომის ადგილებში ბავშვთა მოვლისთვის საჭირო პირობების შექმნის საკანონმდებლო უზრუნველყოფის შესახებ, რადგან არც აქ კეთდება მითითება რაიმე კონკრეტულ საკანომდებლო აქტზე.

ოჯახის დაგეგმვა და რეპროდუქციული ჯანმრთელობა

საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ[513] მიზნად ისახავს მოსახლეობის ჯანმრთელობის და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვირების ხელშეწყობას; რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელშეწყობა; დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება[514].

კანონი ადგენს, რომ შრომის, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა სამინისტრო განსაზღვრავს დედათა, ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის პოლიტიკას, რეპროდუქციული ჯანმრთელობის პოლიტიკას და სხვა სამინისტროებთან ერთად უზრუნველყოფს ბავშვთა ოპტიმალური განვითარებისთვის ხელისშემწყობ გარემოს[515].

კანონმდებლობა არ მოიცავს სხვა რაიმე კონკრეტულ ღონისძიებებს ოჯახის დაგეგმვისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელშეწყობის შესახებ. მითითებულია ჯანმრთელობის და სოციალური საკითხთა სამინისტროს როლი პოლიტიკის შემუშავებისთვის, თუმცა დადგენილი არ არის კონკრეტული უწყება და მიმართულებები ამ კუთხით. მნიშვნელოვანია კანონმდებლობამ მოაწესრიგოს ეს საკითხი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა წვდომა ჯანდაცვაზე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის 26-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ყოვლისმომცველი სააბილიტაციო და სარეაბილიტაციო მომსახურების და პროგრამების ორგანიზება, განმტკიცება და გაფართოება, მათ შორის, ჯანდაცვის სერვისები. ეს პროგრამები უნდა დაიწყოს რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე და უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალური საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების მულტიდისციპლინარულ შეფასებას.

ბავშვის უფლებათა კომიტეტის თანახმად[516], ჯანდაცვის პოლიტიკა უნდა იყოს ყოვლისმომცველი და უზრუნველყოფდეს შეზღუდული შესაძლებლობის ადრეულ გამოვლენას, ადრეულ ინტერვენციას, მათ შორის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ მკურნალობას, რეაბილიტაციას, ფიზიკური დამხმარე საშუალებების, მაგალითად კიდურის პროთეზის, მობილობის მოწყობილობების, სმენის და მხედველობის აპარატების მიწოდების ჩათვლით. მომსახურება უნდა მიეწოდებოდეს, როგორც თემში, ასევე სახლში და ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. გარდა ამისა, კავშირები უნდა დამყარდეს ადრეული ინტერვენციის სამსახურებს, სკოლამდელ

[513] https://matsne.gov.ge/ka/document/view/21784
[514] მუხ. 1
[515] მუხ. 28
[516] ბავშვთა უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი 9 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან მიმართებაში, 27.02.2007

დაწესებულებებსა და სკოლებს შორის, რათა ხელი შეეწყოს ბავშვის შეუფერხებელ განვითარებას.

კანონი „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“[517] განმარტავს, რომ **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი** არის პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში[518]. კანონი ადგენს, რომ 18 წლის ასაკის მიღწევამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს უდგინდება კატეგორია – „შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი“შესაბამისი წესით[519].

ეს კანონი ადგენს, რომ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა არის დისციპლინათაშორისი საქმიანობის სფერო და მოიცავს სამედიცინო–ბიოლოგიურ, სოციოლოგიურ, სოციალურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ და სხვა ასპექტებს. მისი ძირითადი ამოცანაა ადამიანის ქმედობაუნარიანობის შეზღუდვის ხარისხის განსაზღვრა და აქედან გამომდინარე შესაძლებლობის შეზღუდვის გამომწვევი მიზეზის, გადამოწმების ვადისა და მომდინარეობის დროის დადგენა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის სხვადასხვა სახის განსაზღვრა[520].

კანონი ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ[521] ადგენს, რომ ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზა არის დისციპლინათაშორისი საქმიანობა, რომელიც მოიცავს სამედიცინო-ფსიქიატრიული, ფუნქციური, ფსიქოლოგიური, სოციალური ადაპტაციის და სხვა ასპექტების შეფასებას. მისი ძირითადი ამოცანაა პირის გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევის ხარისხის დადგენა, მისი სოციალური ადაპტაციის შეფასება და, აქედან გამომდინარე, პირის მხარდაჭერის თავისებურებების განსაზღვრა[522].

სამოქალაქო კოდექსი განმარტავს, რომ ქმედუნარიანად ითვლება 18 წელს მიღწეული ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი (იგივე მხარდაჭერის მიმღები) ანუ პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში, ამასთანავე, აღნიშნული დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში[523].

---

[517] კანონი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ, მიღებულია 07/12/2001, ბოლო ცვლილება 13.03.2014 https://matsne.gov.ge/ka/document/view/15772
[518] მუხ. 3 „ბ“
[519] მუხ. 10
[520] მუხ. 4
[521] კანონი ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ, მიღებულია 20/03/2015, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2788241
[522] მუხ.4
[523] მუხ. 12.4

კოდექსის თანახმად, მხარდაჭერის მიმღებად სასამართლომ შეიძლება ცნოს აგრეთვე არასრულწლოვანი იმ ფარგლებში, რომლებშიც, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მას თავისი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა არ სჭირდება[524] (მონაწილეობის უფლება, ჯანმრთელობის საკითხებზე მშობლის ინფორმირების გარეშე კონსულტაციისა და სამედიცინო მომსახურების მიღება, ინკლუზიური განათლების უფლება, უფლებების დასაცავად სამართლებრივი დაცვის საშუალებებით სარგებლობა, ა.შ).

კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ ადგენს, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ დაცვას და უქმნის მათ საჭირო პირობებს ინდივიდუალური განვითარების, შემოქმედებითი და საწარმოო შესაძლებლობების რეალიზაციისათვის. სახელმწიფო ამ კატეგორიის ბავშვებს უწესებს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალიზაციის დამატებით გარანტიებს[525].

კანონები ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, პაციენტის უფლებების შესახებ, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ არ ითვალისწინებს რაიმე დებულებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ჯანმრთელობის უფლების და განსაკუთრებული საჭიროებების შესაბამისი სერვისების შესახებ (ჯანდაცვის სპეციალური ღონისძიებები, ადრეული იდენტიფიკაცია, აბილიტაცია, რეაბილიტაცია).

როგორც ვხედავთ, მითითებული კანონების თანახმად, ბავშვის შეფასებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული არა მხოლოდ სამედიცინო დიაგნოზი, არამედ ფსიქო-სოციალური ფაქტორები, რაც ძირითადად შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან. მიუხედავად ამისა, კანონები ძირითადად ატარებს დეკლარაციულ ხასიათს და არ მოიცავს კონკრეტულ ღონისძიებებს ბავშვის მულტიდისციპლინური შეფასების და მისთვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მხარდაჭერის ფორმების შერჩევის მიზნით.

ჯანდაცვის სისტემა მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ოჯახების მიერ წარმოდგენილ ინდივიდუალურ განაცხადზე რეაგირების რეჟიმში და გამოყოფს ფინანსურ ან სხვა სახის დახმარებას შეზღუდული სახელმწიფო რესურსების ფარგლებში. სისტემა არ ითვალისწინებს საიდენტიფიკაციო და ადრეული ინტერვენციის ზომებს, რომ ადრეულ ასაკში დაეხმაროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს და მათ ოჯახებს გაუმკლავდნენ სტრესს და უზრუნველყონ მათი შვილების სათანადო, ინფორმირებული მოვლა[526].

როგორც ანალიზიდან ჩანს, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის ადრეულ გამოვლენას, ადრეულ ინტერვენციას, მათ შორის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ მკურნალობას, რეაბილიტაციას, ასევე, მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას თემში, სახლში და კოორდინირებულ თანამშრომლობას ადრეული ინტერვენციის სამსახურებს, სკოლამდელ დაწესებულებებსა და სკოლებს შორის.

შესაბამისად, რეკომენდებულია განხილული კანონების გადასინჯვა მოხდეს ამ ხარვეზების აღმოფხვრის და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

კვება

[524] მუხ. 12.5

[525] მუხ. 3

[526] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები საქართველოში, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2015 http://unicef.ge/uploads/UNICEF_CRPD_GEO_edit.pdf

ბავშვის უფლებათა კონვენციის 24-ე მუხლის თანახმად, თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საზოგადოების ყველა სეგმენტის, განსაკუთრებით, მშობლებისა და ბავშვების, მხარდაჭერა, რათა მათ მიიღონ შესაბამისი ცოდნა ბავშვის ჯანმრთელობის, ჯანსაღი კვების და ძუძუთი კვების უპირატესობის შესახებ.

ბავშვის უფლებათა კომიტეტი აღნიშნავს, რომ ძუძუთი კვების ხელშეწყობა ჩვილთა სიკვდილიანობის შემცირების ერთ-ერთი ღონისძიებაა[527].

კვლევები[528] ცხადყოფს, რომ ბავშვებში, რომლებიც იკვებებიან დედის რძით, ნაკლებია ინფექციური დაავადებები, სიკვდილიანობა, სტომატოლოგიური პრობლემები და ხასიათდებიან უფრო მაღალი ინტელექტით იმ ბავშვებთან შედარებით, რომლებიც მცირე ხნით ან საერთოდ არ იკვებებოდნენ დედის რძით. მშობლებსა და სხვა მზრუნველებს, ყოველგვარი კომერციული გავლენების გარეშე, უნდა მიუწვდებოდეთ ხელი ობიექტურ, სრულყოფილ და თანმიმდევრულ ინფორმაციაზე ბავშვთა ჯანსაღი კვების შესახებ[529].

საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ[530] მიზნად ისახავს მოსახლეობის ჯანმრთელობის და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვირების ხელშეწყობას; რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელშეწყობა; დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება[531]. კანონი მიუთითებს, რომ სამინისტრო ადგენს ბავშვთა (მათ შორის, ჩვილ ბავშვთა), ფორტიფიცირებული და სპეციალური მოხმარების (დიეტური, დიაბეტური) საკვები პროდუქტების უსაფრთხოების ნორმებს[532].

საქართველოს კანონი „ბავშვთა ბუნებრივი კვების დაცვისა და ხელშეწყობის, ხელოვნური საკვების მოხმარების შესახებ“ მიზნად ისახავს ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვას ბუნებრივი კვების პრაქტიკის ხელშეწყობის, დაცვისა და წახალისების, აგრეთვე, ჩვილ ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტების, საწოვრიანი ბოთლების, საწოვრებისა და სატყუარების გავრცელების რეგულირების გზით. კანონი კრძალავს ხელოვნური კვების პროდუქტების უფასოდ ან ფასდაკლებით მიწოდებას სამედიცინო დაწესებულებების, ორსული ქალების და ჩვილ ბავშვთა დედების და მათი ოჯახებისთვის.

კანონის თანახმად[533]**,** შრომის, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა სამინისტრომ უნდა შექმნას ბავშვთა ბუნებრივი კვების დაცვისა და ხელშეწყობის, ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტების კონტროლის ეროვნული სამეთვალყურეო საბჭო. საბჭომ უნდა მოამზადოს რეკომენდაციები ბუნებრივი კვების დაცვისა სახელმწიფო პოლიტიკის განსახორციელებლად, უზრუნველყოს მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება. ამასთანავე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს ჯარიმას ამ კანონის მოთხოვნების დარღვევისთვის.

---

[527] ზოგადი კომენტარი #15, 2013, პარა. 35 და 44

[528] The Lancet "ბუნებრივი კვება 21-ე საუკუნეში: ეპიდემიოლოგია, მექანიზმები და გამოწვევები", 28/01/2016

[529] გაეროს რეზოლუცია ჩვილ ბავშვთა და მოზრდილ ბავშვთა კვება, რომელიც მოიცავს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და იუნისეფის გლობალურ სტრატეგიას ბავშვთა კვების შესახებ / 2003 წ.

[530] https://matsne.gov.ge/ka/document/view/21784

[531] მუხ. 1

[532] მუხ. 27.4

[533] თავი III

თუმცა, მიუხედავად კანონის არსებობისა, დღემდე არ ფუნქციონირებს მისი აღსრულების მონიტორინგის და კანონის დარღვევის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების ამოქმედებაზე უფლებამოსილი ორგანო. კანონები არ ითვალისწინებს ინფორმაციის ეფექტური გავრცელების მექანიზმებს ბავშვთა ჯანმრთელობის, ჯანსაღი კვების და ძუძუთი კვების უპირატესობის შესახებ.

- ## განათლება ჯანმრთელობის შესახებ

კომიტეტი მოუწოდებს[534] სახელმწიფოს გაატაროს შეიმუშავოს შესაბამისი სტრატეგია და ზომები, მათ შორის, საკანონმდებლო ღონისძიებები ბავშვების საფრთხისგან დასაცავად, როგორიცაა დახრჩობა, დამწვრობა და სხვა უბედური შემთხვევები.

კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ ადგენს[535]**,** რომ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სახელმწიფო მხარს უჭერს თამბაქოს წევის და ალკოჰოლის ნაწარმის ჭარბი გამოყენების საპროფილაქტიკო ღონისძიებებს და ქმნის მათი განხორციელების მექანიზმებს. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თამბაქოს მოწევა და მცირეწლოვანთათვის თამბაქოსა და ალკოჰოლური ნაწარმის მიყიდვა წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით.

- ## ფსიქიატრიული ჯანმრთელობა

ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად:

- სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ჯანმრთელობის დაცვის რეაბილიტაციის სერვისების ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის[536];
- სამკურნალო დაწესებულებებში მოთავსებულ ბავშვებს უფლება აქვთ მათი მკურნალობის პერიოდულ გადახედვაზე[537]

კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ დადგენილი შემდეგი ნორმები ეხება ბავშვებს:

- ***<u>16 წლამდე ბავშვის ფსიქიატრიული დახმარება, მათ შორის, მკურნალობა, დასაშვებია მისი კანონიერი წარმომადგენლის თხოვნის ან/და ინფორმირებული თანხმობის</u>*** საფუძველზე (აუცილებელია გადაწყვეტილების მიღების პროცესში პაციენტის ***<u>მონაწილეობა მისი ასაკისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის</u>*** მდგომარეობის გათვალისწინებით)[538].
- ***<u>აქტიური ბიოლოგიური მეთოდებით (შოკური, კრუნჩხვითი და სხვა)</u>*** მკურნალობა დასაშვებია კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობით, მხოლოდ ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის გადაწყვეტილებით[539].
- ***<u>ექიმ-ფსიქიატრს უფლება აქვს სტაციონარში მყოფი პაციენტის მიმართ გამოიყენოს ფიზიკური შეზღუდვის მეთოდები,</u>*** თუ არსებობს პაციენტის მიერ საკუთარი თავს ან

[534] ზოგადი კომენტარი #15, პარა. 63
[535] მუხ. 86
[536] მუხ. 23
[537] მუხ. 25
[538] მუხ. 10
[539] მუხ. 8.2

სხვისი დაზიანების საფრთხე და ამ საფრთხის აცილება სხვაგვარად შეუძლებელია. ფიზიკური შეზღუდვა მოიცავს სპეციალიზებულ პალატაში იზოლაციას ან/და ფიზიკურ შებოჭვას[540];

- აკრძალულია პაციენტის დასჯის ან დაშინების მიზნით ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების ან მედიკამენტების გამოყენება. ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების შესახებ ***გადაწყვეტილებას იღებს მკურნალი ექიმი ან სტაციონარის მორიგე ექიმი,*** რომლის დასაბუთებაც ფიქსირდება სამედიცინო დოკუმენტაციაში[541].
- ამ მეთოდების გამოყენების მიზანშეწონილობის სასამართლოში გასაჩივრება შეუძლია კანონიერ წარმომადგენელს ან ნათესავს[542].

კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ

არანებაყოფლობით სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება ტარდება, როდესაც პირს ფსიქიკური აშლილობის გამო არ გააჩნია გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი და მისი დახმარება შეუძლებელია სტაციონარში განთავსების გარეშე. ასევე იმ შემთხვევებში, თუ საფრთხე ექმნება პაციენტის ან სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან პაციენტმა საკუთარი მოქმედებით შეიძლება მიიღოს ან სხვას მიაყენოს მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი[543].

ასეთი დახმარების ჩვენების დროს არაა საჭირო პაციენტის თანხმობა და გადაწყვეტილებას სტაციონარში მოთავსების შესახებ იღებს შესაბამისი სერტიფიკატის მქონე ექიმი. სტაციონარში მოთავსებიდან 48 საათში ექიმ-ფსიქიატრთა კომისია შეისწავლის საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას ხმათა უმრავლესობით. პაციენტის მონაწილეობაზე არაფერია აღნიშნული. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ფსიქიატრთა კომისია 48 საათში მიმართავს სასამართლოს პაციენტის სტაციონარში მოთავსების შესახებ ბრძანების გამოსაცემად. სასამართლო 24 საათში იღებს გადაწყვეტილებას. განხილვაში პაციენტის მონაწილეობა აუცილებელია. პაციენტის ინტერესებს სასამართლოში წარმოადგენს მისი კანონიერი წარმომადგენელი, ხოლო ასეთის არაარსებობისას ნათესავი და ადვოკატი, რომელიც ენიშნება სახაზინო წესით საჭიროებისამებრ. პაციენტს დახმარება გაეწევა 6 თვით, თუმცა ფსიქიატრთა კომისიას შეუძლია შეუზღუდავად მიმართოს სასამართლოს ამ ვადის გასაგრძელებლად საჭიროების ამოწურვამდე[544].

სასამართლოს გადაწყვეტილება პაციენტი სტაციონარში მოთავსების ან ვადის გაგრძელების შესახებ შეუძლია გაასაჩივროს პაციენტმა, მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა, ნათესავმა, ასევე ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციამ[545].

ეს კანონი შეიცავს ისეთ პრობლემატურ ხარვეზებს, რომლებიც ქმნის სივრცეს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული კურნალობის დროს ბავშვის უფლებების დარღვევის რისკებს, კერძოდ:

- **ექიმ-ფსიაიატრთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისას პაციენტის სტაციონარში განთავსების, ასევე ვადის გაგრძელების შესახებ პაციენტის მონაწილეობა არ არის აუცილებელი;**
- **პაციენტის მონაწილეობა აუცილებელია სასამართლოში საკითხის განხილვის დროს, თუმცა ნორმა არ გვაწვდის მისი მონაწილეობის კონკრეტულ გარანტიებს, როგორიცაა**

[540] მუხ. 16.1-2
[541] მუხ. 16.5
[542] მუხ. 16.6
[543] მუხ. 18.1
[544]მუხ. 18. 1-13
[545] მუხ. 18 (14)

მისი აზრის მოსმენის და სათანადოდ გათვალისწინების წესი კომუნიკაციისა და მხარდაჭერის შესაბამისი საშუალებების გამოყენებით. აგრეთვე, არაფერია ნათქვამი სასამართლოს მიერ სხვა ექპერტების და სპეციალისტების ჩართვის შესაძლებლობაზე ალტერნატიული მოსაზრების მოსასმენად მულტიდისციპლინური მიდგომის გამოყენებით;

- პაციენტის წარმომადგენლობის საკითხი პრობლემურია, რადგან კანონი უშვებს „ნათესავის“ თანხმობას, რაც პირთა ძალიან ფართო წრეს მოიცავს და გარანტირებული არ არის ასეთი წარმომადგენლობის განხორციელებისას ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების და მოსმენის უფლების დაცვა;
- პაციენტს დახმარება გაეწევა 6 თვით, თუმცა ფსიქიატრთა კომისიას შეუძლია შეუზღუდავად მიმართოს სასამართლოს ამ ვადის გასაგრძელებლად საჭიროების ამოწურვამდე. ეს ჩანაწერი პაციენტის არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის საკითხზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას ანიჭებს ფაქტობრივად ფსიქიატრთა კომისიას და არ ასახელებს სხვა დამოუკიდებელ უწყებას, რომელიც განახორციელებს ზედამხედველობას და მკურნალობის პერიოდულ გადასიჯვას.

თანხმობა და კონფიდენციალობა

კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოს შექმნას შესაბამისი კანონმდებლობა ან რეგულაცია, რათა უზრუნველყოს ბავშვთა ხელმისაწვდომობა კონფიდენციალურ სამედიცინო კონსულტაციაზე მშობლის თანხმობის გარეშე, ასაკის მიუხედავად, როდესაც ეს საჭიროა მისი უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის. ბავშვებს ასეთი შეუზღუდავი ხელმისაწდომობა შესაძლოა დასჭირდეთ, მაგალითად, ოჯახში ძალადობის დროს ან რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის ან სერვისის საჭიროებისას, ან ბავშვსა და მის მშობელს შორის სამედიცინო სერვისზე შეუთანხმებლობის დროს. სამედიცინო კონსულტაციის მიღების უფლება განსხვავდება სამედიცინო თანხმობის მიცემის უფლებისგან და არ უნდა ექვემდებარებოდეს ასაკობრივ შეზღუდვას. რაც შეეხება სამედიცინო თანხმობის მიცემის უფლებას, კომიტეტი მიესალმება კონკრეტული ასაკის დადგენას, როდესაც ბავშვს შეუძლია ასეთი თანხმობა დამოუკიდებლად გასცეს, თუმცა კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოებს უზრუნველყონ უფრო დაბალი ასაკის ბავშვისთვის ამ უფლების რეალიზება, როდესაც მას აქვს უნარი გამოხატოს საკუთარი ინფორმირებული მოსაზრება მისი მკურნალობის შესახებ, რასაც სათანადო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. ექიმებმა და სამედიცინო დაწესებულებებმა ბავშვებს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია თავიანთი უფლებების შესახებ პედიატრიულ კვლევებსა და კლინიკური ექსპერიმენტებში მონაწილეობის შესახებ. ბავშვის უნდა იყოს ინფორმირებული, რათა მისგან შესაძლებელი გახდეს ინფორმირებული თანხმობის მიღება ყველა უფლების დაცვით[546].

კვლევები ბავშვთა მონაწილეობით

მართალია, ბავშვის უფლებათა კონვენცია პირდაპირ ჩანაწერს არ მოიცავს კვლევებში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ, თუმცა კომიტეტი ზოგად კომენტარში[547] მიუთითებს, რომ „კვლევის ჩატარებისას დაცული უნდა იყოს ბავშვის უფლებათა კონვენციის და „ადამიანთა მონაწილეობით ჩატარებული ბიო-სამედიცინო კველევის საერთაშორისო სტანდარტების“ პრინციპები და მოთხოვნები“.

[546] ზოგადი კომენტარი #12, პარა. 98-104, 23

[547] კომიტეტის ზოგადი კომენტარი #15, პარა. 85

„ადამიანთა მონაწილეობით ჩატარებული ბიო-სამედიცინო კველევის საერთაშორისო სტანდარტები“ ბავშვთა მონაწილეობით კვლევების შესახებ ადგენს[548], რომ ბავშვის მონაწილეობით კვლევის დაწყებამდე, შესაბამისი პასუხისმგებელი პირი (სპეციალური ეთიკის კომისიის წარმომადგენელი) უნდა დარწმუნდეს, რომ:

- კვლევის მიზანია ცოდნის გაღრმავება ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე;
- ბავშვის მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი თანახმაა;
- ბავშვის აზრი მოსმენილია მისი შესაძლებლობების მიხედვით და მისი ტანხმობა მიღებულია;
- ბავშვს შეუძლია უარი თქვას კვლევაში მონაწილეობის ან კვლევის გაგრძელების შესახებ, რაც სავალდებულოდ უნდა იქნას გათვალისწინებული.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კვლევაში იმ ბავშვთა მონაწილეობის საკითხს, რომლებიც სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ არიან. მათი მონაწილეობა კვლევაში მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაშია დასაშვები. ამგვარ შემთხვევაში, ბავშვის მონაწილეობის საკითხი უნდა გადაწყდეს არა მხოლოდ ეთიკის კომისიის მიერ, არამედ დამატებითი დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობით, რომლებიც ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ.

კანონი პაციენტის უფლებების შესახებ მოიცავს ცალკე თავს არასრულწლოვნის უფლებებთან დაკავშირებით, რომელშიც მოცემულია დებულებები ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის და სამედიცინო მომსახურების მიღების უფლების და ასაკობრივი დათქმების შესახებ, კერძოდ:

- ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქალაქის ***უფლებებსა და კეთილდღეობას*** მედიცინისა და სამედიცინო მეცნიერების ინტერესებთან შედარებით უპირატესი მნიშვნელობა აქვს[549];
- 14-18 წლამდე ბავშვს უფლება აქვს მშობლისგან ***დამოუკიდებლად, კონფიდენციალურად*** მიმართოს ექიმს აივ ინფექცია/შიდსის დიაგნოსტიკის მიზნით, ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის ან კონსულტაციისთვის სქესობრივად გადამდები დაავადების ან ნარკომანიის მკურნალობის, კონტრაცეფციის არაქირურგიული მეთოდების შესახებ[550];
- გარდა ზემოთაღნიშნული შემთხვევებისა, 16 წლამდე ბავშვს სამედიცინო მომსახურება გაეწევა ***მხოლოდ მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით***[551]. არასრულწლოვან პაციენტს აქვს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მკურნალობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება. მიწოდებული ინფორმაცია უნდა ***შეესაბამებოდეს მის ასაკსა და გონებრივი განვითარების დონეს***[552];
- ***16 წლამდე ასაკის*** არასრულწლოვანი პაციენტის გამოყენება სწავლების ობიექტად დასაშვებია მხოლოდ მისი ***მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობით.*** გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია

[548] სახელმძღვანელო წესი #14
[549] მუხ. 2
[550] მუხ. 40.2, „ბ“, „გ“
[551] მუხ. 41.2
[552] მუხ. 43

პაციენტის *<u>მონაწილეობაც ასაკისა და გონებრივი</u>* განვითარების გათვალისწინებით[553];

▪ თუ მცირეწლოვანი ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტის ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება *<u>პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესებს,</u>* სამედიცინო *<u>მომსახურების გამწევს უფლება</u>* აქვს, ეს გადაწყვეტილება სასამართლოში *<u>გაასაჩივროს</u>*[554].

განხილული ნორმების ანალიზით ჩანს, რომ კანონით არ არის გარატირებული ბავშვის უფლება ასაკის მიუხედავად, დამოუკიდებლად და კონფიდენციალურად მიიღოს სამედიცინო კონსულტაცია (მითითებულია მხოლოდ ინფორმაცია მისი მკურნალობის და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ). კანონი პაციენტის უფლებების შესახებ არ ასახავს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების პრინციპს. კანონი მიუთითებს მხოლოდ მოქალაქის უფლებებისა და კეთილდღეობის უპირატესობას მედიცინის და მეცნიერების ინტერესებთან შედარებით. მნიშვნელოვანია კანონმა დააკონკრეტოს ბავშვის უფლება მისი ინტერესების უპირატესი გათვალისწინების და მისი მონაწილეობის შესახებ.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით მხარდაჭერის მიმღების და მცირეწლოვანი პაციენტების სწავლების ობიექტად გამოყენება დასაშვებია კანონიერი წარმომაგენლის თანხმობით, თუ თავად მხარდაჭერის მიმღები და მცირეწლოვანი წინააღმდეგობას არ გამოხატავენ[555].

16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი პაციენტის გამოყენება სწავლების ობიექტად დასაშვებია მხოლოდ მისი მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობით. გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია პაციენტის მონაწილეობაც ასაკისა და გონებრივი განვითარების გათვალისწინებით[556]. პრობლემურია, აგრეთვე, სამართლებრივი ნორმა ბავშვთა სამედიცინო კვლევის ობიექტად გამოყენების შესახებ, რომლის მიხედვითაც მცირეწლოვანი შეიძლება იყოს სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის ობიექტი, თუ იგი *<u>არ გამოხატავს რაიმე წინააღმდეგობას</u>* და მიღებულია მისი *<u>ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობა</u>*[557].

მცირეწლოვანი შეიძლება იყოს კვლევის ობიექტი, თუ მოსალოდნელია, რომ მისთვის ან ამავე კატეგორიის სხვა პირებისთვის პირდაპირი და მნიშვნელოვანი სარგებლობის მომტანი იქნება[558]. ამავე დროს, დაკონკრეტებული არაა, თუ რა ტიპის კვლევა იგულისხმება და არაა განსაზღვრული ბავშვთა დაცვის გარანტიები ისეთ კველევებში მათი ჩართვისგან, რომელიც საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ან/და სხვა უფლებებს.

ამ ჩანაწერის ნორმატიული შინაარსი ეწინააღმდეგება მცირეწლოვანი ბავშვის მოსმენის და მისი საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების პრინციპს. ამავე დროს გასათვალისწინებელია, თუ რამდენად დასაშვებია, თუნდაც ბავშვის თანხმობით, მისი ჩაბმა იმგვარ სამედიცინო ან სხვა სახის კველევებში, რომელთა შინაარსიც და შედეგებიც შესაძლოა მისთვის რაიმე სახით სარისკო იყოს.

ნორმა ბუნდოვანია და ტოვებს სივრცეს ბავშვის ინტერესებისთვის საზიანო გადაწყვეტილებებისთვის, განსაკუთრებით, როდესაც დაშვებულია „ნათესავის“ თანხმობა,

[553] მუხ. 42.1
[554] მუხ. 25.1
[555] მუხ. 26
[556] მუხ. 42
[557] მუხ. 110
[558] მუხ. 111

რაც პირთა ძალიან ფართო წრეს მოიცავს. ამავე დროს, გაურკვეველი რჩება, თუ რომელ ორგანოს ეკისრება ბავშვთა კვლევის ობიექტად გამოყენების საკითხების ზედამხედველობა, ეთიკური სტანდარტების დაცვის ვალდებულება და მცირეწლოვან ბავშვთა უფლებების დაცვა ბავშვსა და მის კანონიერ წარმომადგენლებს შორის ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში. ეს სფერო არცერთი კანონით ან რეგულაციით არ არის მოწესრიგებული.

რეკომენდებულია საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებისას გათვალისწინებული იქნას აღნიშნული ხარვეზები და შეიქმნას სამართლებრივი დაცვის გარანტიები ჯანდაცვის საკითხებზე ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობის, კონფიდენციალური სამედიცინო კონსულტაციის მიღების უფლების რეალიზების და სამედიცინო კვლევებში ბავშვის მონაწილეობის საკითხის რეგულირების თაობაზე.